# დროშა

მარტი 1963 წ. № 3



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისინი პირველად მივიდნენ საარჩევნო ყუთთან — პლაკატი ო. ჯიშკარიანისა

# საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა ჩვენი ხალხის რჩეულებს — კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს

კვირას, 1963 წლის 17 მარტს, ჩატარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები. არჩევნები, როგორც ყოველთვის, მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით, იმ უბადლო აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით, რომლითაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

არჩევნების შედეგებმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება.

ამ ბლოკის კანდიდატებისათვის საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი მხარდაჭერა წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიის ზეიმს, მშრომელთა ერთიანობასა და დარაზმულობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ. მისცეს რა თავიანთი ხმა ხალხის კანდიდატებს, მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ — ყველა ამომრჩეველმა მტკიცედ დაუჭირა მხარი კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებებს, ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ხალხთა მეგობრობასა და მშვიდობისათვის ბრძოლის საშვილიშვილო საქმეს.

საბჭოთა ადამიანებმა ღირსეულად განახორციელეს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა. მათ სიხარულით მისცეს ხმა თავიანთ ხვალინდელ დღეს, შრომითა და შემოქმედებით სავსე დღეს, ჩვენი ხალხის სისხლსავსე ცხოვრებასა და ბედნიერ მომავალს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (140) მარტი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ყველაფერი ბაზიდან დაიწყო

ფოტო ე. კესოვისა


ეროვნული ბიბლიოთეკა





მახარაძიდან სოფელ ნატანებში გავემგზავრეთ არა ავტობუსით, არამედ მატარებლით. ალბათ იმიტომ, რომ საგარეუბნო მატარებელში ხშირად მოგიხდება საინტერესო შეხვედრა, ავტობუსში კი არც გაცნობისთვისაა საკმარისი დრო და არც, მით უმეტეს, გულითადი საუბრისათვის, რაც ასე უყვართ გურულ გლეხკაცებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენს ფოტოკორესპონდენტს ყოველ შემთხვევისათვის მზად ჰქონდა ფოტოაპარატი და, რომ დაინახა ეს ჩვენი ექვსი ტკბილად მოსაუბრე თანამგზავრი, მაშინვე სურათი გადაუღო მათ. ამ დღეს მახარაძის ტერიტორიალურ სამმართველოში თათბირი იყო და, როგორც ჩანს, ექვსივე მისი მონაწილე უნდა ყოფილიყო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გავესაუბრეთ მათ, და მოხდა ისე, რომ ნატანების მაგიერ ჩვენს ახალ ნაცნობებთან ერთად სოფელ გურიანთაში ჩამოვედით.

ამაში ბრალი მიუძღვის პროკოფი ბელიკანიძეს (ზის მარცხნივ, ფანჯარასთან). მან გატაცებით დაიწყო ლაპარაკი მშობლიურ სოფელზე, კოლმეურნეობაზე, სადაც რამდენიმე წელია, რაც თავმჯდომარედ მუშაობს, და... დაგვიყოლია.

გურიანთა დასავლეთ საქართველოს ტიპიური სოფელია. კოლმეურნეობაც ჩვეულებრივია აქ. არის მასზე უკეთესები, არის უარესებიც. გასულ წელს საქართველომ მოიწია ჩაის ყველაზე უხვი მოსავალი. თავი არც გურიანთელებმა შეირცხვინეს. მათ ჩაის კრეფის გეგმა 16 პროცენტით გადააჭარბეს. ზამთარში ჩაი ციტრუსებმა შეცვალა, კოლმეურნეობა არც აქ ჩამორჩა სხვებს: 52 ტონა ციტრუსის ნაყოფის მაგიერ სახელმწიფოს 102 ტონა ჩააბარეს. ასე იყო საკოლმეურნეო წარმოების სხვა დარგებშიც.

პროკოფი ბელიკანიძე გამოგვიტყდა: თავს დამშვიდებულად ვერ ვგრძნობ, თუ ბანკში კოლმეურნეობის ანგარიშზე მილიონზე მეტი მანეთი არ არის ჩარიცხულიო.

— მშვენიერ ხასიათზე ხართ, პატივცემულო პროკოფი, — ვეუბნებით ბელიკანიძეს, — მაშასადამე ბანკში ამჟამად მილიონი გაქვთ?

— მილიონ-ნახევარი. — აზუსტებს თავმჯდომარის წინ მჯდომი ახალგაზრდა კაცი გრიგოლ ვაჩნაძე, რომელიც კოლმეურნეობის მოლარე გამოდგა.

თქვენ ალბათ ჩვენი სხვა თანამგზავრებიც გაინტერესებთ. აი, შეხედეთ ფორთოხლების გროვასთან მდგომ ამ მომღიმარე კაცს. მართალია, წვიმის გამო მას ყაბალახი ქუდით შეუცვლია, მაგრამ ვაგონში გადაღებულ სურათზე მას მაშინვე იცნობთ. ეს მოწინავე მეციტრუსე აკაკი თოიძეა.

გასულ წელს საუცხოო მოსავალი მიიღო აკაკიმ. დაგეგმილი ჰქონდა 11 ტონა, მოკრიფა 19 ტონა, და მარტო გეგმის გადაჭარბებისათვის პრემიად 1.200 მანეთი მიიღო.

შემდეგ სურათზე აკაკის მეზობელი, კოლმეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული ადამიანი, ტრაქტორისტი ამირან ბილიხოძეა გამოსახული. ტყუილად ამბობდნენ, თითქოს ზამთარი გლეხკაცისთვის უქმი სეზონი იყოს. ამირანისთვის ზამთარი ყველაზე მოუსვენარი დროა. კოლმეურნეობის ამ მეყამირემ გაზაფხულამდე თითქმის 20 ჰექტარი ტყე ამოძირკვა, სადაც წელს გურიანთელები სიმინდს დათესენ.

თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ეს თეთრ ხალათში გამოწყობილი ხანშიშესული კაცი კოლმეურნეობის მეცხოველეა. თითქოს მართლაც ასე უნდა იყოს, ფილიპე კვაშალი ფერმაში ათენებს და აღამებს, ის კი არა, ცხოვრობს კიდეც მის გვერდით გამოყოფილ პატარა ოთახში. მაგრამ პატივცემული ფილიპე მეცნიერია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელმაც გურიანთის მეცხოველეობის ფერმისათვის მიატოვა თავისი მყუდრო კაბინეტი თბილისის ზოოტექნიკურ-ვეტერინალურ ინსტიტუტში, რათა ჩაატაროს დიდად მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი არსებული საკვები ბაზის გამოყენების შესახებ, რომლის შედეგებსაც მოუთმენლად ელიან არა მარტო გურიანთაში, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოში.

ამ ექსპერიმენტს საკმაოდ გრძელი სახელწოდება აქვს: „დასავლეთ საქართველოს პირობებში მსხვილი რქოსანი საქონლის მთელი წლის განმავლობაში სილოსით კვების ეფექტიურობის შესწავლა“. მისი არსი კი გამოიხატება იმაში, რომ საკვები ბაზა აქ მეტად ღარიბია, მიწის თითქმის მთელი ფარ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



თობი ჩაის და ციტრუსებს უჭირავთ და კოლმეურნეობები იძულებულნი არიან სიმინდის სილოსის გარდა, უველა სხვა სახის საკვები სხვაგან შეისყიდონ.

თითქმის წელიწადია, რაც ფილიპე კვაშალი თავის ლაბორანტ ჯავარ ფურცელაძესთან ერთად აკვირდება 45 ძროხას, რომლებიც მხოლოდ სილოსით იკვებებიან. ექსპერიმენტი წარმატებით ტარდება. მაგრამ იგი ჯერ დამთავრებული არ არის და, როგორც ნამდვილ მეცნიერს, პატივცემულ ფილიპესაც არ უყვარს მასზე ნაადრევად ლაპარაკი.

ფერმიდან ჩვენ გურიანთას საშუალო სკოლისაკენ გავეშურეთ. ამ სკოლაში პედაგოგად მუშაობს ლეილა კვაჭანტირაძე. იგი უმცროს კლასებს ასწავლის. თუმცა მუშაობის სტაჟი დიდი არა აქვს, მაგრამ ბავშვებს ფაქიზი მზრუნველობით ეპყრობა. არცაა გასაკვირი, ლეილა ხომ ორი წლის გოგონას დედაცაა.

სკოლიდან გამოსვლისას ჩვენ ხელმეორედ შევხვდით კოლმეურნეობის მოლარეს გრიგოლ ვაჩნაძეს. იგი ბანკისკენ მიიჩქაროდა კოლმეურნეებისათვის ავანსად გასაცემი ფულის გამოსატანად. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმაც სწორედ მაშინ გადაუღო სურათი, როცა იგი ფულის სქელ დასტებს აწყობდა პორტფელში.

მერე ჩვენ კარგახანს მოგვიხდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის პროკოფი ბელიკანიძის ძებნა. „ახლახანს იყო", „ეს ეს არის წავიდა", „ერთი ფეხით გაგასწროთ", — გვეუბნებოდნენ სხვადასხვა ბრიგადებში, ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვეთ... ახალი საკოლმეურნეო კლუბის ხარაჩოებზე.

პროკოფი ღიმილით გამოგვემშვიდობა.

— საქმე უამრავია, — გვითხრა მან მობოდიშებით. — მას შემდეგ, რაც გავეცანით კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს პატრიოტულ თაოსნობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადიდებისათვის საყოველთაო სახალხო შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, მოსვენება დავკარგეთ. არ გვინდა თავი შევირცხვინოთ. ეს წელი გურიანთელთა გამარჯვებების წელიც უნდა იყოს.



აი, მოკლედ მთელი ამბავი საგარეუბნო მატარებელში ჩვენი ექვსი თანამგზავრის ცხოვრების ერთი დღის შესახებ.

გვახსენდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვები იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო წარმოება დღეს კომუნისტური მშენებლობის დამკვრელი ფრონტია. ჩვენი შემთხვევითი თანამგზავრები ამ ფრონტის დამკვრელები აღმოჩნდნენ. მაგრამ მათ ადგილას რომ სხვები ყოფილიყვნენ, ჩვენი ნაცნობობა არა ნაკლებ საინტერესო გამოდგებოდა.

ასეთია ჩვენი ცხოვრება. ჩვენი დღევანდელობა.

ნ. ჯაფარიძე

## დედაო ჩემო!...

### თეიმურაზ ჯანგულაშვილი

მამის კერაზე ცეცხლი გუზგუზებს —
ო, რა ხანია წასულა მამა...
...მუხლჩაუხრელად მთელ დღეს ფუსფუსებს,
წამწამს მზის სხივ—ჰკიდია ნამად.

მას ეს სხივები აყრია გულზეც,
ვით ფქვილის მტვერი ძველისძველ წისქვილს,
მისი ნანინა თაფლია თუ რძე, —
თავის შვილიშვილს იმ აკვანს ურწევს,
შვილს რომ ურწევდა ორმოცი წლის წინ.

...ეს შენ ხარ, შენ გპვრეტ, დედაო ჩემო,
შენ, ვინც სიცოცხლის ნექტარი მასვი,
შენ იცი შვილის ცრემლების გემოც,
შენ იცი შვილის ღიმილის ფასიც.

და თუ ვცან სიტკბო გუშინდელ დღეთა,
თუ კი ხვალინდელ დღეში გადაველ,
თუ კი შვილების მომავალს ვჭედავ,
თუ კი ამ ქვეყნად სიმღერას ვბედავ,
დედავ, შენა ხარ მისი სათავე!

შენ ჩვენ ჩაგვიდგი იმდენი ღონე,
რამდენ ღამესაც თეთრად უთიე,
სიბერე უმალ გაგირბის, ვგონებ,
გვერდთ რომ მოგვისვამ შვილებს ხუთივეს.

და თითქოს ახლად დაიბადე შენ, —
კვლავ გვაკრეფინებ ვარსკვლავებს ცაში,
მზის ბურთს გაგვიხვევ ოქროს ბადეში;
შენა ხარ დედაც, შენა ხარ ბავშვიც
და ხარ დიდედა ათი ბადიშის.

და თუ ყველა დღის დამკრავს ალმური
და თუ კი ვიცი ფასი თითო დღის,
თუ სიყვარული დამყვა მამულის,
ძმის და მეგობრის, მზის და სიცოცხლის;

თუ ვკრეფ მშობლიურ სიტყვის თავთავებს
და შიგ ჩიტივით ბუდეს ვიკეთებ,
და თუ გულისთქმას ვერ ვდებ სადავეს, —
დედავ, შენა ხარ ყველა სიკეთის
და სილამაზის დიდი სათავე.

## ნევის სანაპიროზე

### ოთარ შალამბერიძე

ის მიდის ნევის სანაპიროზე
და პაპიროსის ბოლისფერ თვალებს
დროდადრო თბილი ქარი უხუჭავს.

ღამეა თეთრი და ლენინგრადი
ამ თეთრ ღამეში ჰგავს გახსენებას
მივიწყებული ბავშვობის სიზმრის.

ის მიდის ნევის სანაპიროზე
და ხავერდივით დაფენილ პროსპექტს
ხელუკულმა სჭრის ჩრდილის
მაკრატლით.

ღამეა თეთრი და მაღალ ქუსლებს
გააქვთ კაკუნი ხელშეუშლელი,
როგორც კედელზე ძველისძველ
საათს.

და ლენინგრადი ნეგატივივით
ტივტივებს ნისლის თხელ სამოსელში
და არ მჟღავნდება...

ლენინგრადი





# მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობის გზით


ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემლის სვერდლოვის დარბაზში ორ დღეს, 7 და 8 მარტს გრძელდებოდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, რომელიც აზრთა უაღრესად გულახდილი გაზიარების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ამ ისტორიულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის სრული ერთიანობა, მისი შეკავშირება ლენინური პარტიის გარშემო.

შეხვედრაზე, რომელიც დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის სიტყვით, გამოვიდნენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმოხვეჭილი ოსტატები, რომელთაც აღძრეს ჩვენი სოციალისტური კულტურის ზეაღმავალი განვითარების არსებითი და სასიცოცხლო საკითხები.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, რომელსაც ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები გულთბილად შეხვდნენ. მან ფართოდ გააშუქა ის უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ამოცანები, რომლებიც კომუნიზმის მშენებლობამ წამოჭრა შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მთელი სიტყვა გამსჭვალულია ულრმესი და გულთბილი ზრუნვით ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ. ამ სიტყვაში ყოველი შემოქმედი, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის ოსტატი პოულობს ნათელ და ამომწურავ პასუხს თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების უაღრესად რთულ საკითხებზე.

ეს საკითხებია მწერლისა და ხელოვნების მუშაკის პასუხისმგებლობა ხალხისა, სამშობლოსა და პარტიის წინაშე, ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, სოციალისტური რეალიზმის შემდგომი წინსვლა და განვითარება, ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურობა, შემოქმედის როლი კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდსა და ნათელ გზაზე.

„კომუნიზმისათვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, — აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორიც არის ლიტერატურა და ხელოვნება“.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ უზარმაზარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი პარტია მწერლის, მხატვრის, მსახიობის, რეჟისორის, კომპოზიტორის შრომას, რა დიდ იმედებს ამყარებენ პარტია და ხალხი ფერისა და სიტყვის ოსტატებზე, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეჰქმნან სულიერი სიმდიდრე, შეჰქმნან უმძლავრესი კულტურა კომუნისტური საზოგადოებისა.

კომუნისტური პარტიის XX და XXII ყრილობებმა თავიანთი ისტორიული გადაწყვეტილებებით თვალმიუწვდომელი ასპარეზი გაუხსნეს შემოქმედის ტალანტსა და ფანტაზიას. ყველაფერი კარგი, წარმტაცი, ამამაღლებელი და აღმზრდელი ადამიანისა, რაც ჩვენი სულიერი კულტურის სფეროში იქმნება — არის შედეგი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვისა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე შექმნილი ყველა ნაწარმოები როდი უპასუხებს და როდი შეეფერება ჩვენი დროის მაღალ მოთხოვნებს. ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებში შესამჩნევია უცხო იდეებით გატაცება, მყვირალა დასავლური მოდის აყოლა, იაფფასიანი სენსაციისადმი გამოდევნება, რაც სრულიად შეუფერებელია საბჭოთა მწერლისათვის, საბჭოთა ხელოვანისათვის.

პარტიამ პირდაპირ, მაღალი პრინციპულობით მიგვითითა ამ ნაკლოვანებებზე და ამ დაბნეულობის, შეცდომების დაძლევის გზებიც გვიჩვენა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებზე, შესანიშნავ ნაწარმოებებზე, რომლებიც შეიქმნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და რომლებითაც ამაყობს ჩვენი ხალხი; ამასთან, მან აღნიშნა, თუ რაოდენ შეუთავსებელია ამ მაღალ ხელოვნებასთან ფორმალისტური თუ აბსტრაქციონისტული ოინბაზობა, როცა ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენელი „ხატავს ადამიანებს განგებ დამახინჯებულად, თითხნის თავის სურათებს შავბნელი საღებავებით, რომლებსაც მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ შეუქმნან ადამიანებს გულგატეხილობის, დარდისა და უსაშველობის განწყობილება, ხატავს სინამდვილეს მის შესახებ წინასწარ აკვიატებული, დამახინჯებული, სუბიექტივისტური შეხედულებით, გამონაგონი, გამოფიტული სქემებით“.

ე. ვ. ვუჩეტიჩის შესანიშნავი რეალისტური ქანდაკებანი ამაღლებენ ადამიანის სულს, შთააგონებენ საგმირო საქმეთათვის, განუმტკიცებენ პატრიოტიზმის უწმინდეს გრძნობას; ხოლო რა უნდა უთხრას ადამიანის გრძნობას ისეთმა სიმახინჯემ, როგორიც ერნსტ ნეიზვესტნის ქანდაკებებია. ლაპარაკობდა რა ნეიზვესტნიზე, ამხანაგმა ხრუშჩოვმა აღნიშნა: „კარგია, რომ ასეთი მხატვრები ჩვენში ცოტაა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მარტო როდია ხელოვნების მუშაკთა შორის. თქვენ ნახეთ აბსტრაქციონისტი მხატვრების ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც. ჩვენ ვგმობთ და კვლავაც დავგმობთ ასეთ სიმახინჯეს აშკარად, მთელი შეურიგებლობით“.

პარტიის ეს მითითება სახელმძღვანელო პრინციპად უნდა აქციოს ჩვენმა პრესამ, ჩვენმა კრიტიკამ, მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ.

ვრცლად შეჩერდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი პარტიულობისა და ხალხურობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებზე, რომლებზედაც აგებულია მთელი ჩვენი კულტურა. სტალინის პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას; აღნიშნა რა ეს, ამხანაგმა ხრუშჩოვმა იმაზეც მიგვითითა, თუ რაოდენ შემცდარნი არიან ისინი, ვინც ცდილობს ხაზი გადაუსვას ყველაფერს, რაც პიროვნების კულტის პერიოდში შექმნეს ჩვენმა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა. „მართლაც, პიროვნების კულტის წლებმა მძიმე შედეგები დატოვა. ჩვენმა პარტიამ ამის შესახებ მთელი სიმართლე უთხრა ხალხს. ამავე დროს, მხედველობაში უნდა გვქონდეს და გვახსოვდეს, რომ ის წლები საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში უძრაობის პერიოდი როდი იყო, როგორც ეს ჩვენს მტრებს წარმოუდგენიათ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის დროშით და ანდერძით ჩვენი ხალხი წარმატებით აშენებდა და ააშენა სოციალიზმი. საბჭოთა კავშირი, პარტიისა და ხალხის ღონისძიებებით გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელმაც გაუძლო ომის უმძიმეს განსაცდელს და ძლევამოსილად დაამთავრა ისტორიაში უმაგალითო ბრძოლები, მთლიანად გაანადგურა ფაშისტთა ურდოები“.

მაშასადამე, მძიმე შეცდომაა ავსახოთ ხსენებული წლების სინამდვილე შავი ფერებით. ასეთი შეცდომა დაუშვა ილია ერენბურგმა თავის წიგნში „ადამიანები, წლები, ცხოვრება“. ავტორმა მასში წამოაყენა ე. წ. „დუმილის თეორია“; ეს „თეორია“ ჩრდილს აყენებს საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ენთუზიაზმით აშენებდნენ სოციალიზმს.

„ჩვენ წინააღმდეგი ვართ იდეოლოგიის სფეროში მშვიდობიანი თანაარსებობისა“, განაცხადა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და მოგვიწოდა ვიყვნეთ ლენინურად შეურიგებელნი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, რა სახითაც არ უნდა იჩინოს მან თავი.

სოციალისტური რეალიზმი ფართო გზას უხსნის ყოველ შემოქმედს ახლის, ნოვატორულის ძიებისათვის. ეს თვით ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს — ახლა ყველა ხედავს რაოდენ თვალუწვდენელ სიმაღლეებს იპყრობს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი და ნოვატორული ძიება მისი სულიერი შემოქმედების, მთელი მისი საქმიანობის განუყრელი მხარეა.

ცხადია, ამ გზით წარმართავს პარტია ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებასაც.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ახალი სიტყვა — „მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა — საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა“ — უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია, რომელიც უმძლავრეს როლს შეასრულებს სოციალისტური კულტურის ახალი აღმავლობის გზაზე; ამ ისტორიულ დოკუმენტს განუზომელი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა მრავალეროვნული სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, კერძოდ ქართული კულტურისთვის; ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის აღტაცება, ის გულწრფელი სიხარული, რომლითაც ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია შეხვდა ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას. ლენინური პარტიის სიბრძნე, პარტიის ხელმძღვანელობა — ჩვენი ახალი წარმატებების ურყევი საწინდარია — ერთსულოვნად აღნიშნავენ ქართველი მწერლები და მხატვრები, მუსიკოსები და მსახიობები, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი, მთელი ჩვენი ხალხი.

შეხვედრა კრემლში — ეს იყო დიდი და სასიხარულო მოვლენა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომუნიზმის ნათელი იდეალების სიდიადეს, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მზადყოფნას კომუნისტური იდეოლოგიის სიწმინდისათვის საბრძოლველად.

მოსკოვი. 7-8 მარტს კრემლში შედგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან.

სურათზე: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ფ. რ. კოზლოვი თათბირზე.

ფოტო ვ. სობოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა)



**ვასილ გვეტაძე**

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი...
გალაკტიონი.

მე ამ წყვილ ნაწნავს სხვა თვალით ვხედავ,
რად არი ამგვარ ქრუანტლის მგვრელი?!
ჩითის ნაჭრებში, ავადმყოფ დედას
შეუფუთნია საკუთარ ხელით.

სულში სიმშვიდე რულივით შედის,
ვუცქერ და მშობლის სიცოცხლე მჯერა,
და ყვითლად ბზინავს ნაწნავი დედის
და სდის საამო სურნელი ჭერაც.

დამფოფინებენ ყაჩივით გულზე,
ყვითლები, როგორც ჩალის ღერები.
მე ახლაც დედის ნაწნავებს ვუმზერ
და რაღაც მტკივა და... ვეფერები.

რაღაც მაფხიზლებს ძილში დილ-დილით,
რაღაც მაკრთობს და მაინც მხნედა ვარ:
სახლში შემოდის დედა ბინდივით,
მუუდრო ოჯახის დასახედავად.

გვერდით ჩაუვლის ბალღებს ბუნჩულებს,
ილიმება და ვეღარ ისვენებს.
— არ გაცივდეთო! — წაიჩურჩულებს
და კარადისკენ გასწევს ისევე...

გარიდებული ყველასგან ბოლოს,
შემოხვეული ჭრელი ზონარით,
რომ ამოიღოს ხკივრიდან მხოლოდ
ქალიშვილობის მოსაგონარი;

რომ ერთხელ კიდევ შეავლოს თვალი
კულულებს, ყვითელ პეპლის ფრთებიანს;
რომ თქვას: ვიყავი ასეთი ქალი
და ასეთივე გავხდი ბებიაც...

აქ დუღილია, წვა და წადილი,
დღე ღვრის უამრავ ფერებს ულევად.
დედის ნაწნავი, როგორც მანდილი,
წმინდა მანდილი — შინ მეგულება.

შრიალ-შრიალით სიჩუმეს ძალავს,
მგონია, ცაზე ძაფებს აქსოვენ,
და საიმედოდ ვუნახავ ჭალაბს
ნაწნავებს, დედის ძვირფას სახსოვრებს.



ცუდად წავიდა ამ თითისხელა გოგონას საქმე! იყო დრო, როცა ყველა მამაზე უფრო ლამაზი, ყველაზე უფრო კეთილი და ღონიერი მამილო ჰყავდა. ყველა დედაზე ტკბილი და საყვარელი დედილო დასტრიალებდა თავზე. იმ ბედნიერ წლებში ოჯახური სითბო და მზრუნველი მშობლების მადლიანი ხელი არ მოჰკლებია გოგონას.

მერე ლაშა ღრუბლები ჩამოწვა სოფლის თავზე. ომის ქარმა გოგოლაძეების ოჯახშიც შეაღწია. ქეთუნას მამა, სხვა ძმებთან ერთად, მტკიცე სიმღერით მიუყვა მშობლიური ფრონტისაკენ იქით დაკარგულ გზას.

სიცივე და შიმშილი მოვიდა ოჯახში, რაღაც შიშნარევმა მოლოდინმა და სევდამ დაისადგურა ირგვლივ. დედა ყოველ დილით უთენია ტყიდან და სამუშაოდან და ხან საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობდა ქალებთან და მოხუცებთან ერთად, ხან კიდევ უსაქმაუროდ დარჩენილ ეზო-სახლს დასტრიალებდა თავზე.

მოვიდოდა ხოლმე მხარზე ჩანთამოგდებული გრძელულვაშა ძია ხარიტონა და სამად მოკეცილ ქაღალდს მოიტანდა თან. დაჯდებოდა ბედნიერი დედა, გვერდით მოისვამდა თავის გოგონას და უკითხავდა და უკითხავდა მამის მოკითხვასა და მტრისადმი მრისხანებით აღსავსე ბარათს.

ერთ წვიმიან დღეს ფოსტალიონთან ერთად მთელი სოფელი მიადგა კარზე გოგოლაძიანთ ოჯახს და იმ დღიდან ცრემლი და ძაძები აღარ მოუშორებია დედას. იმ დღიდან სევდიანი ღიმილით გადმოსცქეროდა ქეთუნას შავ ჩარჩოში ჩასმული მამის სურათი.

მუხთალმა ბედმა მარტო მამით ობლობა როდი აკმარა ამ სუსტსა და ფერმკრთალ გოგონას. ისევ წვიმიანი და პირქუში ამინდი იდგა სოფელში, როცა ათიოდე წლის ქეთუნამ, უფროსების წაბაძვით, ერთი მუჭა მიწა მიაყარა დედის საფლავს.

უპატრონოდ დარჩენილი გოგონა ზესტაფონის რაიონის სოფელ ხევიდან სურამში ჩამოიყვანეს. ობლის მწარე და აგი დღეები დაუდგა ქეთუნას. დამადლებულ ლუკმას მუდამ საყვედურები და უმიზეზო დატუქსვა მოსდევდა თან. ყველაზე მეტად მაინც ის აღარდებდა გულჩათხრობილ ბავშვს, რომ ათასგვარი საოჯახო საქმეებით დატვირთულს, სკოლაში სასიარულოდ აღარ რჩებოდა დრო...

გაზაფხულის ის დღე მუდამ კეთილად მოსაგონარი იქნება ქეთუნასათვის. აბა როგორ შეიძლება დაივიწყოს მან ნათელი დილა, როცა ცაზე იმედის შუქად ამობრწყინდა მზე, როცა ცრემლისა და მრავალი წვალების შემდეგ სამიკეთოდ გამოცხვა ობლის კვერი.

იმ დილით წყაროდან მომავალი ქეთუნა ჭადრებთან შეაჩერა სკოლის დირექტორმა და ჩუმად გადაულაპარაკა მის გვერდით მომავალ ქალს:

— აი, ეს გოგონა გახლავთ ქეთუნა გოგოლაძე...

ქეთუნას თავიდანვე მოეწონა საშუალოზე ოდნავ მაღალი, სათნო შესახედაობის ქალი. მისი დინჯი და კეთილი ხმა უცნობი იმედის შუქად ჩაეღვარა გულში.

— დღეის შემდეგ შენ ობოლი აღარ ხარ! — მტკიცე და გულითადი ხმით უთხრა უცნობმა გოგონას და თავზე მზრუნველობით გადაუსვა ხელი. — კარგად იცოდე, დღეის შემდეგ შენ მშობლებიცა გყავს, დებიცა და ძმებიც...

* * *

— დღეის შემდეგ შენ ობოლი აღარა ხარ! — ბევრს, ძალიან ბევრ აცრემლებულ პატარას უთხრა ეს იმედიანი სიტყვები ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის პირველი საბავშვო სახლის დირექტორმა ქეთევან დავითაშვილმა.

თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ქეთევანი მზრუნველობით დასტრიალებს საბავშვო სახლს, ამაგდარი დედასავით უვლის და ალალებს თავის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს.





ქეთევან დავითაშვილი სტუმრად საბავშვო სახლში აღზრდილ ქეთუნა გოგოლაძესთან.

ამ ჰალარით მოსილ, მხნე და მუდამ მოუსვენარ ქალში თავიანთ ქომაგს, მზრუნველსა და მოამაგე ადამიანს ხედავენ ბავშვები. ამიტომაც არის, რომ ასე უყვართ და აფასებენ მას, ამიტომაც არის, რომ ცხოვრების ფართო გზაზე გასვლის შემდეგ მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ ქეთევანს.

მიბრძანდით ხაშურის საბავშვო სახლში, ნახეთ საგულდაგულოდ მოვლილი ეზო და დასამშვენებელი ნაკვეთები, დაათვალიერეთ ბავშვების კოხტა საცხოვრებელი ოთახები და გემოვნებით მოწყობილი კლუბი, სამეცადინეო კაბინეტები და ლაბორატორიები, დაესწარით ნორჩ ნატურალისტთა, ჭრა-კერვის, ლიტერატურისა თუ სიმღერის წრეების მეცადინეობას, მოუსმინეთ ბავშვთა სასულე ორკესტრისა და მომღერალთა გუნდის კონცერტებს. ნახეთ, გაეცანით მათ ყოველდღიურ ხალისიან ცხოვრებას და მაშინვე იგრძნობთ, თუ რაოდენ დიდი სითბოთი და მზრუნველობით არიან ისინი გარემოცულნი.

მიდით, თვალი შეავლეთ სუფთად და კოხტად გამოწყობილ ბავშვებს, გაესაუბრეთ წარჩინებულ მოსწავლეებს: იზოლდა ნოზაძესა და ნიკოლოზ ზაგრაჩევს, ბეჟან ნასყიდაშვილსა და ქეთუნა ორჯონიკიძეს, თუ გნებავთ პირმომღიმარი იუგოსლაველი ბიჭუნა ვლადიმერ აბდულჯალილო მოინახულეთ... ყველა

ხაშურის რკინიგზის საბავშვო სახლს ეწვია ამ სახლის აღზრდილი, საბჭოთა არმიელი ომარ ჭადაშვილი.

მათგანი სიხარულით მოგიყვება საბავშვო სახლის ხალისიან ცხოვრებაზე, იმ სითბოსა და სიყვარულზე, რომელსაც მათდამი იჩენენ აღმზრდელები, საბჭოთა ხალხი, პარტია...

...ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის საბავშვო სახლის დირექტორის კაბინეტში ვართ. მაგიდის გარშემო სხედან პედაგოგები: ანა ტურტულაძე, თინათინ გიორგაძე, ანა თევზაძე, ლეიზა ლაბაძე...

დირექტორი ქეთევან დავითაშვილი გატაცებით გვესაუბრება საბავშვო სახლის აღსაზრდელებზე, იმათზე, რომლებიც ახლა უკვე საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში თავდადებით შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აი ეს წერილი ქეთევანმა ლენინგრადიდან მიიღო. ინჟინერ-მეტალურგი ვიქტორ ზოლინსკო გულთბილ მოკითხვას უთვლის აღმზრდელებს და დაწვრილებით მოუთხრობს თავისი ცხოვრებისა და შრომის ამბებს.

„საბავშვო სახლში გატარებულმა წლებმა, თქვენმა დედურმა მზრუნველობამ ძირფესვიანად გარდაქმნა ჩემი სული, საშუალება მომცა სწორ და ნათელ გზაზე გამოვსულიყავი. ერთხელ კიდევ გიხდით მადლობას, სიკვდილამდე არ დავივიწყებ თქვენს ამაგს". — იწერება მოსკოვის გარეუბანში მომუშავე გივი ტუხაშვილი.

მშობლიურ სახლთან არც ახლა წყვეტენ კავშირს სამხედრო ინჟინერი ვლადიმერ სტრელცოვი, ჩინელი მუშა ვან ხუნ-ძინი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი საამქროს უფროსი არჩილ ნოზაძე, ექიმი უმანკო ქიმერიძე, პედაგოგი თინა ჭანკოტაძე...

— აბა რომელი ერთი უნდა მოვთვალო? — სიამაყით ამბობს ქეთევანი და თან ფეხზე წამომდგარი იყურება ეზოში, საიდანაც ჩოჩქოლი და მხიარული შეძახილები გაისმის.

— ომარი, ჩვენი ომარი ჩამოსულა! — სიხარულით გაიძახის დირექტორი და ფრთებშესხმულივით მიფრინავს ეზოსაკენ.

დიდხანს, დიდხანს იკრავს გულში თვალცრემლიანი ქალი ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილ ვაჟკაცს — ომარ ჭადაშვილს, რომელიც შვებულებით ჩამოვიდა უკრაინიდან თავის აღმზრდელ სახლში...

* * *

ყოველი დღე შრომასა და სწავლაში, მხიარულ გართობასა და დასვენებაში იწურება.

საბავშვო სახლში საუკეთესო პირობებია შექმნილი მეცადინეობისა და შემოქმედებითი შრომისათვის. სწორედ ამიტომაც არის, რომ აქ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ჩამორჩენილ მოსწავლეს, ამიტომაც არის, რომ კეთილმოწყობილ საამქროებსა და ლაბორატორიებში ასე მონდომებითა და გატაცებით შრომობენ აღსაზრდელები.

ხელმარჯვე ბავშვები თავიანთი ხელით აკეთებენ მაგიდებს, სკამებს, სპორტულ ინვენტარს, არემონტებენ [illegible].

ხაშურის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა შარშან 2 ჰექტარი ყამირი გატეხეს და სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს. ბავშვებმა გამოზარდეს ღორები და 1000 მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს. დიდი ფულადი შემოსავალი მიიღეს აგრეთვე მებოსტნეობიდან, მებაღეობიდან...

— ამ შემოსავალს ძირითადად ბავშვების საჭიროებისათვის ვიყენებთ, ნაწილს კი ჩვენგან წასულ ახალგაზრდებს ვუგზავნით, რომლებიც უმაღლესში სწავლობენ, — გვეუბნება ქეთევანი და მერე გაბრწყინებული სახით უმატებს. — აი, ამ ფერდობის იქით ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს, წავიდეთ, მოვინახულოთ.

ახლად აგებული სახლის აივანზე ფუნჩულა გოგონა კისკისით ეგებება ქეთევანს. ვერც ბავშვის დედა მალავს სიხარულს და ისიც ხელგაშლილი ხვდება სტუმარს.

— გაიცანით, ეს ჩემი შვილიშვილი ქეთუნა გახლავთ, აი ის ქეთუნა გოგოლაძე, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ სურამიდან ჩამოვიყვანე ჩვენთან...

საბავშვო სახლმა კერა როდი ჩაუქრო უდედმამოდ დარჩენილ გოგონას. ხალხის მზრუნველობამ საშუალება მისცა მას მაღალკვალიფიცირებული ექთანი გამხდარიყო და საკუთარი ბედნიერი ოჯახი შეექმნა. ქეთევანს თავიდანვე მოეწონა სასიძო — რკინიგზაზე მომუშავე დინჯი და შრომისმოყვარე ვაჟკაცი [illegible] ლომიძე. დედობილმა ქორწილი თავის სახლში გაუმართა ქეთუნას და არც შემდეგ მოუკლია მისთვის სითბო და ყურადღება.

— დაბრძანდი, დედა, — აფუსფუსებული დიასახლისი საპატიო ადგილს სთავაზობს ქეთევანს.

შევცქერით სიხარულით გაცისკროვნებულ ქეთუნას სახეს, მის გამოხედვაში პატივისცემისა და უდიდესი მადლობის გრძნობას ვკითხულობთ. ეს მადლობა მარტო ქეთუნასი როდია. ქეთუნას სახით ამ სამადლობელს ყველა ვაჟი და ქალიშვილი გამოთქვამს, რომლებსაც დედური სითბო და მზრუნველობა გაუწია ქეთევანმა.

გ. მახარაძე



ხაშურის საბავშვო სახლის აღსაზრდელები კედლის გაზეთის მორიგ ნომერს უშვებენ.



საბავშვო სახლის სასულე ორკესტრი მორიგ მეცადინეობაზე.



მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვალერი გოლოვანოვი პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

ფოტო ი. ტერილაძისა.

# ისინი მომხიბვლელები იყვნენ

**ნ. მოროზოვი,**
საპატიო აკადემიკოსი


კ. ნიკოლაძე


მ. წერეთელი


ო. გურამიშვილი

ავტორი ქვემოთ მოთავსებული მოგონებისა, საპატიო აკადემიკოსი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მოროზოვი (1854-1946 წ.) რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. მეფის ხელისუფლებამ იგი რამდენჯერმე გადაასახლა რუსეთის შორეულ მხარეებში. მოროზოვი იყო „ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1905 წლიდან, შლისელბურგის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, მან ხელი მოჰკიდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ქიმიისა და ასტრონომიის დარგში. 1932 წელს ნ. მოროზოვი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

ნ. მოროზოვმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ დაწერა ვრცელი მოგონებები, რომელშიაც სხვათა შორის, მოგვითხრობს ქართველი ქალების — ოლღა გურამიშვილის, ეკატერინე (კატო) ნიკოლაძის და მარიამ (მაშო) წერეთლის შესახებ. ნ. მოროზოვი მათ შეხვდა ჟენევაში, ემიგრაციაში ყოფნის დროს, გასული საუკუნის 70-იან წლებში. ოლღა გურამიშვილი, შემდეგში მეუღლე გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძისა, მარიამ წერეთელი — დაი ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი წერეთლისა და ეკატერინე (კატო) ნიკოლაძე, დაი ნ. ნიკოლაძისა — პირველი ქართველი სტუდენტი ქალები იყვნენ ჟენევის უნივერსიტეტში. ისინი გატაცებულნი იყვნენ რევოლუციური მოძრაობით და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჟენევაში მყოფ რევოლუციონერ ემიგრანტებთან, რომელთა შორის პარიზის კომუნის მონაწილენიც იყვნენ.

ნ. მოროზოვი ქართველ ქალებს შეხვდა პირველი ინტერნაციონალის ერთ-ერთ სხდომაზე და მას შემდეგ მათთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

ნ. მოროზოვის მოგონებაში მოხსენებული ნ. საბლინი (1849-1881 წ.), რომელმაც ლექსი მიუძღვნა ქართველ ქალებს, იყო ცნობილი პოეტი-რევოლუციონერი. როცა ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ დაიწყო საშინელი რეპრესიები და ჟანდარმები თავს დაესხნენ საბლინის ბინას, მან თავი მოიკლა, რომ ცოცხლად არ ჩავარდნოდა ხელთ პოლიციას..

ტბაზე გადებულ ხიდზე რუსეთიდან ახლად ჩამოსულ ნიჭიერ ინჟინერს ტვერიტინოვს შევხვდი. ტვერიტინოვი ბაკუნინის იდეალებს თანაუგრძნობდა.

— მოხარული ვარ, რომ გნახეთ! — მითხრა მან. — თქვენს საძებნელად გროსის კაფეში ვაპირებდი წასვლას. შემომიარეთ დღეს შინ. ჩემთან მოსწავლე ახალგაზრდობა შეიკრიბება. თქვენი გაცნობა სურთ.

გამეხარდა. მეც დიდი ხანია მსურდა ახალგაზრდებთან შეხვედრა. უფრო გამოვცოცხლდებოდი, გავხალისდებოდი. მათ ხომ ჯერ კიდევ წინ ჰქონდათ ყველაფერი და არ ამძიმებდათ წარსულის არავითარი ტვირთი.

— რომელ საათზე? უეჭველად მოვალ. — წამოვიძახე გულწრფელად გახარებულმა

— შემოიარეთ შვიდზე. ხომ იცით ჟენევაში ადრე იძინებენ.

— კეთილი...

დანიშნულ დროს ტვერიტინოვთან შევირბინე. მასთან უკვე მრავალ სტუმარს მოეყარა თავი. მათგან მხოლოდ ორი იყო ხანშიშესული: გენერალი დომბროვსკი, ჩვენდამი თანაგრძნობის ნიშნად ეპოლეტებიანი ქურთუკით რომ მოდიოდა ზოგჯერ ემიგრანტულ შეკრებებზე, და მისი მეუღლე, მეტად კეთილი და ალერსიანი ქალი. ისინი ჟენევაში საზამთროდ იყვნენ ჩამოსული თავიანთ ქალიშვილთან, ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტ გოგონასთან, და ახლა მასთან ერთად ტვერიტინოვთან მოსულიყვნენ ჩემს გასაცნობად. მაგრამ ისინი ჩემთვის მაინც არ იყვნენ ყველაზე საინტერესო ადამიანები იმათ შორის, ვისაც მე ემიგრანტების მიტინგებსა და ინტერნაციონალის სხდომებზე ვხვდებოდი. აქ იყო კიდევ სამი პიროვნება, რომლებმაც დიდი ხანია მიიპყრეს ჩემი ყურადღება.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ინტერნაციონალის წევრი არ ვიყავი და მის სხდომებზე სტუმრად დავდიოდი, იქ თითქმის ყოველთვის ვხედავდი ნორჩი ქალიშვილების სამეულს, ისინი მუდამ ჩემს პირდაპირ ისხდნენ დარბაზში.

ერთი მათგანი — ახალგაზრდა ქართველი ქალი, რომელსაც თავადის ასულ გურამოვას ეძახდნენ, — განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო თავისი გასაოცარი სამხრეთული სილამაზით. გურამოვა ჩვიდმეტი წლის თუ იქნებოდა. საშუალო ტანის, მკერდსავსე და წელწვრილი. იგი იჯდა თავის დობილებში და დიდი შავი თვალებით აღფრთოვანებული შესცქეროდა გატაცებით მოლაპარაკე შალენს. შალენი, როგორც ეტყობოდა, ყოველთვის ლაპარაკობდა მხოლოდ მისთვის, თუმცა პირადად არც იცნობდნენ ერთმანეთს.

მეორე ქალიშვილი ამ სამეულიდან იმერეთიდან იყო, გვარად წერეთელი. მაღალი, ტანწერწეტა, წაბლისფერთმიანი. მას მეტად სათნო, ჭკვიანი და ალერსიანი სახე ჰქონდა. მესამე კი გახლდათ ნიკოლაძე, ცნობილი ქართველი მწერლის და. იგი არ იყო ლამაზი, მაგრამ თავის მეგობრებში აშკარად ხელმძღვანელის როლს თამაშობდა.

და აი ეს ახალგაზრდა სამეული, რომლისკენაც ხშირად ვაპარებდი თვალს ინტერნაციონალში, სხვა ახალგაზრდებთან ერთად თხოვდა ტვერიტინოვს ჩემს გაცნობას.

მაშინვე გარს შემომეხვია ყველა. დამიწყეს გამოკითხვა ჩემი თავგადასავლისა და იმ დასკვნების შესახებ, რომლებამდეც მივედი ჩემი პროპაგანდის შედეგად. ისინი უდიდესი ყურადღებით მისმენდნენ.

— ჩვენ ყველა თანაგიგრძნობთ თქვენ, — მითხრა წერეთელმა, როცა ჩემი ამბის თხრობა დავამთავრე. — მაგრამ ჩვენ მეცნიერებაც გვიყვარს. მისთვის ჩამოვედით აქ და ახლა გვენანება მასთან განშორება.

— მეც დამემართა ასეთი რამ, — ვუპასუხე მე, — ჩემთვისაც ძნელი იყო მასთან განშორება.

—მართლა?—გაუხარდა ქალიშვილს.—მაშ თქვენ არ უარყოფთ მეცნიერებას?

— რა თქმა უნდა, არა.

ამ წუთიდან ჩვენ ძველი მეგობრებივით ვიგრძენით თავი.

— ჩვენ სამიდან მხოლოდ კატოა აქ მშობლების ნებართვით წამოსული, — მანიშნა წერეთელმა ნიკოლაძეზე. — მე ძლივს-ძლივობით გამომიშვეს, და ისიც მხოლოდ კატოსთან ერთად. ჩვენ სამივე მეგობრები ვართ. ინსტიტუტის კურსიც ერთად გვაქვს დამთავრებული.

— მე კი გამოვიქეცი, — წარმოთქვა გურამოვამ თავისი მუსიკალური ხმით. — მშობლებს არაფრის დიდებით არ უნდოდათ ჩემი გაშვება. მათ მარტო იმის ნება დამრთეს, რომ გემამდე მიმეცილებინა ესენი და არ მომცეს საზღვარგარეთული პასპორტი. დანაღვლიანებული შევყურებდი, როგორ გადადიოდნენ ხიდურიდან გემბანზე და ნაპირზე დარჩენილს მშურდა მათი ბედნიერება. უცებ ვილაცამ დაიყვირა: წყალში კაცი გადავარდა! ხიდურზე მდგომი ჟანდარმები, საზღვარგარეთული პასპორტის გარეშე რომ არავის უშვებდნენ გემზე, წყალში ჩავარდნილს საშველად მისცვივდნენ. მე კი ამ დროს ხიდური გადავირბინე და გემის წასვლამდე მის ერთ-ერთ კაიუტაში დავიმალე. მერე კი პასპორტს აღარავინ მთხოვდა.

ეს ამბავი ძალიან მომეწონა.

— ახლა როგორღა ხართ?

— ჟენევიდან მაშინვე მივწერე მშობლებს და ისინიც იძულებულნი იყვნენ ფოსტით გამოეგზავნათ ჩემთვის პასპორტი და თეთრეული. მე ხომ, რაც ზედ მეცვა, იმის ანაბარა ვიყავი.

— წყალში ჩავარდნილი კაცი თუ ამოიყვანეს?

— დიახ, მაშინვე. ასე რომ, ვისაც ჩემს აქ ყოფნაში ბრალი მიუძღვის, სალ-სალამათი დარჩა.

ამ გულწრფელ, მიმზიდველ და სპეტაკ ახალგაზრდებთან საუბარში ისე ვიგრძენი თავი, თითქოს მინდვრის ყვავილების სურნელებას დაექროლოს, თითქოს ჩემს გარშემო გაზაფხულის პირველი ტოროლები აწკრიალებულიყვნენ.

გამახსენდა დღევანდელი შეხვედრა ლისოვსკისთან, გამახსენდა ეულად გასეირნება ქალაქგარეთ, ფიქრები გამხმარი ბალახის ღეროებზე, და სულის სიღრმეში სიხარულით წამოვიძახე:

— არა და არა! ყველაფერი როდი დაჭკნა დედამიწაზე! დამჭკნარი ყვავილების ნაცვლად აქ ახლები იფურჩქნებიან!

და მე ვიგრძენ, რომ კვლავ ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე

— მთებზე თუ ასულხართ ოდესმე? — მკითხა გურამოვამ სალამოს მიწურულს.

— არა, — მივუგე სევდიანად. — ემიგრანტებიდან არავინ არ ადის მთებზე. ამბობენ, გაზაფხულს უნდა დაველოდოთ, ახლა სალევზე ასვლაც კი შეუძლებელიაო, გადაიჩეხები თოვლიან ნაპრალში და გაზაფხულამდე ვერავინ გიპოვისო.

— მაგრამ იქნება მოვახერხოთ ასვლა! — წამოიძახა ქალიშვილმა, — ვცადოთ ხვალ! ავიდეთ, სანამდეც შევძლებთ!

— კარგი, ვცადოთ! — მივეცი დასტური მაშინვე მთელი გულით გახარებულმა, რომ ბოლოს და ბოლოს მეგობრებთან ერთად ასეთი თანამგზავრებიც შევიძინე.

მთები დიდი ხანია მიზიდავდნენ.

მეორე დღეს გათენებისთანავე ამ სამ თვალწარმტაც ქალიშვილთან ერთად ჟენევის გარეუბნიდან ქალაქის თავზე წამომართულ სალევისაკენ გავემართე. მათ, როგორც ჭეშმარიტ მთიელებს, რომლებმაც ბავშვობა კავკასიის ველებზე გაატარეს, გატაცებით უყვარდათ ბუნება.

— მოდი გავიქცეთ! — წამოიძახა წერეთელმა. — აქ ჩვენ არავინ გვიყურებს!

ყველა ერთად გავიქეცით და მივრბოდით მანამდე, სანამ უფრო სუსტი აგებულების კატო ნიკოლაძეს სული არ შეეკრა და მუხლებში ქარის ამოსაღებად ქვაზე არ ჩამოჯდა.

ფრიალო ბილიკით ავდიოდით მაღლა. ბილიკზე ბობოქარ ქარებს თითქმის მთლიანად გადაეხვეტათ თოვლი. ჩვენ ვიმყოფებოდით მთის ჩრდილოეთ ფერდობზე. მისი მწვერვალი მზეს ეფარებოდა, თუმცა ქვემოთ, მთის ვეებერთელა ჩრდილის იქით კაშკაშა სხივებზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ჟენევის ტბის ცისფერი სივრცე, რომლის უახლოესი ყურეები იქიდან გამომდინარე ზონარივით დაკლაკნილ რონასთან ერთად თანდათან რუკასავით იხატებოდა ჩვენს თვალწინ. ქალაქი შორს, ქვემოთ იწვა და აქედან მისი მაღალი შენობები ისე ჩანდნენ, თითქოს მიწის ზედაპირზე არიან გაკრულნი.

ბოლოს, როგორც იქნა, ავედით უღელტეხილზე, ორ მეზობელ მწვერვალს შორის მოქცეულ უნაგირზე, და ჩვენ წინ გაშლილი სურათის სიმშვენიერით მოხიბლულებს, აღტაცების ძახილი აღმოგვხდა.

ჩვენს ქვემოთ გაშლილი იყო ქათქათა თოვლით დაფარული, მზის ოქროსფერი სხივებით მოვარაყებული სალევის უზარმაზარი სამხრეთ ფერდობი, რომელიც ნელ-ნელა დაბლდებოდა, მერე ისევ მაღლა მიემართებოდა და ლურჯი ცის ფონზე ქმნიდა მძლავრ თეთრ მწვერვალს, რომელიც მახვილივით ელვარებდა მზეზე და დაბლა ფენდა მოცისფრო დაკბილულ ჩრდილებს.

— მონბლანი! — წამოვიძახეთ ერთხმად, რადგან ვიცოდით, რომ იგი მშვენივრად ჩანდა სალევიდან.

დიდხანს ვიდექით მოჯადოებულნი და უხმოდ გავცქეროდით შორეთს.

— რა გოლიათური უნდა იყოს ის ძალები, — ვფიქრობდი მე, — რომლებიც ასეთ ვეება ამონაზნექად აქცევს დედამიწის გეოლოგიურ ფენებს. რა არარაობად ჩანს ჩვენი წვრილმანი კინკლაობანი მათი სამსჯავროს წინაშე!

მუდმივი თოვლით დაფარული ბუმბერაზი მონბლანი დიადი საქმეებისა და გმირობისაკენ მოუხმობდა ჩვენს სულებს...

ამის შემდეგ ინტერნაციონალის სხდომებზე ყოველთვის ჩემს ნორჩ მეგობრებთან — გურამოვასთან, წერეთელთან და ნიკოლაძესთან ერთად დავდიოდი. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით, როცა ჩემს გარემომცველ ემიგრანტულ ნერვიულობისაგან უგუნებოდ შევიქნებოდი ხოლმე, რომელიმე მათგანთან გავრბოდი და მათ ნათელ, ნორჩ სულებს სინათლე და სიმშვიდე შეჰქონდა ჩემს სულში. რა თქმა უნდა, მე არ მოვუთხრობდი მათ ამ მძიმე და მკაცრი განცდების შესახებ. ჩვენ ვლაპარაკობდით და ვოცნებობდით დიდ და უანგარო საქმეებზე და მომავალიც დიდი და მომხიბვლელი გვეჩვენებოდა!

გადავწყვიტე რუსეთში დაბრუნება. დილით ჩემი განზრახვა საბლინს გავანდე. მან სწრაფად და უხმოდ გაიარ-გამოიარა ოთახში.

— მეც მოვდივარ შენთან ერთად, — წარმოთქვა მან ბოლოს, — ვიცი იქ დიდხანს სიცოცხლე არ გვიწერია, ხომ წაიკითხე „ვპერიოდში" იმათი სია, ვისაც დაეძებენ. იქ სწორადაა აღწერილი ჩვენი ნიშნები. მაგრამ ჯობია საპყრობილეში დავილუპო, ვიდრე სამშობლოდან გაძევებულმა ვუყურო თუ როგორ ილუპებიან იქ სხვები...

მეგობრები აღელვებულნი იყვნენ ჩვენი გამგზავრებით. ჩვენ ვიყავით პირველი პოლიტიკური ემიგრანტები, რომლებსაც დაეძებდა მეფის ხელისუფლება ციხისა და კატორღისათვის და რომლებიც ბრუნდებოდნენ რუსეთში არა მოსანანიებლად, არამედ თავიანთი საქმის გასაგრძელებლად...

რკინიგზის ბაქანზე ყველა პარტია მოვიდა... მატარებელი ნელ-ნელა დაიძრა.

— რა ამბით გაგვაცილეს! — თქვა საბლინმა. — ყველა პარტია, ყველა ასაკის ადამიანი დიდიდან პატარამდე მოვიდნენ ჩვენს გასაცილებლად. მაგრამ ყველაზე გულისამაჩუყებელი იყო სტუდენტი გოგონების ქართული ტრიო, რომელმაც ყვავილები მოგვართვა, ოლიკო, მაშიკო და კატო! თქვენ ხომ იცნობთ მათ?

მან ფანქარი აილო და წერა დაიწყო, თან ხმამაღლა წარმოთქვამდა ყოველ დაწერილ სტრიქონს:

Я вышел в поле. Ветры выли
Неслися тучи надо мной,
И вспомнил я Гурамишвили,
О ней скорблю больной душой.

— იცით? — შეწყვიტა მან ლექსის კითხვა. — გურამიშვილი ქართულად იგივეა, რაც გურამოვა. ახლა გადავდივარ წერეთელზე:

Я в лес вошел. Шумели ели,
Летели листья на траву,
И вспомнил я о Церетели,
Ее душой к себе зову.

— ახლა, — წამოიძახა მან, — ფიქრით მივმართავ კატო ნიკოლაძეს:

Пришел домой я. Что ж грущу я?
Скорблю ль о прошлом? нет, не то!
Отрады в прошлом не найду я,
Я вспомнил о своей Като!

შინ რომ დავბრუნდი, გრძელი გამოსათხოვარი წერილი მივწერე ჩემს ჟენეველ მეგობრებს — მაშიკოს, ოლიკოსა და კატოს, რადგან ჟენევიდან შემორჩენილ საუკეთესო მოგონებად დამრჩნენ სწორედ ისინი თავიანთი გულწრფელობით, მეცნიერებისადმი სიყვარულით და ჯერ კიდევ ცხოვრებისაგან გაუთელავი ნათელი სულებით. ჩემი წერილი მთელი პოემა იყო პროზად და ოცდათორმეტ გვერდს მოიცავდა.



## საინტერესო თემაზე

### ერთი მისტიფიკაციის ისტორია

ეს გახმაურებული და მეტად საინტერესო ისტორია 66 წლის წინათ დამთავრდა. ფრანგი ჟურნალისტი ლეო ტაქსილი რელიგიის მამხილებელ ბრწყინვალე პამფლეტებს წერდა. იგი გონებამახვილურად დასცინოდა ფარისევლურ რელიგიურ მორალს, მკითხველებს მოუთხრობდა „ეკლესიის მამების" ბნელ საქმეებზე.

ლეო ტაქსილის ნაწარმოებებს („გასართობი ბიბლია", „აღსარება და აღსარების მიმღებნი", „პაპი პიი IX ამურები" და ა. შ.) გატაცებით კითხულობდა [illegible] ადამიანი. [illegible] წიგნებმა მრავალ მორწმუნეს აუხილა თვალი. [illegible] როგორც ამბობდნენ, ლეო ტაქსილი [illegible] მეტად სახიფათო ადამიანი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა.

1884 წელს რომის პაპმა ლევ XIII გამოაქვეყნა მიმართვა. ამ მიმართვაში იგი კათოლიკებს მოუწოდებდა მასონების წინააღმდეგ საბრძოლველად (მასონები მისტიკური ხასიათის საიდუმლო [illegible] წევრები იყვნენ, რომლებიც პაპის რწმენით, ძირს უთხრიდნენ ეკლესიასა და სამეფო ტახტს. დაიწყო ეკლესიის მსახურთა ხმაურიანი ლაშქრობა მასონების წინააღმდეგ. ლეო ტაქსილის თავშესაქცევი ისტორიაც სწორედ აქედან იწყება.

ლეო ტაქსილმა გადაწყვიტა შექმნილი მდგომარეობის გამოყენება, ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა, რომ იგი გმობს თავის ათეისტურ შეცოდებებს და კათოლიკურ ეკლესიას უბრუნდება.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაუხარდებოდათ ეს ამბავი ვატიკანში. დიდად ცოდვილი ადამიანი მონანიების გზას დაადგა! იეზუიტმა მამებმა თხოვნით მიმართეს ტაქსილს — თავისი მახვილი კალამი ახლა ქრისტიანული რწმენის დასაცავად მიემართა.

ტაქსილმა ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც მკითხველებს უწმინდურ ძალებთან ადამიანების კავშირის შესახებ მოუთხრობდა. მასონების კრებებზე, ირწმუნებოდა ტაქსილი, ხშირად ტარტაროზი თავმჯდომარეობსო. იგი აღწერდა მასონების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების თავიდან ბოლომდე მის მიერ გამოგონილ, ცინიზმით სავსე ამბებს.

კათოლიკური ეკლესია აღფრთოვანებით შეხვდა ფრანგი ჟურნალისტის „მხილებებს".

ტაქსილის მომდევნო ნაწარმოებებში მკითხველები ეცნობოდნენ სულ უფრო და უფრო უაზრო გამონაგონებს ადამიანისა და ეშმაკის ურთიერთობათა შესახებ. ერთხელ, ვილაცამ მორიდებით უთხრა ავტორს, რომ მის ნაწარმოებებში მოთხრობილი ამბები უკვე აღარავის არ სჯერა. „არა უშავს, — უპასუხა ტაქსილმა, — ამ ამბებს რომი და კათოლიკური ეკლესია დაიჯერებს".

ტაქსილი არ ცდებოდა. კათოლიკური ეკლესიის მამებს სჯეროდათ მის მიერ შეთხზული აბდაუბდა; მაგალითად, ვატიკანი აღტაცებით გამოეხმაურა დიანა ვოგანის „მოგონებებს". ვოგანი ტაქსილის მდივანი იყო და, გასაგებია, რომ მისი „მოგონებანი" ტაქსილის მიერ იყო დაწერილი. „მონანიებული, ცოდვილი ქალი" ამ ნაწარმოებში აღიარებდა, რომ იგი იყო ეშმაკების შვილი და ცოლი, რომ მათთან ერთად ხშირად მიფრინავდა მარსზე.

როგორც გადმოგვცემენ, თვით პაპი ლევ XIII დიანა ვოგანის ნაწარმოებს „უდიდესი კმაყოფილებითა" და „გატაცებით" კითხულობდა.

ლეო ტაქსილს „ეკლესიის მნათობი" უწოდეს, 1896 წელს, როცა იტალიაში საერთაშორისო ანტიმასონური კონგრესი შეიკრიბა, ტაქსილის პორტრეტი... წმინდანთა გამოსახულებების გვერდით მოათავსეს.

მას შემდეგ ერთი წელიწადიც კი არ გასულა, რომ მოულოდნელად უდიდესი სკანდალი მოხდა. მწერალმა პარიზში გამართულ ერთ-ერთ დიდ კრებაზე საჯაროდ განაცხადა, რომ 12 წლის მანძილზე იგი განზრახ ასულელებდა „კათოლიკური ეკლესიის მამებს". ტაქსილმა აღიარა, რომ მის მიერ „უწმინდური ძალის" შესახებ მოთხრობილ ამბებში იოტისოდენა სიმართლეც არ ურევია. ყოველივე ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ ადამიანებისათვის დაენახვებინა, რაოდენ ახლოს არის ერთმანეთთან რელიგია და ყველაზე ბოდვითი, ყველაზე სულელური მისტიკა. „ახლა თქვენ დარწმუნდით, რომ მთელ კათოლიკურ სამყაროს, უცოდველ პაპთან ერთად, სერიოზულად სჯერა ყველა ის სისულელე და მისტიფიკაცია, რაც მე მოვჩმახე". — ასე დაასრულა თავისი აღიარება ლეო ტაქსილმა.

„წმინდა მამებისათვის" ადვილი როდი იყო ასეთი დარტყმის გადატანა. ერთადერთი, რაც ამ უბადრუკ მდგომარეობაში შეეძლო გაეკეთებინა რომის გაავებულ პაპს, ის იყო, რომ მან შეაჩვენა და ეკლესიიდან გააძევა მამაცი მწერალი.

რა თქმა უნდა, ამას სრულიადაც არ დაუმწუხრებია ათეისტი ტაქსილი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავდადებით იბრძოდა ცრუმორწმუნეობისა და უვიცობის წინააღმდეგ.

საინტერესო თემაზე
საინტერესო თემაზე



# დაუღალავი მოამაგე

(თედო სახოკიას დაბადების 95 წლისთავის გამო)

თედო სახოკია სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა ჩვენი დიდი მწერლები ხალხში აღვიძებდნენ ეროვნულ თვითშეგნებას და ბრძოლას უცხადებდნენ მონარქიულ თვითმპყრობელურ რეჟიმს. თედო სახოკიასაც, ამ დიდ მოღვაწეებთან ერთად, თავის ნიჭიერი კალმით და პრაქტიკული მოღვაწეობით ხალხში შეჰქონდა განათლება, კულტურა და სამშობლოს სიყვარული. ის ექომაგებოდა ოდესღაც სამშობლოს მოწყვეტილ აჭარელ ქართველებს, ლაზ, გურულ და სამურზაყანოელ გლეხებს. თედო სახოკია იყო მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, შემკრები ხალხური ანდაზებისა და ხალხური იგავებისა, ავტორი მრავალი მეცნიერულ-პუბლიცისტური წერილის, გამოკვლევისა და მონოგრაფიის. მან ყველა ამ დარგში უაღრესად თვალსაჩინო მემკვიდრეობა დაუტოვა თავის საყვარელ ერს. თედო სახოკიას ღვაწლი, კერძოდ, ლექსიკოგრაფიის დარგში ფასდაუდებელია, მისი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ უბადლო შენაძენია ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისათვის. თედო ახლო იცნობდა და მეგობარი იყო ჩვენი დიდი მოღვაწეების: ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, ნ. ნიკოლაძის, ე. ნინოშვილის, რაფიელ ერისთავის, ვანო მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილის, ვასილ ბარნოვის, პეტრე უმიკაშვილის, ნიკო ლომოურის, შიო არაგვისპირელისა და ყველა მათ შესახებ საყურადღებო, წრფელი გულით დაწერილი მოგონებანი დაგვიტოვა.

თედო სახოკიამ თარგმნა ბოკაჩიოს „დეკამერონი“, ჯუზეპე გარიბალდის „კლელია“, მოპასანის, ვოლტერის, ემილ ზოლას, ანდერსენის და ბარბიუსის არა ერთი ნაწარმოები, ივანე ვაზოვის „დამონებულნი“, ბოროზდინის „სამეგრელო“, მისივე „ბატონყმობა სამეგრელოში“ და სხვ. თედო სახოკიას კალამს, კაპიტალური ნაშრომის „ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ გარდა, ეკუთვნის „ხალხური ანდაზები“, „მოგზაურობანი“ (გურია, აჭარა, სამურზაყანო და აფხაზეთი). ეს ნაწარმოები იშვიათი ნიმუშია დოკუმენტური პროზისა, სადაც ავტორი ცხოვლად გვიხატავს ძველი გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის გლეხთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ადათ-წესებს.

XIX საუკუნის განათლების ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის თედო სახოკიას მოგონებას „ძველად ანუ როგორ ვიზრდებოდით“, სადაც ავტორი იმის ნათელ სურათს იძლევა, თუ რა უსულგულოდ ეკიდებოდნენ მონარქიულ რუსეთში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

თედო სახოკიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში. ის თავისი მახვილი კალმით და პრაქტიკული საქმიანობით ებრძოდა მეფის თვითმპყრობელობას, რისთვისაც არა ერთხელ ყოფილა დევნილი და გადასახლებული ციმბირის შორეულ კუთხეებში. თედო სახოკია კავკასიის სამხედრო სასამართლოს საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა.

1905 წელს თედო სახოკიამ საზღვარგარეთიდან იარაღი შემოიტანა, რისთვისაც ის 1907 წელს ქალაქ სოხუმში დაიჭირეს და ციმბირში სამუდამოდ გადაასახლეს, მაგრამ გადასახლებიდან ერთი წლის შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცა და იქ ეწეოდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ციმბირში გადასახლების შესახებ თედო სახოკიას დაწერილი აქვს მეტად საინტერესო მოგონებანი.

თედო სახოკიამ დაამთავრა პარიზის ანთროპოლოგიური უმაღლესი სასწავლებელი. 1903 წელს აირჩიეს პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად. პარიზის ჟურნალ-გაზეთებში იგი ათავსებდა საინტერესო წერილებს და კორესპონდენციებს.

„რაც უნდა მძიმე იყოს შენთვის დიდუბის მწერალთა პანთეონის მიწა, — თქვა გერონტი ქიქოძემ პანთეონში თედო სახოკიას ცხედრის წინაშე, — იმაზე უფრო მძიმე არ იქნება, რაც შენ სიცოცხლეში ატარე შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

ალ. სიგუა



# ჩვენი მეგობარი

ოლექსა ნოვიცკი ცნობილი უკრაინელი პოეტია. მან ქართველ მწერალთა მრავალი ნაწარმოები თარგმნა უკრაინულ ენაზე. მათ შორის ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“, სულხან-საბა ორბელიანის, გრ. ორბელიანის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ს. შანშიაშვილის, მ. ბარათაშვილის, ა. შენგელიას, ი. ნონეშვილის, ბ. ბერულავას ნაწარმოებები. პოეტმა შეადგინა „ქართველი ხალხის პოეზიის“ ორტომიანი ანთოლოგია და დაურთო მას სათანადო შენიშვნები. ეს ანთოლოგია გამოვიდა კიევში მიკოლა ბაჟანის, ოლექსა ნოვიცკისა და სიმონ ჩიქოვანის რედაქციით.

ვბეჭდავთ ოლექსა ნოვიცკის ახალ ლექსებს.

* * *

 აი, თბილისის ჭადრები ისევ.
ისევ ქართული ზეცა კრიალა,
დავალ და ქართულ სიმღერებს
ვისმენ,
გულში რომ ლექსად გაიწკრიალა!
ღიმილით დამხვდა ძმების მამული,
და შავნაბადის ხელს ვართმევ ნიავს,
მაგრამ მე ერთი მკლავს სიყვარული,
და ამ სიყვარულს სხვიტორი ჰქვია.
იქ, აკაკისთან, ცხელ სავანეში,
ჩემი ტარასის „კობზარიც“
ცოცხლობს,
და იმერეთის მყუდრო ღამეში,
მისგან დანთებულს მე ვხედავ
კოცონს!
მთით მომყვირალი ყვირილას ხმაში,
მე იმ ბრძოლების გუგუნიც მესმის,
რომელსაც ჰქმნიდა, უკვდავებაში
აწ გადასული ტარასის ლექსი...
გავხსენი გული, ზეცა ქართული,
მთაწმინდის ზეცა, და შუქით სავსე
ქართველ ასულთა ხმა მოკისკასე,
დავაბინავე, შიგ მოვათავსე!
მაშ, გაუმარჯოს ბუდეს ძმობისას,
პირთა რკინების დროს რომ აშენდა!
დღეს რომ ძალა მაქვს მეგობრობისა,
მიწავ ქართულო, ვალში ვარ შენთან!

* * *

ზეცა რომ თავის ფირუზის ფერებს
მიმოაფრქვევს და მოქარგავს
ველებს,
ქარი რომ მძლავრ და უხილავ
ხელებს
ტოტებს შემოკრავს და აამღერებს,

ვრცელ ტრამალებს რომ ვერ
უწვდენ თვალებს;
გზად რომ გაბმულან
ცისარტყელები,
ეს არის ჩემი სამშობლო მხარე,
მას ვუმღერი და მას ვეფერები.

მე ბავშვობიდან მის სურნელს
ვსუნთქავ,
და მე საბერველს მიგავს ფილტვები,
მინდა ქვეყანას ხმამაღლა ვუთხრა,
რომ მხოლოდ მისი ეშხით ვითვრები.

მინდა ქვეყანას ხმამაღლა ვუთხრა,
რომ ეს მთა, წყალი, ეს ცხელი მიწა,
თვით მე ვარ, — ყველგან,
ყოველთვის, მუდამ,
მე მხოლოდ მისი სიმღერა მიცავს.

აქ ალულუნდა ჩემი აკვანი,
აქ ვწოვე მიწის რძიანი მკერდი,
აქ, ვით ქალწულნი, ლოცვით,
თაყვანით.
დამიკოცნია არყები თეთრი.

აქ შევხვედრივარ ცეცხლს და
ქარიშხალს,
როს მეხს და რისხვას სთესდა
ვერაგი.
აქ დაცხრილული მქონდა პერანგი,
აქ სისხლიანი მქონდა პერანგი...

მზე, ყვავილების წყება და წყება,
მზე, მზეში დნეპრის გუგუნი
მძლავრი,
ჩემი სიმღერა ასე იწყება,
ჩემი სამშობლო, აი, ეს არის:

ზეცა რომ თავის ფირუზის ფერებს,
მიმოაფრქვევს და მოქარგავს
ველებს,
ქარი რომ მძლავრ და უხილავ
ხელებს
ტოტებს შემოკრავს და აამღერებს.

* * *

წავალ, დავკრეფ ყვავილს შენთვის,
სიყვარულის გეტყვი ლოცვას,
ოღონდ ერთი, მხოლოდ ერთი,
კიდევ ერთი კოცნა!

შენით ვცოცხლობ, შენგან ვხარობ,
ვინძლო, არსად გამეპარო,
სიმღერის და ცისკრის ქალო,
გაზაფხულის დედოფალო!

დარჩი ჩემთან, ვიდრე გულებს
წვის და თრთოლვის შესწევთ ძალა,
ძილში მაინც მინახულე, —
სიცოცხლისთვის ესეც კმარა.

წავალ, დავკრეფ ყვავილს შენთვის,
სიყვარულის გეტყვი ლოცვას,
ოღონდ ერთი, მხოლოდ ერთი,
კიდევ ერთი კოცნა!

თარგმნა ალეკო შენგელიამ

# ღელავს ხოდაბუნი

**ეთერ ჯღამაძე**

ღელავს ხოდაბუნი, მწვანე ხოდაბუნი.
ვდგავარ, ჰოდა, გული
ისე მიფართქალებს,
აჰა, თვალი მოვკარ
ჩემი სოფლის ქალებს.

მიყვარს გარიჟრაჟზე,
ველში გაჭრა მიყვარს.
ასულს მხნეს, ვაჟკაცურს
ღამე რად გამრიყავს?
შენ თუ დილის ძილმა
ისე დაგიბრიყვა,
რომ სიტყვებიც შენი
იმ ტკბილ სიზმრებს მიჰყვა.
მე თავთუხის ზღვამდე
მიმაცილა სიომ...
დილით წამოფრენილს
ველარ დამეწიო,
თუნდ ჰოგრიტის თვალით
საღამომდე მსდიო...

* * *

სერზე ვდგავარ, ულრუბლო
ზეცა თავზე დამყურებს.
მწვანე ჰადრის ტოტებმა,
ჩრდილი გადმომახურეს.
შვენით ნამის საყურე,
რძიანებს და სამყურებს.

დავხტი, ვცელქობ და გული
ნეტარებით მევსება.
დედა მეალერსება,
სიოც მეალერსება.
იქნებ, ჩემი ბავშვობაც,
დამიბრუნონ ლექსებმა...

# მე კი მაშინებს...

**ნანული ქებურია**

რამდენი კვირტი იფეთქებს ხეზე,
რამდენი ფიფქი გაყვება ქარებს...
მზესუმზირები იწვიან მზეზე,
იწვიან, მაინც არ ხრიან თვალებს.

რამდენჯერ რალაც გწვავს და
გახარებს,
ცადაც მიფრინავ, მიწაზეც წვები.
მაგრამ ძვირფასო, მითხარ, ამ მხარეს
დაბრუნებული გინახავს წლები?!

რომ დაგინახავ, ჩემო ხატებავ,
არ მოვიმარჯვებ სარკეს მაშინვე.
ხომ არ მაკლდება, მომემატება:
მომემატება და... რა მაშინებს.

# საუკუნის პატარძალი

**ქიშვარდ ისაკაძე**

ასთექვსმეტი წლის მოხუცს ალათი ისაკაძე-სხირტლაძეს ასი წელი შეუსრულდა ქორწინებიდან.

— მოდიან! — ბავშვმა იყვირა...
— მოდიან! — აჰყვნენ სხვანიც,
და საცარციას მოადგა,
ორასი ცხენოსანი.
გზა და გზა ავი ძაღლები
და დამბაჩები უეფდნენ.
მაყრიონს ფიცხი თეთრონით,
წინ მოუძლოდა ნეფე.
რაჭულ თონესებრ გახურდა:
სიმღერა,
ცეკვა,
ტაში...

და წაიყვანეს ასული
მუხლიდან მრავალძალში.
ეს იყო ასი წლის წინათ,
რვაას სამოცდა სამ წელს,
იმ ქორწილს, ვინც კი მოესწრო,
დღეს ყველას მიწა აწევს.
მაგრამ ჩვენს დროს კვლავ შემხარის,
იმ ღამის პატარძალი...
და ასთექვსმეტი წლის ქალით,
ამაყობს მრავალძალი...

# შენაქოელი ქალიშვილი

მის დაბადებას მაშხალებით არ მიგებებიან და არც ცხენები დაუოთხებიათ სამახარობლოდ. დაიბადა თუშურ ბაშტეში, რომლის კარშიც კაცი ოთხად მოკეცილი თუ შევიდოდა. მაცნემ ქალაის დაბადების ამბავი მიიტანა იმედიძეების ოჯახში და პაპა ლუხუმმა მომარჯვებული თოფი უხმოდ მიაყუდა კუთხეში. ბერდედამ კი სანთელი დაანთო და ხატს შეავედრა ახლად დაბადებული... მერე დედა გარდაეცვალა პატარას, მას კი სტუმრად წასული ეგონა. წამოიზარდა, ანა-ბანა სიპ ქვაზე წინდის ჩხირების კაწვრით ისწავლა. მამამ ალვანში ჩამოიყვანა. სკოლაში მიაბარა, მერე კი თელავში გადაიყვანეს და ერეკლესეული სასახლის თალებქვეშ თუში გოგონას წკრიალა ხმაც გაისმა.

ბარში ჩამოსული შენაქოელი გოგო პირველ ხანებში ვერ ეგუებოდა ქალაქურ ცხოვრებას, მაგრამ ცოდნის დიდმა წყურვილმა ანა დედაქალაქშიც ჩამოიყვანა და სიბრძნის ტაძარს აწვია. ლექციებში, კამათში, სესიებსა და მეცადინეობაში სწრაფად გაირბინა ხუთმა წელმა. ანამ ცხოვრების საგზური მიიღო და პანკისის ხეობის სოფლებს მიაშურა, რათა პატარებისათვის ქართული ენა და ლიტერატურა ესწავლებინა.



ერთხელ რუსთავიდან სკოლის ამხანაგი ეწვია ანას. ამბად ჩამოუტანა: მეტალურგიული ქარხანა მოსწავლეთა ოთახს ხსნის და იქნებ ჰკუაში დაგიჯდეს იქ ჩამოსვლაო. შეუჩნდა სტუმარი, შენი ძმაც ხომ რუსთავში აპირებს ქიმიურ ქარხანაში მუშაობასო.

ანა დათანხმდა.

რუსთავმა იგი შვილივით მიიღო და შეითვისა. მალე ტურისტული საგზურიც მისცეს კარპატებსა და როდოპის მთებში სამოგზაუროდ. შინ რომ დაბრუნდა, ახალგაზრდა ბულგარელი სტუდენტის წერილმა მოაკითხა სოფიიდან: „ძვირფასო ანიკო! შენ უცნაურად შემოიჭერი ჩემს ცხოვრებაში, დიდხანს ვერ დაგივიწყებ. დავცქერი ხშირად შენს სურათს და გული მძიმდება, ძნელია იმის გრძნობა, რომ ჩვენი ხელმეორედ შეხვედრის იმედი ასე პატარაა"...

არა, არ შეიძლება ასე ადვილად იმედის გადაწყვეტა. იმედი და რწმენა გულს უკაჟებს ადამიანს, იმედი და რწმენა ასაზრდოებს მის ბრძოლას მომავლისათვის, ამ პატარა გოგო-ბიჭების ხვალინდელი ნათელი და მშვიდობიანი დღისათვის.

ანა სიყვარულით შესცქერის ბავშვებს. მეტალურგთა კულტურის სასახლის ფართო, მზიან ოთახში ცალ-ცალკე მაგიდებს მისხდომიან მეტალურგთა შვილები და გაკვეთილს ამზადებენ. აი, იმ თეთრბაბთიან, გამხდარ გოგონას არითმეტიკა უჭირს, ის ბიჭი კი, თვალები რომ ეშმაკურად უციმციმებს, ძალიან ცელქია. ანა თვითეულ მათგანთან მიდის, მაგიდისკენ იხრება და სიტყვას აშველებს გაჭირვებაში ჩავარდნილ პატარას.

მან ხომ თვითონაც კარგად იცის რა ძალა აქვს სწავლის წყურვილს.

ნანა ჩიგოგიძე

# თეთრხალათიანი ადამიანები

დაწყნარებული და მადლიერი გამოდის კაცი კბილის ქირურგიული კაბინეტიდან. ითხოვს ავადმყოფთა შთაბეჭდილებების წიგნს. თბილისის მეოთხე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩნდება კიდევ ერთი ახალი ჩანაწერი.

როგორი კმაყოფილია სოჯარმაგეს მიღწეული ივანე ოდიშარია! ტკივილს პირდაპირ გაუწამებია ადამიანი. ნადიკო ნარიძის თბილმა ხელმა ძილი და მოსვენება დამიბრუნაო, წერს გიორგი ლაღიძეც. ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ლიდა ჩიგოგიძე იქვე აღნიშნავს: მთელ ოჯახს ნადიკო ნარიძემ გვიმკურნალა. ძალზე კეთილი, სიმხნევის შთამბეჭდავი სპეციალისტიაო.

ოცდახუთი წლის ქალიშვილი, რომელმაც ის-ის იყო თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, ცალფად შეუყვა ცხოვრების აღმართს. ბევრი რამ იწვნია და გაიგო. სოხუმის პირველ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში სამუშაოდ გაგზავნილ ახალბედა ექიმს ტაშითა და თაიგულებით როდი შეხვდნენ რკინიგზის სადგურზე. მას ხომ არავინ იცნობდა. ერთი ანგეშა, ხალისიანი და ცეცხლივით გოგონა იყო მხოლოდ. ქუჩა აიარა და პოლიკლინიკას მიაკვლია...

წლების მერე ისევ თბილისს დაუბრუნდა პრაქტიკამიღებული, ცოდნაგაღრმავებული, იმედიანი და მეოცნებე.

პირველ ხანებში ნადიკო ნარიძე სტომატოლოგიური ინსტიტუტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის ლაბორანტია. რამდენიმე წელს იმუშავა ამავე ინსტიტუტის ორდინატორად. უკვე თექვსმეტი წელია მეოთხე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმია.

თვითონაც მყუდრო, პატიოსანი ოჯახის პატრონს სხვათა სიმშვიდე და მყუდროება ყველაფერს ურჩევნია.

ახლა ორი შვილის — ქალ-ვაჟის დედაა ნადიკო, სათნო, მზრუნველი ქართველი დედა. დალი თვრამეტი წლისაა, სტუდენტია; არჩილი თექვსმეტისა, მეათე კლასში სწავლობს.

ჩვენი ექიმი ოჯახსაც უვლის და საზოგადო საქმესაც მშვენივრად ართმევს თავს. რაიონული საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატია. თავისი პროფესიის ერთგული ქალი უყვართ ამხანაგებს, კოლეგებს. დაუცხრომელი საზოგადოებრივი საქმიანობა სრულიადაც არ უშლის მას ხელს იყოს კარგი დედა და თვალში შეჰფოფინებდეს ქმარ-შვილს.

დილიდან, გვიან, ღამემდე, ფეხზე დგანან თეთრხალათიანი ადამიანები საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში. თეთრხალათიანი ქალები და კაცები დღედაღამ თავს დასტრიალებენ, ამხნევებენ და ჯანმრთელობას უბრუნებენ ასობით მოხუცსა თუ ახალგაზრდას. თეთრხალათიან ადამიანთა მთელი არმია შრომობს და იღწვის მედიცინის მრავალ დარგში. თეთრი ხალათის უბრალო გამოჩენაც კი სიმხნევესა და შვებას ჰგვრის ავადმყოფს.

თეთრხალათიანი ადამიანები თავიანთ კეთილშობილურ საქმეს პატიოსნად ემსახურებიან თბილისის მეოთხე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაშიც. ჩვენს ნაცნობ ქირურგიულ კაბინეტშიც ჩვეულებრივი საქმიანობაა. დროდადრო ვიღაც წამოიკვნესებს. საიმედოდ ტრიალებს ექიმი-სტომატოლოგი ნადიკო ნარიძე და ყოველდღიურად აუტანელი ტკივილისაგან ანთავისუფლებს ათობით პაციენტს.

ვ. რიონელი

# როცა წკრიალებენ ტელეფონები

ფოტო გ. თიკანაძისა



ტელეფონი დროს ახანგრძლივებს

დაუჯერებელია. მაგრამ ასეა.

ჩვენი ეპოქა ხომ არა მარტო მანძილისა და სივრცის, არამედ დროის დაპყრობის ეპოქაცაა. ადამიანის გონება ჯერ კიდევ შორსაა იმ ზღუდეებიდან, რომელთა გადალახვით თითქოსდა საბოლოოდ ამოიწურება ბუნების შემეცნების შესაძლებლობა. მაგრამ დროზე, ჩვენი ცხოვრების ამ ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას ფაქტორზე, იგი უკვე ნელ-ნელა იწყებს მბრძანებლობას. რადიო, ტელეგრაფი, ტელევიზია, გამოსათვლელი კიბერნეტიკული მანქანები და ჩვენი საუკუნის მრავალი მსგავსი საოცრება მისთვის არსებობს, რომ ადამიანმა დაზოგოს დრო, დაზოგოს ძალები, გაიადვილოს სამყაროს ათვისებისათვის გამართული ტიტანური ბრძოლა.

თქვენ გეჩქარებათ. თქვენი მეგობარი ხვალ ლენინგრადიდან ვარშავაში უნდა გაფრინდეს. თქვენ კი გსურთ მისი მეოხებით რამდენიმე დიდად მნიშვნელოვანი წიგნი გადასცეთ ვარშაველ კოლეგებს, ეს წიგნები მხოლოდ ლენინგრადში იშოვება. და თქვენ იღებთ ტელეფონის მილს.

ადრე ამ უზარმაზარი მანძილის დაფარვას მალემსრბოლები თვეებს ანდომებდნენ. მეფე ვახტანგ მეექვსეს თითქმის ხუთი თვე დასჭირდა პეტერბურგამდე. ახლა კი აქვე, თქვენს ოთახში კრეფთ რამდენიმე ციფრს შავ აპარატზე და მეგობარი, თითქოს ოთახში შემოვიდაო, გიწყებთ საუბარს.



ახალი დანადგარების დამონტაჟება.

ის, რასაც წინათ თვეებს ანდომებდნენ და უდიდეს ენერგიას ხარჯავდნენ, ახლა სულ რამდენიმე წუთში კეთდება და თანაც ისე, რომ ადამიანი ადგილიდან ფეხსაც არ იცვლის.

## პირველი ზარი რომ აწკრიალებულიყო

თბილისში ძლივს აამუშავეს პირველი ორმოცდაათ ნომრიანი სატელეფონო სადგური. ეს იყო 1893 წელს. საინტერესო ის არის, რომ ფირმამ, რომელმაც ითავა ქალაქში სატელეფონო სადგურის აგება, კარგა ხანს ტელეფონის მსურველი ვერ გამონახა. სხვა რომ არა ვთქვათ, ტელეფონზე უარი თქვა კავკასიის ჯარების საინტენდანტო სამმართველომ, და რაც უფრო საკვირველია, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომაც კი.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოძებნეს ოცდაათიოდე მოქალაქე და დაიწყეს სადგურის მშენებლობა. სადგური საკმაოდ პრიმიტიულად იყო მოწყობილი. გამომძახებელ და მოპასუხე აბონენტებს აერთებდა ტელეფონისტი ქალი. როგორც სადგურს, ისე ტელეფონის თვითეულ აპარატს ჰქონდა დენის საკუთარი წყარო, რაც აპარატებს მეტად მძიმესა და ძნელად მოსახმარს ხდიდა. და თუმცა ბევრი ნიჭიერი გამომგონებელი მუშაობდა მათ გაუმჯობესებაზე, მათ ჩანაფიქრსა და ინიციატივას უსულგულოდ ახშობდნენ მეფის მთავრობის მოხელეები.

ტელეფონი თანდათან პოპულარული და სასარგებლო გახდა მოსახლეობისათვის, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არავინ არ ზრუნავდა ცხოვრებაში მის ფართოდ დანერგვაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიამ და მთავრობამ დიდი ყურადღება დაუთმეს სატელეფონო კავშირის განვითარებას, რადგან სახელმწიფოს მართვისა და მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში იგი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

1929-30 წლებში უკვე ხორცი ესხმება თბილისში პირველი ავტომატური სატელეფონო სადგურის პროექტს და 1931 წელს იწყება მისი მშენებლობა და მიწისქვეშა სატელეფონო ნაგებობათა მონტაჟი. სამი წლის შემდეგ კი ჩვენს დედაქალაქში პირველად ამუშავდა მანქანიანი სისტემის 10.000 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, რომლის მთელი მოწყობილობა დამზადებული იყო ლენინგრადის ქარხანა „წითელ განთიადში".

ამ სადგურის მშენებლობისა და მონტაჟის პროცესში გამოიწრთო ბევრი ახალგაზრდა ტექნიკოსი. შემდეგ სატელეფონო კავშირის დამსახურებული სპეციალისტები ვასილ კობაიძე, ვასილ ნარიაშვილი, დავითიანი, ლევან გოცირიძე, ისაკ სოიფერტისი და სხვა მათ თავიანთი უმწიკვლო მუშაობით თბილისის მოსახლეობას შეაყვარეს ქალაქის პირმშო — ატს № 3.

## როცა ქალაქი მხრებში იშლება

მაშინ უკვე ძნელი ხდება მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებათა დაკმაყოფილება ათი ათასი ნომრით. სატელეფონო კავშირზე „შიმშილმა" განსაკუთრებით ომის შემდეგ იჩინა თავი და ისიც თბილისის ისეთ მზარდ რაიონებში, როგორიცაა ვაკე, ავჭალა და ნავთლუღი. საჭირო გახდა ახალი სადგურების აგება, მათი მოწყობა ტექნიკის უახლესი მიღწევებით.

1954 წელს 26 კომისრის რაიონში ამუშავდა 1000 ნომრიანი ახალი სადგური — ატს № 4. ეს იყო პირველი სადგური თბილისში, რომელიც მუშაობდა ე. წ. ნაბიჯებიანი სისტემით.

1955-56 წლებში სატელეფონო ქსელის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა და დამონტაჟდა კვანძი — ატს № 2, რომელმაც ვაკის, საბურთალოსა და ავჭალის მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებებისათვის მოგვცა 2500 სატელეფონო ნომერი.

1961-62 წლებში ჩვენმა დედაქალაქმა მიიღო კიდევ ორი დიდი ავტომატური სატელეფონო სადგური — 6000 ნომრიანი ატს № 7 და 10.000 ნომრიანი ატს № 5, მალე მათ მიემატა ატს № 9.

მაგრამ დედაქალაქი დღითიდღე იზრდება, იზრდება მისი მოსახლეობაც, წარმოება-დაწესებულებების რიცხვიც. მარტო დიღომის, ავჭალისა და ნავთლუღის ტერიტორიაზე გაშენდა მრავალი ახალი საცხოვრებელი კვარტალი, სადაც ათეულ ათასობით ადამიანი ცხოვრობს. ისინი სამართლიანად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ უზრუნველყოფილნი არ არიან სატელეფონო კავშირით. ამიტომ სატელეფონო ქსელის სწრაფი ტემპით გაფართოება ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

მაგრამ სატელეფონო სადგურების ტევადობა ვერ გადიდდება. დაკავებულია ინდექსები — 2, 3, 4, 5, 6, 7, 9. დარჩა ინდექსები 1, 8 და 0. ინდექსი 0 გვაძლევს მიმართულებას სპეციალურ ხაზზე, სადაც ჩაბმულია სპეციალური დანიშნულების სამსახური, მაგალითად, 01— სახანძრო რაზმი, 03—სასწრაფო დახმარება და ა. შ.

ინდექსი 8 გათვალისწინებულია საქალაქთაშორისო კავშირისათვის. ამიტომ რაიონის სატელეფონო სადგური მას ვერ გამოიყენებს. თავისუფალი დარჩა მხოლოდ ინდექსი, 1. თუ ვიგულისხმებთ, რომ ყველა დაკავებულ და ამ თავისუფალ ინდექსზე (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9) საშუალოდ 10000-დე ნომერი მოვა, მაშინ სულ თბილისში 80.000 სატელეფონო ნომერი გვექნება, თუმცა დღეისათვის ესეც უკვე არასაკმარისია. ამ შემთხვევაში უნდა გავადიდოთ მძებნელთა საფეხური, ე. ი. თუ ახლა აბონენტის გამოსაძახებლად ვკრეფთ 5 ციფრს, მძებნელის საფეხურის გადიდების დროს საჭირო გახდება 6 ციფრის აკრეფა. მაგალითად, 1—3—11—12 ან აპარატის დისკოზე ციფრი 1-ის შესაბამისი ასო A ანუ A—3—11—12.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა ე. წ. კოორდინატული ავტომატური ტელეფონების სადგურის დანერგვისათვის, რაც კიდევ უფრო სრულყოფილსა და მოქნილს გახდის ქალაქის სატელეფონო ქსელის მუშაობას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ატს № 3 შეიყვარა დედაქალაქის მოსახლეობამ. ეს ბუნებრივიცაა, ოცდახუთი წლის მანძილზე ამ მანქანიანმა ატს-მა ბევრი „სიკეთე" გაუკეთა თბილისელებს. მაგრამ ამ სისტემის სატელეფონო სადგურს ჩვენ თანდათან ვცვლით არა იმიტომ, რომ მას აღარ შეუძლია მუშაობა, არამედ თავისი ძველი კონსტრუქციული მონაცემების მიზეზით. ახალ სისტემებთან ერთობლივი მუშაობა მისთვის შეუძლებელი ხდება. ხშირად, როცა ლაპარაკის ან ნომრის აკრეფის დროს რომელიმე ხელსაწყო „აურევს", ჩვეულებრივ ამას ახალ სატელეფონო სადგურებს აბრალებენ ხოლმე, ნამდვილად კი ამაში ძირითადად დამნაშავეა ატს № 3. მალე აქ მოიხსნება ძველი დანადგარები. მათ ადგილს დაიჭერს უფრო სრულყოფილი მოწყობილობა იმავე ინდექსი 3-ით და აბონენტთა უკმაყოფილებასაც ადგილი აღარ ექნება.

## ვეცდებით დავაკმაყოფილოთ

თუ იმ შენობაში შემოიხედავთ, სადაც ქალაქის სატელეფონო ქსელის დირექციაა მოთავსებული, დარწმუნდებით, თუ როგორი მოთხოვნილებაა სატელეფონო კავშირზე ჩვენს დედაქალაქში. მისაღებ დარბაზში შეხვდებით ჩვენი კულტურისა და მეურნეობის ყველა დარგის მუშაკს, რომლებიც მოითხოვენ ბინაში ტელეფონის დადგმას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, და, რა თქმა უნდა, სხვა კომუნალურ მომსახურებასთან ერთად ტელეფონსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს: დღეს ხომ იგი ადამიანის უახლოესი თანაშემწეა.

მიმდინარე შვიდწლედში ქალაქის სატელეფონო სადგურების სიმძლავრე (ტევადობა) ერთნახევარჯერ გაიზრდება, რაც დიდად შეუწყობს ხელს მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფის საქმეს.

ხ. თვარაძე,
თბილისის სატელეფონო სადგურის მთავარი ინჟინერი.



მონტიორი მიხეილ მაჩაიძე გამანაწილებელ კარადასთან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ღებულობენ ატს-ის ხელსაწყოები ელექტროენერგიას. ახლაც საგენერატოროს ინჟინერი დ. ბერაძე გულმოდგინედ ამოწმებს მოწყობილობას.



ატს-ის „ყრობი" ელექტრომექანიკოსი ო. სუხიტაშვილი და ა. ტერეშონოვი ამოწმებენ ტელეფონის ხაზებს.



თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში არც ერთი წუთით არ წყდება მუშაობა.

# საქართველოს მხატვრების 1962 წლის ნამუშევართა გამოფენიდან



ლ. ცომაია — ვ. ი. ლენინი

ე. ანდრონიკაშვილი — ინდუსტრიული პეიზაჟი



ა. გორგაძე — ჩეხოსლოვაკურ ალბომიდან





უ. მეძმარიაშვილი — აფიშების გამკვრელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. უუბანეიშვილი — სერიიდან: „საქართველოს ძეგლები"

გ. თოიძე — მეთევზეები



ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. კალაძე — გოგონა მტევნებით



გ. ოჩიაური — მეუღლის პორტრეტი

ი. ოქროპირიძე — მხედარი ქალი



# ყოჩი ლეო ნათესავებს ეძებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბორის ჩხეიძე**

მოთხრობა

მხატვარი ზ. წერეთელი

ასილო გულმკერდზე მიეკრა ყოჩ ლეოს. ამ დროს დედის ერთადერთი საფიქრალი იყო, რა გაეკეთებინა შვილისათვის. ნაჯარისკაცალი ვაჟკაცი თვალით აზომდაზომა. მოეწონა მისი მოყვანილობა და სახის ნათელი იერი. უფრო გამოჯანმრთელებული და დასრულებული ეჩვენა ბიჭი. მარტო ჩაცმულობა სჭრიდა თვალს მოხუცს. არ ეამა ხაკისფერი ხალათ-შარვალი, თუმცა ტანზე კი კარგად ადგა. ტანსაცმელი არაფერია. ერთ ხელს, კოსტუმი იქნება ის თუ შარვალი, ასილო მოახერხებს. ორი წლის წინათ მერინოსის მშვენიერი ნაჭერი იყიდა. ქსოვილს მაშინვე ლეოს სახელი დაარქვა. ნავთალინ წაყრილი ნაჭერი იქ, ძველებურ ზანდუკში უძევს. საკოსტუმეს ფეხსაცმელი, ჰალსტუხები, ზედა პერანგები და ღილები დასჭირდება. ამასაც თავს გაართმევს მოხუცი. სამ წელიწადში, რაც შვილი შინ არ იყო, ცოტაოდენი ფულიც შემოინახა დედამ. დიახ, ჩააცმევს, გამოაწყობს. ერთხელ კიდევ დაინახავს ჯიშიან შვილს რუსთაველის პროსპექტზე შნოიანად გავლილს და მერმე, რაც მოუვა მოუვიდეს ასილოს, თუნდაც პურის ფულიც შემოლევია. დარდი არა აქვს, იშოვნის.

ნურავის ეგონება, თითქოს ბეწვის ოდენაც არაფერი სწყენია დედას უმცროსი შვილისაგან. მან დატანჯა, ადრე დააბერა, გაათეთრა ქალი.

ყოჩმა ლეომ სამი-ოთხი წლის წინათ მიიღო სიმწიფის მოწმობა. მაინცდამაინც სკოლის პროგრამას გამორჩენილად ვერ ითვისებდა. მასწავლებლები ემდუროდნენ ასილოს ნაბოლარას. კლასიდან კლასში ძლივსძლივობით გადაჰყავდათ. ერთხელ ორ წელიწადსაც იჯდა ყმაწვილი მერვე კლასში. მერე, როგორც კი სკოლა დაამთავრა, უმაღლეს სასწავლებელში შესვლა მოინდომა. ატესტატი და მოწმობები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიტანა. მერე რა? პირველსავე გამოცდაზე ორიანი მიიღო. ამას ვინ ჩივის, იმავე დღეს, თავისი ამხანაგებით ინსტიტუტიდან შინისაკენ გამობრუნებულს, ქუჩაში ჩხუბი მოსვლოდა.

ძმაბიჭები სასაუზმეში გამომთვრალიყვნენ. მერე ქუჩაზე გამვლელებს დარეოდნენ. ადრეც ამისთანა აურზაურის ატეხვაში ხშირად შენიშნული ყოჩი ლეო თავისი ამფსონებით ზედახევის მილიციის განყოფილებაში მიაბრძანეს.

ასილომ თვითონ ნახა ვაჟის ნამოქმედარი.

— თქვენ ყოჩი ლეოს დედა ხართ? — შეეკითხა ასილოს ოპერრწმუნებული. — ახლა მას სასტიკად დავსჯით. მორჩა, ხელიდან ველარსად წაგვივა.

— ნაცემები ამბობენ, ლეო განზე იდგა, მისი ხელი არ მოგვხვედრიაო, — დაიცვა დედამ შვილი. ასილო არ ტყუოდა. ეს მართლაც ასე იყო. ყოჩი ლეოს ხელი მართლაც არავის მოხვედრია.

— ეგ მე თქვენზე ნაკლებად არ ვიცი. — ხმა ჩააკმენდინა მოსარჩლეს ოპერრწმუნებულმა. — ოქმი ხომ მე შევადგინე. ლეოს მართლაც უშუალოდ არავისთვის უცემნია.

— მაშ ასე ჩაციებით რას ერჩით?

— შენი შვილი ჩხუბის მეთაურია. დიახ, ის განზე იდგა, შეცქეროდა „ბიჭებს", როგორ შეუბრალებლად უბაგუნებდნენ მუშტებს უდანაშაულო მოქალაქეებს. ჩხუბისთავებს ხელის აქნევითაც არ ანიშნა შეჩერდითო.

— სულ ეგ არის ჩემი შვილის დანაშაული?

— ამაზე მეტი, აბა, რაღა იქნება!

— მაგეთ დანაშაულზე, სხვის სულელ თავისთვის შენ პასუხი აგეო, კანონში სწერია? — დამცინავად შეეკითხა ოპერრწმუნებულს ასილო და თვალებში ჩააჩერდა.

— ქუჩაზე ატეხილი აურზაურის მაყურებელს, რა თქმა უნდა, კანონი არ სჯის. სხვა შემთხვევაში მოსამართლე ლეოს მოწმედ გამოიყენებდა. მაგრამ მე ის სწორედ ჩხუბის მეთაურად და წამქეზებლად მყავს გამოყვანილი ოქმში. დამნაშავეებიც ყველა ერთად შევიპყარით დანაშაულის ადგილას. მეტი რაღა?!

მწარე საგონებელს მიეცა დედა.

— კიდევ ერთი რამე გკითხო, შეიძლება? — უთხრა შემპარავად ასილომ ოპერრწმუნებულს. თუ ხვეწნით არა, იქნებ შებრალებით მაინც გამოსტაცოს მილიციას ხელიდან პატიმარი.

— იმის ხნოვანებისას შენ არ მოგსვლია ჩხუბი?

— მომსვლია!

— დედა შენს ელისაბედი არა ჰქვია?

— ჰქვია და... რა გიშველო. ეს ოქმი. ეს დასაწვავი დაწერილია...

—მე და ჩემ შვილს აქვე. კედელს იქით. სამხედრო კომისარიატში შესვლის ნება დაგვრთე. ამასობაში ეგ ოქმი...

იქნება მიხივ-მოხიოვო. ასილომ ოპერრწმუნებულს აღარ უთხრა.

ოპერრწმუნებულმა დედის ნაცნობს, უთუოდ ქალიშვილობის ამხანაგს, თავი დაუქნია. წადით, აქ მე ყველა ღონეს ვიხმარო.

ასილოს სამხედრო კომისარიატიდან შვილის შინ გაპარება უფრო ადვილად ეჩვენებოდა. მაგრამ ლეო სხვარიგად ფიქრობდა. დღეს შინ დაბრუნებას აღარ აპირებდა.

მოხუც დედას მაგარი ხელები მხრებში ჩაავლო. პირი კარისაკენ მიუტრიალა და უბრძანა:

— დედი, გასწი შინისაკენ. კომისარიატიდან გარეთ აღარ გამოვალ. იცოდე: ამას იქით, როცა კვლავ შინ მოვალ. სამხედრო ვალდებულება მოხდილი მექნება. მაშინ ან მე აღარ ვივარგებ ჩემი ახლანდელი ამხანაგებისათვის საძმაკაცოდ, ან ისინი ჩემთვის.

ასილომ ხელები გაასავსავა. ვიღაცამ მხარზე ნელა ხელი დაადო და უთხრა:

— გაუშვი, წავიდეს. შენ ვერ დაინახავ ორიოდე წელიწადს, თორემ ჯარში ბიჭს არა გაუჭირდება-რა.

ეს სიტყვები ძაძიამ უთხრა. რძალი შეუმჩნევლად მოსულიყო. გვერდით ამოსდგომოდა ქმრის დედას.

— ოღონდაც ციხეში ნუ მოხვდება. ერთ საათს ნუ დაჯდება ის რაღაცა „გაუპტვახტაა". ჯარში სამსახური, თქმა არ უნდა, ვაჟკაცის საქმეა...

ასილო რძლის რჩევას უმალვე დაეთანხმა. მერე, როცა კვლავ შვილისაკენ გაიხედა. მის მშვენიერ, რუსთაველის ქუჩის ცნობილ ყოჩს, დალაქი ძირში კრეჭდა ხუჭუჭ ქოჩორს.

აი, ეს ყოჩი ლეო. სამი წლის წინათ შინიდან ამ ყოფით გაცლილი. გადაკარგული შვილი დაბრუნებოდა ამ დილით სახლს, დედმამის კარს. პირველი მიგებებამოხვევნის უმალ ასილოს შვილის ძველი ამხანაგებიც მოაგონდა. მოხუცს შიშის ქარმა გაუარა ხერხემალში, ვაი თუ ისევ ყოჩობას მიჰყოს ხელიო. ამიტომ გადაწყვიტა, სანამ სამსახურს ან სამუშაოს არ უშოვნიდა, ერთი დღითაც არ გაეშვა ბიჭი ქალაქის ქუჩებზე გასასეირნებლად. თუმცა ატყობდა, მოღერებული ვაჟკაცის შინ შეკავება ძნელი იქნებოდა. აკი გაბო ძმის შინ გამოჩენას ვერ იტანდა. ეს აშკარად შეატყო უფროს შვილს დედამ.

შინ ყველას გალვიძებოდა. ახლად დაბრუნებული ნათესავი უმცროსებს ხელში ჩაეგდოთ. დები, ძმები, ძმისწულები და დისწულები მხრებზე, მკლავებზე, ზურგზე ჩამოკიდებოდნენ ღონიერ ლეოს, ხვევნა-კოცნას თავი და ბოლო არ უჩანდა. შინდამხდურები თვალში შესციცინებდნენ ნაჯარისკაცალს. თბილისელი, ყოფილი დამრტყმელი, რომელიც ყოჩი ლეოს სახელით დაეჯილდოებინათ, ცხვარს მოაგონებდა ნათესავებს.

ლეომ მშვიდად მიიხედ-მოიხედა იმ სახლში, სადაც დაიბადა და აღიზარდა. კედლები, ფანჯრები, ჭერიატაკი. ნაცნობი ნივთები ოდნავადაც არ შეცვლილიყო. სკამები და ძველი პიანინოც ჩვეულ ადგილას იდგა. მარტო დედა ეჩვენა ძალიან შეცვლილი. სიარული უჭირდა, ლოყები ჩაცვენოდა, ყვრიმალებს ზემოთ. შუბლზე და ნიკაპის ქვეშ, ნაოჭები გახშირებოდა, ცალი თვალის ქვედა ქუთუთო ჩამოვარდნოდა და კაკლისძირა საცრემლე ღარი ავადმყოფურად ჩაწითლებოდა. თერთმეტი შვილის გამზრდელი ქალი ღრმა მოხუცობისაკენ გადახრილიყო.

და-ძმები, უფრო შორი და ახლო ნათესავები, ლეოს დროდადრო ისევ კოცნიდნენ, თმას უწეწდნენ, გიმნასტურაზე ბრჭყვიალა ღილებს უთამაშებდნენ, ჩქმეტდნენ. ლეო ხან ერთს დაიჭერდა, ხან მეორეს, იატაკზე გულაღმა გააკრავდა, გულის წასვლამდე უხიჩინებდა.

ბოლოს აურზაურში თვალი მოჰკრა წითელყვავილებიან ჩითის კაბაში გამოწყობილ ქალს, იგი განზე, რბილ სავარძელში, ჩუმად იჯდა. ქალი ლეოს არც მიგებებია, არც მოხვევია, რაღა თქმა უნდა, არც უკოც-

(დასასრული. იხ. ჟურნ. „დროშა" № 2)



ნია. თავი ძტრულად ეჭირა ვაჟკაცთან. სწყინდა თუ უხაროდა ლეოს გამოჩენა? ამას ვერავინ შეატყობდა.

„ვინ უნდა იყოს?“ — გაუელვა თავში ახლად დაბრუნებულს.

და ლეო მკითხაობას მოჰყვა: იქნებ სახლში ახლად შემოსახლებული მდგმურის ქალი შემოვიდა. მათი ჩვეულებაა მოშორებით გატვრენა. შეხვედრის ლამაზ სურათს შეცქერის და სიამოვნებს. შეიძლება დედაასილომ მოსწავლე აიყვანა გამოსაკვებად. ან... ან... რომელიმე ძმისწულმა თუ დისწულმა, ამ სამ წელიწადში ტანი აიყარა, გაიზარდა, დაქალდა? თუ ასეა, მორიდებას რა რჯის? ნაჯარისკაცალი თვალს უსწორებს სულგატვრენილ ქალს. მხოლოდ მაშინ შეიცნოოდნავ, როცა ახლოს ძაძიამ გაუარა და ლეომ ორთავეს ერთად შეხედა. მსგავსება და რა მსგავსება! მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო. ძაძიას უმცროსი დაი მარიკო წამოზრდილა და ერთის შეხედვით ვერ იცნო ლეომ. წინათაც არცთუ იშვიათად უნახავს გოგონა. დიახ, ის არის. თხუთმეტიოდე წლის დატოვა ლეომ ძმის ცოლისდა. პატარა, დალეული, ჭორფლიანი, ართვალი, მტრედივით მშვიდი გოგონა. ახლა ნახეთ, რა მომხდარა? სამ წელიწადში ტანი აუყრია, გაზრდილა, დაქალებულა, უფროსი დის ორეული გამხდარა. შეიძლება მთელ ზედახევში, თბილისის ერთ ყველაზე დიდ უბანში, უკეთესი ქალი შესახედავად არც კი მოიძებნება. ძაძიას ნათესაობა სახის იერში, სიმაღლეზე, თმის დახვევასა და გავლა-გამოვლაში დამჩნევია. ტუჩებიც უფროს დას მიუგავს, კბილებიც მისია, ყურის ნიჟარებიც. როცა წამოდგება, ნელი ნაბიჯით შინ გაივლ-გამოივლის, ტანი ძაძიასებრ ალვისხესავით უნანავებს. ყველაზე უკეთესი თვალები აქვს. მაშინ, სამი წლის წინათაც შეუნიშნავს ეს თვალები, ცოცხლები, ნაპერწკლიანნი. ახლა ხომ ნუღა იკითხავთ. ნაპერწკლები ღველფად გადაქცევია, ლიდონს გაადნობს. აცლის, შეხედავს ნაჯარისკაცალს, აცლის, შეხედავს და წვავს, დაგავს. ახსენდება ლეოს: მარიკოს ბიჭები გამოდევნებოდნენ. ისე, უბრალოდ გასახუმრებლად, თუ ცუდი განზრახვით, ეს არავინ იცის. დამფრთხალი გოგონა კიოდა და გარბოდა. ლეომ ბიჭებს უყელა, თითო-თითო სილა აჭამა, პანღური ამოსცხო, იფრინა, დასჭყივლა: „ჩვენი უბნის მახლობელ ქუჩაზეც ფეხი აღარ დაადგათო“. მალე მარიკოს დაეწია. ძმის ცოლისდას წიგნებით სავსე ჩანთა დაარხეინებით მხარზე მოეგდო, სიმღერ-სიმღერით მიდიოდა.

მაშინდლიდან ახსოვს ეს გულუბრყვილო, ალალი თვალები. ახლაც ის თვალებია და არც ისინი. ხედავთ, სამ წელიწადს რა ყოფა დაუწევია გოგონასთვის! დაქალებაში შესულს, მომხიბლაობა ჩადგომია შიგ. ლეოს ძალიან უნდა ძმის ცოლისდას არ შეხედოს, არც შეხვდეს სადმე. უხერხულია. ვინ რას იტყვის! არა, არ გამოუდის. საითაც გაიხედავს, მარიკოს მოჰკრავს თვალს, საითაც არ გაივლის, მარიკოს მახლობლად გაჩერდება.

— ეს ქალბატონი ვინღაა? — განგებ ეკითხება ძაძიას.

— ვინ არის და ის, მარიკო! ვითომ ვერ იცანი. გაიხსენე, რა ყოფა დააწიე მაგისათვის ოხრახეველ ბიჭებს.

— ჰა, მაშ, მარიკო ყოფილა. დიახ, მოვიგონე, დიახ, მოვიგონე. რა დამავიწყებს. მაგისთვის ბიჭებს კინაღამ თავები დავუხეთქე საზამთროებივით.

— შენს აქ არყოფნაში გაიზარდა ჩემი დაობლებული დაიკო. ხომ არ გგონია, სამი წელიწადი ცოტაა?

— არა, ძაძიავ, არა მგონია. კარგად უმუშავნია იმ დალოცვილ დროს. მარიკო ეგეთი გადაუქცევია... მორჩა, ჩემია...

ბუბუნებს ლეო თავისთვის. თვალებს ჭუტავს, ცდილობს კიდევ შეხედოს ძმის ცოლისდას. მარიკო აღარ ჩანს. დამალულა, შეშინებული შველივით გამქრალა. ნაჯარისკაცალი ეძებს მის ლანდს. ქალი მაინც არსად ჩანს, არც სამზარეულოშია, არც ძაძიას ოთახში, არც აივანზე გასულა. იქნებ, ეზოში ჩავიდა? იქაც მოძებნის ლეო და უფრო კარგადაც შეათვალიერებს. შეიძლება პირველად თვალმა მოატყუა? ახლავე იპოვნის, თავით ფეხებამდე შეათვალიერებს: მართლა, ისეთი ლამაზია, როგორიც ეჩვენა?!

საუკუნის წინანდელი ბასილაძეების ეზო გუდრონით დაუფარავთ. შუაგულზე ბრინჯაოს ონკანიდან შადრევანი ჩქეფს. მეზობლებს გაღვიძებიათ, შადრევანთან გამოსულან, ვედროებით წყალს ეზიდებიან, იმარაგებენ. მეეზოვეს კიბისქვეშა ბინა ჩანგლით დაუკეტავს, გარედან კარისათვის ცოცხი და სარწყავი მიუყუდებია. აგერ მამის დარგული თუთის ხე. ქვეყნის შეცნობის უმალ შეუყვარდა ეს მცენარე ბასილაძეების ნაბოლარას. გაზაფხულზე ფართო, გრილი, ჩრდილოვანი ფოთლებით შეიმოსებოდა, მერე ნაყოფით დაიხუნძლებოდა, ზამთრობით ბეღურების თავშესაფრად იქცეოდა ვეება ქალაქში.

სამი წლის მანძილზე თუთაც შეცვლილა. ტანი დასქელებია, ტოტები ბრტყელკრამიტიანი სახლის სახურავს გარშემოჭდობით ემუქრება. გუდრონზე ბლომად ყრია თუთის ყვავილები. დახუნძლული ნაყოფი კარგად გამონასკულა, ახლო ხანში შეთვალდება. ამ ხის დანახვამ, მის ქვეშ გუდრონზე მორიალებულმა ყვავილების ფარტენებმა, ლეოს შინიდან ჯარში წასვლისას ნახული სურათი აღუდგინა მეხსიერებაში.

თუთა დათაფლულიყო. დედას მაგიდის გადასაფარებლები გამოეტანა გარეთ. ფარდაგებივით გაეფინა ზოგი ეზოში, ზოგი ბრტყელკრამიტიან სახურავზე. ლეო მაშინვე მიუხვდა მშობელს — ხის დასარხევად ემზადებოდა. თქმა არ დაჭირვებია. ხეს ხელი სტაცა, აცოცდა, ბორჯღებში გაეხირა.

— მანდ შეჩერდი, ზემოთ ნუღა აიწევ! — გაეხმაურა ქვემოდან დედა. — ნელინელ დაიხარე, მოზომილად, ხანდახან ფეხი დაჰკარ ტოტს ძირში. ხე არ გააწვალო, თუთა გოგონასავით არის. არ უყვარს თმაზე ხელის უხეშად წავლება.

ყოჩი ლეო ტოტებში გაბიჯაჯგინდა. ხელები ჩასჭიდა მიხაკისფერ ტოტებს. მთელი ტანით თუთა ძირფესვიანად გაარხია. სწრაფადაც შეჩერდა. ყური მიუგდო მწიფე მარცვლების ცვენას. ისინი ტკაპატკუპით ხვავდებოდნენ გაშლილ საფენებზე. დედა ჩამომჯდარა ხის კიბეზე. ქვემოდან ადევნებს შვილს თვალს. ძლივს გასაგონი ხმით არიგებს:

— ნელა-მეთქი. ეგ თუთა ჩემთვის მაინც ყველა ხეზე ძვირფასია. განა, არ იცი, მამაშენმა დარგო, როცა შენ და შენი და-ძმები ჯერ მოგონილიც არ იყავით.

მოხუცს გარშემოდებიან ეზოს ბავშვები, თავისი და სხვისი. ოღონდაც ბავშვი იყოს და ასილო ყველას დედად გაუხდება.

— ნახეთ, ნახეთ, რა ტკბილია ჩვენი თუთა! — ეპატიჟება.

ბავშვები პატარა თითებით ფაციფუცით ბოჭავენ საფენებს იქით გადაგორებულ ხარა-მარცვლებს.

ასილო ზოგს, ძალიან პატარებს პირში უდებს ხილს. ზოგს კაბის ბოლოთი ცხვირს მოწმენდს. ზოგს უჯავრდება, ნუ ჩტიხარ, თუთა ჭამეო. ბორჯღებში გახირულ ლეოს დროდადრო შეხედავს. ეამება წვიმის წვეთებივით ხშირი, ცქრიალით ძირს წამოსული მარცვლების თვალთვალი. ლეომ იცის: მწიფე თუთას ერთხელ ან ორჯერ შეარხევენ. ჩამოსაცვენი თვითონ ჩამოცვივა. უმწიფარ მარცვალს სუსტი ყუნწი აქვს. თუ ხის ტოტებს ძლიერად და გამეტებით დაეჯაჯგურე, მკვახე მეტი ჩამოცვივა. ამიტომაც, როცა ერთხელ კიდევ ასწია ფეხი ხეზე დასაკრავად, დედამ გააფრთხილა:

— ეყოფა, კმარა! ძირს ჩამო, ზოგი ხვალ-ზეგ დავარხიოთ!

ახლა ნაჯარისკაცალს, როცა იგი შორეთიდან კვლავ თავისი სიყრმის ადგილს დაბრუნებია, მამის დარგული თუთის ქვეშაა, ბავშვობა, სიჭაბუკე უკან დარჩენია, გული დადარდიანებულივით უცახცახებს. წარსულის სურათი ქრუანტელს გვრის. ნაღვლიანად იხედება თუთის ძირისაკენ, აბა, იქ ახლა რა სურათიაო. ლეო ხედავს ისევ ძველ სურათს და არც ძველს. თუთის ქვეშ, ჩრდილში დედა დგას. აკი ის სამუშაოზე ველარ წავიდა. მის მახლობლად გაბოს ცოლისდა, მარიკო დაბორიალობს, ორივეს გარეთ გამოუტანია ლეოს ჯარიდან მოყოლილი ბრეზენტის საზურგული, ჯარისკაცული, შეულებავი. მაგრად შეკრული ხის ყუთი. ამ მარტივი საკუჭნაოდან ქალებს ამოუყრიათ თეთრეული, ნახმარი ქამრები, მოკლე, გაყვითლებული პირსახოცები, ორიოდე წიგნი, უვნებელი პირსაპარსი, სავარცხელი, დაცვეთილი ფეხსაცმელი და ფეხსახვევლები. სალდათის ამ ავლა-დიდებას ბერტყავენ, ფხეკენ, რეცხენ, წმენდენ, თუთის ტოტებზე კიდებენ გასამზეურებლად.

მარიკო ხანდახან ქურდულად გადაშლის წიგნებს, დახედავს თავფურცელს, სათაურს დააშტერდება. მერე დიდხანს აფრიალებს, იქნებ შიგ ჩამალული ქაღალდის ნაგლეჯი გამოვარდესო. რას ეძებს, წერილებს ხომ არა? თუ მიაგნებს რასმე, დედის, ძმების, დების მინაწერს მიაგნებს. თუ იმ წერილებს მარიკო ნახავს, დაე, ნახოს. თუმცა რად უნდა, რას შეუპყრია ქალის გონება? არა, არაფერს ეძებს. წიგნები ისე, უნებურად გადაშალა, გარეკანს კურდღლის ფეხი გადაუსვა, მერე სახლში, რაფაზე, მზიან ადგილას შემოდო. თუმცა ერთი მათგანი გულში ჩაიკრა, ლოყაზეც მიიდო. რომელი წიგნი იყო?

—ვაჰ, აქა ხარ? — ესმის უმცროს მაზლს ძაძიას ხმა.

— მა სად ვიქნები!

— მე... მე... მაპატიე შენი უფროსი ძმის შენთან უნდილი შეხვედრა, მწყრალივით შინიდან წასვლა. ღმერთმანი, მდურების, გულძვირობის მიზეზი არა აქვს გაბოს. ალბათ დაღლილია და სიხარულის ატანა უჭირს. კაცია და ბევრს მუშაობს. ჩვენაც ვკმარივართ მის სარჩენ-საამაგოდ.

— ეჰ, არაფერია, არაფერია!

— ისიც მე მაპატიე, რომ ვერაფერი დაგახვედრეთ, თუნდაც ერთი საპალტოე, თუნდაც... ბევრი გვჭირდება ოჯახში, — ჩივის ძაძია და პირდაპირ ეკითხება უმცროს, ლამაზ მაზლს: — ეს, ჰო, დაბრუნდი, კარგია, გაგვახარე. მომავლისათვის ხომ არაფერი მოიფიქრე? რა გაივარაუდე? მუშაობას სად დაიწყებ? იქ, ჯარში ხელობა ხომ არ გისწავლია რამე? სად იცხოვრებ, ჩვენთან? ბინაში, როგორ დავეტევით?

ლეოს ყურმა შუილი დაუწყო. ამას რას ეუბნებიან, სად იცხოვრებო, ბინაში როგორ დავეტევითო. განა, შინ მისვლის უმალ ძაძიამ თავისი პირით არ თქვა, ლეო ამ სახლშია გაჩენილიო? ახლა ეკითხებიან და პასუხსაც ელიან, სად იცხოვრებო. მაშასადამე, დედ-მამის სახლში გასაჩერებელი პირი არა აქვს. სადმე სხვაგან უნდა დაიდოს ბინა.

დედა და მარიკო ისევ ბერტყენ, წმენდენ, ნაჯარისკაცალის ნივთებს, საცვლები და ხალათები ჩაულბიათ, გამოსახარშავად ამზადებენ.

ლეოს გვერდით ძაძია დამდგარა. ელის პასუხს






კითხვაზე, სად იცხოვრებს, რას გააკეთებს ნაჯარისკაცალი მაზლი? ლეოს ეჩვენება, თითქოს რძალს ამას ავალებენ დები და ძმები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში აქ, ზედახევში ერთად იყვნენ განუშორებლად.

— ჰა, მაინც, სად იცხოვრებ? — დაჟინებით ეკითხება ძაძია.

— ეჰ, სადაც იქნება, იქ ვიცხოვრებ! — ეუბნება ყოჩი ლეო. — აქ კი ვერ გავძლებ, ძალიან ვიწროდ ვიქნებით,

პასუხი ახარებს ძაძიას, ეღიმება, მაზლს მეგობრულად მუჯლუგუნს თავაზობს მხარზე. ლეო წარბსაც არ ხრის.

—დედ-მამის სახლში რად არ აჩერებთ?—გაოცებული ეკითხება უფროს დას მარიკო და თვალები უცრემლიანდება. ლეოს გული ეთუთქება: რა უნდა მარიკოს თვალში ცრემლს?!

— დედ-მამის სახლში რად არ აჩერებთო? რომელ კუთხეში მოვათავსო? სად დავაძინო, სად ავაყენო, — შეუბრუნებს უფროსი და უმცროსს.

— დებზე, ძმებზე, დედაზე უფრო გულითადად შეხვდი, — საყვედურობს მარიკო ალმზრდელ დას. —ახლა სად დავაძინოო, სად ავაყენოო. ნუთუ ის შეხვედრა ამ დილით, პირფერობა იყო და მეტი არაფერი?

— არა, პირფერობა რა მოსატანია! — იწვავს პირს ძაძია. — მაამებელი სიტყვა მაქვს. აბა, ამ ქონებას ლეოსთვის როგორ დავიშურებდი. თუმცა, მარიკო, შენ რა გრჯის, რა გწვავს ასე უცეცხლოდ?

— პირფერობა, პირფერობა! — შეიცხადა მარიკომ.

ძაძიამ თვალი ველარ გაუსწორა უმცროს დას. ასილო ერთ ადგილას გაქვავებულიყო. თუთას მისწოლოდა. გამბურღავ მზერას ხან რძალს, ხან ყოჩი ლეოს და ხან მარიკოს მიაპყრობდა. დედის გულმა იგრძნო აქ, ბასილაძეების სახლში დღეს რაღაც დიდი ამბავი უნდა დატრიალებულიყო.

— მარიკოს ვინ აწყენინა? მის თვალზე ცრემლს რა ესაქმება? — მკვახედ იკითხა ლეომ. ძაძიას წინ გაუარა, ძმის ცოლისდას მიეჭრა ასილოს გვერდით. კედლისაკენ მიბრუნებული ასილო სახეს არავის აჩვენებდა.

— ჩემი შვილების მზემ, მაგის წყენა ოდანავადაც არ გამივლია გულში. — დაიფიცა თითქოს დანაშაულზე წასწრებულმა ძაძიამ. დისაკენ გაიწია მოსახვევად. მარიკოს სლუკუნი ავარდნოდა.

ყოჩი ლეო ძაძიას წინ გადაეღობა. უფროსი დაი უმცროსთან ახლოს არ მიუშვა.

— მარიკო ამიერიდან ჩემია, — განაცხადა ყოჩმა ლეომ. — მის თავს ჩემი ან მისი კუბო თუ გამომგლეჯს ხელიდან, არც სახლი მინდა თქვენი და არც კარი.

— რადაო მითომ? — დაიხია უკან, მოლბა ძაძია.

— ჩემი დედმამისშვილები იმ სახლში, სადაც გავჩნდი, ხედავ, კუთხეზე უარს მეუბნებიან, სად დავაწვინოთო, სად ავაყენოთო. განა ეს სიტყვები ყველა ჩემიანის მაგივრად შენმა ენამ მითხრა, ძაძიავ? მარიკომ კი თქვენგან გაგდებულს თავის გულში თვითონ მომცა ბინა. უკეთესი სახურავი არც მეგულება სადმე.

— რა ამბავია? ვის არ მისცეს ბინა დედ-მამის სახლში? რა გულიო, რის სულიო, — მღელვარებს ასილო. იჭვნეულად, მოჭუტული ცალი თვალით შეცქერის მაგნოლიის გადაშლილ, ოდნავ კიდეებშეყვითლებული ყვავილის შესადარ ძაძიას და გულში წუხს: „ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას, ყოჩ ლეოს მარიკო შეუყვარდესო". ამ დროს რძალმა ხელი ჩაჰკიდა, მიაბრუნა და უთხრა:

— აი, ამათ შეხედე!

ლეო და მარიკო განზე იდგნენ ერთად.

ასილომ მიიხედა. ქალსა და ვაჟს საქმე გაეთავებინათ. ლეო გაშლილი მხარ-ბეჭით თავს წასდგომოდა თავის სატრფოს.

და უცებ... მარიკო კუთხეში ჩაემხო. თავი ჩაჰკიდა და ასლუკუნდა.

— ხელიც მოგმართნიათ, ხელიც მოგმართნიათ, — ბუტბუტებს დაბნეული მოხუცი. ეს გოგო, აგერ მესამე წელიწადია ბასილაძეების ოჯახს შემოეკედლა. შეიძლება ითქვას ასილომ გაზარდა.

ეზოს ჭიშკრის გარედან გაბოს ვიღაცა ეკითხება:

—მართალია, კაცო, ყოჩი ლეო დაბრუნდა?

— დიახ. მართალია, გმადლობთ. — ეუბნება გაბო და ცოლს ჩანთას აწვდის. შიგ ერთი კილო ხარის ხორცია, მწვანილი, კიტრები, პური.

— აჰა, ძაძია, რაც მომივა, მომივა, ყველას ერგოს. ყველას გაუმასპინძლდი, დიდსა და პატარას. არც შენი და მარიკო გაუშვა სადმე!

— მარიკო წავიდა და ის არის.

— სადა, ქალო! მისი ცოდო არ გადამკიდო!

— შენ ძმას მიჰყავს, ზედახევიდან გადადიან.

— ან ლოგინი არ დააკლდეთ, ქალო, ან ჩარსავი?

— ყველაფერს გავუყოფ, ყველაფერს მივცემ.

— ოჯახს მოეკიდე? — ეკითხება უფროსი ძმა უმცროსს.

— მოვეკიდე!

— კარგია. უცოლოდ ოცდახუთ წელს მიტანებული კაცი ლამაზი აღარ არის. ცოლიანიც შეიძლება ისე დაილიოს, როგორც მე, აგერ შენი ძმა. მაგრამა, ეგ არაფერია. — ეუბნება გაბო ყოჩ ლეოს და ოციოდე მანეთს გულის ჯიბეში უდებს, თან არიგებს: — გასწი, ქალი ქალაქში გაატარე, ირბინეთ, რამდენიც არ მოგეწყინებათ დღეს, გაიხარეთ. ძმაო, შენს თავსა და შენს ცოლს მიხედე. რაც ობლობით გულს აკლია, შეუვსე. დედამ თუ იცის რამე?

— იცის!

— აი, ნახეთ ბასილაძეები! — ეტყვიან ერთმანეთს ზედახევში დიდი და პატარა. — ვის ეგონა, ასილო ამოდენა ბარდს გაწყვეტდა. თერთმეტი შვილი გააჩინა. თერთმეტივე დაზარდა, გზა უჩვენა. ბიჭებმა ცოლიც მისი უნარით შეირთეს და გასათხოვარიც დედის ყისმათით გავიდა შინიდან გაულანძღავად. უჰ, რა დედაბერია. სიცოცხლესაც როგორ ჩაჰბღაუჭებია? არ თავდება, სიკვდილს დავიწყებია. ამოსაგლეჯ კბილივით მოფამფალებულა და მაინც ირჯება. სამუშაოზე დაძკრება. თავისთვის პურის, კერძის, ერთი ბოთლი ღვინის ფული ჯიბეში არ დაელევა. ლეოს არ უნდომებია სახლში დარჩენა. მარიკო წაუყვანია, მახათას უბანში გადასულა, აგურის იატაკიან ბინაში ჩასახლებულა და უთქვამს:

— მაცალეთ! აქედან დავიწყებ, ვნახოთ, რა გამოვა!

ასე ლაპარაკობენ ზედახევში, ნამდვილი არავინ იცის, რა და როგორ მოხდა. გაბოს, ძაძიას, ლეოს, მარიკოს, ასილოს გარეთ ხმა, ამბავი არ გაუტანიათ გააგდეს, თუ თავისით გაეყარა ჯალაბს ყოჩი ლეო. ეს ერთი პირიც ძალიან მოსწონთ ზედახეველებს და ბასილაძეებზე ბაასს განაგრძობენ:

— ასილო? როგორ არა, ვიცნობდი. მითხარით გასათხოვარი კიდევ ხომ არა ჰყავს?

— მომითმინეთ! იქნება საცოლე ბიჭი დაუდის კიდევ იმ ყოჩი ლეოს გარდა? თუ დაუდის...

ეცილება პირველ ხნიერ ქალს მეორე ხნიერი.

ეს ნაყბევარები მიაქვთ ასილოსთან. მოხუცი რაღაცას ჩაიქოთქოთებს თავისთვის. ჰყავს, არა ჰყავს. თუ მას გამოელია, ახლა გაბოსა და ძაძიას ეზრდებათ გოგოებიცა და ბიჭებიც, გაბოს მომდევნოებსაც ჰყავთ თითო-ოროლა მოზარდი. უნაყოფო და უქნარა ასილოს ერთიც არ გამოსდგომია რძლებსა და შვილებში.

დედა ახლა იწყებს შვილებზე ნამდვილ ამაგს, თორემ აქამდე, აბა, რა იყო. დაე, ეგონოთ, ძალა გამოლეულია, მალე ფლავს აჭმევსო ხალხს. უცადონ. ასილოს ჯერ ბევრი საქმე და საამაგო გააჩნია.

სამი ძუძუთაბავშვიანი რძალი დაუდის, ორსაც მალე სამშობიაროში გააქანებენ. გათხოვილი ქალებიც ანგარიშია, თუმცა ისინი ბასილაძეები არ არიან. ახლა მახათას უბნიდან მოიტანეს ამბავი: მარიკოსთვის ხილს უწყენია, გულის რევა გადაჰკიდებია.

— ნუ თუ მართლა? — უხარია მოხუცს. — არა. აბა რამ უნდა დაუშალოს? კარგ ბიჭს ეძახდნენ ყოჩ ლეოს რუსთაველზე. მაგრამ... მაგრამ არც მარიკოა ნაკლები. აგერ დამფრთხალი ლეოც.

— ეჰ, დედილო, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, —შესჩივის დედას. — მარიკო შეუძლოდ მყავს, გულზე არაფერი ადგება. დედი, დედილო, მოდი ჩემთან შინ ნახე, გამოცდილი ხარ, იქნება გაუგო, რა გადაეკიდა

— გასწი, შენ საქმეს მიხედე!

ყოჩი ლეო მიდის. დედა მახათას უბნისკენ გაემართება. აგერ ტრამვაი, აგერ ტროლეიბუსი და ავტობუსი. ასილოს უამათოდაც გაუძლია. ყოველთვის ყველგან ფეხით ივლის, ოღონდაც შვილთან მიდიოდეს. ფეხით სიარულში ორიოდე კაპიკიც დაეზოგება. დაიღლება? გემოც დაღლაშია.

— თქვენ ლეოს დედა ხომ არ ბრძანდებით? — ეკითხებიან მოხუცს.

— ჰო, ის ვარ, სახლი კი ვერ მიმიგნია და...

— შეგატყეთ, გიცანით, ლეოს დედა ხართ, — ილიმის შვილის მეზობელი, — ლეოანი აი, იქ ცხოვრობენ, იმ ძველებურ ბინაში.

ასილო მიჩერებია. ლეოს ბინის კარი ღიაა. მარიკო შინ ფოთარებს. ძველებურ, ოთხკუთხა აგურის იატაკიან ოთახსა და დერეფანში მალე, მალე, ლეოს შვილი ივლის. არა, უცებ არ შევა ასილო. ცოტა ხანს შორიდან უმზერს. სიარულიც აღარ შეუძლია, ჭიშკრისპირას დაგდებულ ქვაზე ჩამოჯდება. ასეთი ქვა ზედახევშიც აგდია ბასილაძეების კარზე.

— რძე, მაწონი, რძე, მაწონი, — იძახის მერძევე და თავმომწონედ ეუბნება მოხუც დედაკაცს: — მე მათ ყოველდღე ვუტოვებ თითო ლიტრა რძესა და მაწონს.

მაგრამ ასილოს აღარ ესმის. ეს უკანასკნელი სიტყვები იყო, ამქვეყნად გაგონილი და პასუხგაუცემელი.

# ხალხური შემოქმედების ენთუზიასტი



ამ ორიოდე წლის წინათ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების რაიონულ დათვალიერებაზე, რომელშიც 50-ზე მეტი კოლექტივი იღებდა მონაწილეობას, პირველი ადგილი მახარაძის რაიკოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს მიეკუთვნა. ამ ანსამბლს უნარიანად ხელმძღვანელობს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის კარგი მცოდნე ვასო აბაშმაძე.

ექვსიოდე წელია, რაც ანსამბლი ჩამოყალიბდა. ამ მცირე დროის მანძილზე მან შეძლო მშრომელთა საერთო მოწონება და სიყვარული დაემსახურებინა. ანსამბლის წარმატებაზე ნათლად მეტყველებს მის მიერ მოპოებული ქების სიგელები და მრავალი ჯილდო.

მახარაძის რაიკოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის რეპერტუარი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მსმენელთა მოწონებას იმსახურებს სიმღერები: „სამშობლო", „სოფლად მოდის შემოდგომა", „ნადური", „სიმღერა გენერალ ჩანჩიბაძეზე" და სხვ. დახვეწილი გემოვნებით სრულდება ცეკვები „განდაგან", „ქართული", „ხორუმი", „აზერბაიჯანული".

ანსამბლის საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის ხელმძღვანელს ვასო აბაშმაძეს, რომელმაც შემოქმედებითი ცხოვრების გრძელი გზა განვლო.

შემოქმედელი ღარიბი გლეხის შვილი ვასო აბაშმაძე ბავშვობიდანვე იჩენდა ხალხური სიმღერებისადმი ღრმა ინტერესსა და მიდრეკილებას, მაგრამ სიღარიბის გამო მან ვერ შეძლო სპეციალური მუსიკალური განათლება მიეღო.

1937 წელს 20 წლის ჭაბუკი ვასო აბაშმაძე გურული სიმღერების ცნობილმა ოსტატმა ვარლამ სიმონიშვილმა მახარაძის რაიონული ეთნოგრაფიული გუნდის მომღერლად ჩარიცხა. ნიჭიერ ახალგაზრდას მალე მუშფაკის თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელობას აკისრებენ.

ორი წლის შემდეგ კომპოზიტორმა გრიგოლ კოკელაძემ საგანგებოდ შერჩეულ მომღერლებთან ერთად ვასო აბაშმაძეც ჩარიცხა იმ გუნდში, რომელიც წარმატებით გამოვიდა მოსკოვში გახსნილ პირველ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სამამულო ომის წლებში ვ. აბაშმაძე გორში მომღერალ-მეჩონგურეთა ანსამბლს აყალიბებს, რომელიც მრავალ კონცერტს მართავს მებრძოლთათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ მის მიერ ჩამოყალიბებულმა ახალმა ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისში გამართულ კონცერტებზე, რომელშიც საბჭოთა არმიის 104 კოლექტივი იღებდა მონაწილეობას.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ვ. აბაშმაძე კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში.

ვ. აბაშმაძის ხელმძღვანელობით სოფელ შემოქმედის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა რაიონულ დათვალიერებაზე პირველი ადგილი მოიპოვა. ასეთივე წარმატებები ხვდა 1947 წელს სოფელ ძიმითის საშუალო სკოლისა და ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ანსამბლებს, რომლებსაც აბაშმაძე უწევდა ხელმძღვანელობას.

ხალხური შემოქმედების ენთუზიასტი ვასო აბაშმაძე ამჟამად ჩვეული მონდომებით ემსახურება მის საყვარელ საქმეს.

მახარაძის რაიონის კოოპერაციის თვითმოქმედი ანსამბლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად მართავს კონცერტებს, რითაც მშრომელთა გულწრფელ მადლობას იმსახურებს.

ლადო ბებეჯაური





# ოდრი ჰეპბერნის [illegible]

**არლი თაყაიშვილი**

კინონოველა

მხატვარი დ. ნოდია

ლია ბექაური სარკესთან ზის, თავის გაცრეცილ სახეს აკვირდება. თვალებში სევდა უელავს. ხველა რომ აუტყდება, პირთან ფანქრებივით ხმელ თითებს აიფარებს. იგი აღებს პატარა უჯრას და მის ხელში ჩნდება ქათმის კვერცხი. ლია ცდილობს იგი ლავიწისა და მხრის ძვალს შორის გაიჩეროს, მაგრამ კვერცხი ჯიუტობს, გორდება, ლია უკმაყოფილოდ გააპარებს თვალს კედლისკენ. კედლიდან სევდიან მზერას უბრუნებს ოდრი ჰეპბერნი, რომელსაც ჩიტივით სახე ხელისგულზე დაუყრდნია. საოცარი მსგავსებაა! იფიქრებ, მათ შორის უხილავი სარკეა და იქ, კედელზე, ლიას ორეული ირეკლება.

ამ მსგავსებისთვის რომ მიეღწია ლიამ ბევრი ძვირფასი რამ გაიმეტა...

მანამდე?

მანამდე ქალაქის ქუჩებში თვალს მოჰკრავდით ლოყაწითელ ქალიშვილს, რომელსაც უზარმაზარი პეპლებივით ბანტი ეკეთა. ჩანთითა და ესკიმო ნაყინით ხელში დაფრიალებდა იგი სკოლასა და სახლს შორის. როგორც კი მოსახვევში იელვებდა თეთრი ბანტებით შეფეთქილი თავი, ნაცნობი ახალგაზრდა მილიციელი ხელათ მწვანე შუქნიშანს ჩართავდა: გაფრენილი მანქანები ადგილზე გასრიალდებოდნენ და ლიაც დარბაისლურად გადაივლიდა მათ წინ...

ასე მიქროდნენ დღეები, სანამ ერთხელ სკოლისკენ მიმავალმა მხარზე ხელის შეხება არ იგრძნო. ეს არ იყო მილიციელი. არც მისი თანაკლასელი კახა, მიწიდან რომ იცოდა ხოლმე ამოძრომა. ლიას წინ იდგა უცნობი წოწოლა ახალგაზრდა და ხარბად შესცქეროდა.

— ერთი წუთით, გოგონი! — იგი ლიას წინ გადაელობა. — არ იფიქრო, ვიღაც მხეცი და ნადირი ვარ. მე ვარ რეჟისორის ასისტენტი. შენი სახელი?

— ლია.

— ლია... ოჰ, კარგად ჟღერს. ლია, გინდა კინოში გადაგიღონ?

ლიას საამო სითბო ჩაეღვარა სხეულში. მორცხვად ახედა უცნობს.

— მაშინ ხვალ გამოცხადდები კინოსტუდიაში, გაგსინჯავთ და...

უცნობმა მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, შემდეგ ხელი დაუქნია და გაშორდა...

* * *

ლაპლაპებენ დიგები, ელავენ უზარმაზარი სინათლეები, აქეთ-იქით გადააქვთ მძიმე დანადგარები და ყველაფერ ამას უმიზნებენ ლიას. ლია კი დგას აპარატის წინ გაუნძრევლად და ელოდება, როდის გამოფრინდება ჩიტი... ისე, ძნელი ყოფილა გადაღება. სამაგიეროდ მერე!.. ოჰ, ახლა ხედავდნენ დალი, რუსიკო, მანანა?! რას გასკდებიან გულზე!

— ლია, აბა, მეტი ღიმილი!

ეს რეჟისორია, ბატონი შალვა. ფეხები გაუჩაჩხავს, სკამის ზურგზე გადმოწოლილა და ლიას აპარატის კამერიდან უჭვრიტინებს. იქვეა ნაცნობი წოწოლა. სხვა უცნობი წოწოლებიც.

— რა თვალები აქვს!

— გელაპარაკებით, ოდრი ჰეპბერნია!

— ცოტა თხელი ტანი მისცა!

ბოლო სიტყვას ბატონი შალვა იღებს:

— ეტყობა რეჟიმში არაა. ჩემს ხელში იყოს, რას დავწურავდი!..

* * *

მოდის ლია გზაში. ალანძულ ლოყებზე ხელს ითათუნებს. ნეტა როგორი გამოვა! კახას ალბათ სისხლი ჩაექცევა. ჯერ არ გაუმხელს. მერე იხტუნაოს რამდენიც უნდა! ოდრი ჰეპბერნი! მაინც ვინაა ის დალოცვილი. სჯობია ლიას?!

უცებ ლია შედგა. თვალები გაუფართოვდა. ეს ხომ მისი ღიმილია, ლია ბექაურის?! იქნებ, დღეს რომ გადაუღეს, ის ფილმი გადის უკვე?!

კინოვიტრინას მიუახლოვდა. დამარცვლით ამოიკითხა: „ომი და მშვიდობა", ახალი ამერიკული ფილმი. ნატაშას როლში — ოდრი ჰეპბერნი.

აა, ჰელოუ ოდრი! თქვენა ხართ, ასე რომ მგავხართ, ესე იგი, გგავარ?! კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა!

ერთხანს ხარბად უყურა, შემდეგ ხალხშემოსეული სალაროსაკენ აიღო გეზი...

* * *

და წაერთვა ფიქრი ლიას. ეს რა ყოფილა! რა გრაციები, რა სიმსუბუქე! ლია გავს იმას?! ალბათ დასცინიან. ნეტა რამდენს იწონის?!

გადაქექა უცხოური ჟურნალები: „ფილმი", „ეკრანი", „ლაიფი"... ვერსად წააწყდა, რაც უნდოდა. ბოლოს ისევ თანაკლასელ ვასიკოს მიაკითხა. ვასიკოს კედლები უცხოელი კინოვარსკვლავების სურათებითა აქვს მოფენილი. თუ გინდა, თვალდახუჭული გეტყვის ჯინას ფეხსაცმლის ნომერს!

არც ახლა დაიზარა:

— ოდრი, ჩემო ლია, ქარივითაა. ორმოცდაექვს კილომდეც არ ადის. ნეკნები კლავიშებივით უჩანს. წარმოგიდგენია, ლავიწის ღარში კვერცხს იჩერებს!.. ეჰ, იციან, გენაცვალე, თავის მოვლა!

ორმოცდაექვსი კილოგრამი! ლია ყურებს არ უჯერებს. რა არის ორმოცდაექვსი! — ბუზის წონა! ლია? ლია ორმოცდათექვსმეტი კილოგრამია, ბატონო! სხვანაირად ბებია ლაბაბზე ხელს ვერ შეავლებს! ჰმ, მიუმატეთ ოდრის სამი ინდაური და მიიღებთ ლიას!

— ლია, მოდი ისადილე!

— თავი დამანებე, ბებია!

— რას გავს ეს!

— არ მინდა და მორჩა!

— მოვიდეს მამაშენი!

მოვიდეს. ლიამ იცის, როგორ მოიქცევა აწი... ოდრი ჰეპბერნ, ლია ბექაური გიწვევს შეჯიბრში!

* * *

მხოლოდ ერთგან ანთია ნათურა. ლია გაუხდელად წამოწოლილა, ხელები თავქვეშ ამოუდევს და ფიქრობს. ფიქრობს ახლახან გადაღებულ კადრებზე, კახასთან შეხვედრაზე და, რა თქმა უნდა, ოდრიზე.

— ლია, შუაღამე ხდება!

ლიამ წიგნი ააშრიალა.

— რა ვუყო, მერე, ზეგ გამოცდა მაქვს...

— დასწყევლოს ღმერთმა შენი გამოცდები! დავწვავ მაგ წიგნებს!

კარებში მამამისი დგას. აღელვებული, საცვლების ამარა. ლიამ გულში ჩაიკრა წიგნი.

— დამანებე თავი, ვიკივლებ, სწავლას მიშლიან-მეთქი!

მამამ ერთხანს უყურა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და გაბრუნდა.

...ასე ემზადებოდა ლია. ძლივს მოიცილა გამოსაშვები გამოცდები. მასწავლებლებს გულს უკლავდა მისი უძილო, ნატანჯი სახე და სამიანზე ქვევით ხელი არ უბრუნდებოდათ. ლია კი კმაყოფილად გრძნობდა თავს — უძილობა მისი მკაცრი რეჟიმის ერთ-ერთი პუნქტი იყო.

ასე დავიდა ორმოცდაათ კილომდე. ხუმრობაა, ექვსი კილო მოიპარო, როცა ირგვლივ ასი თვალი და ასი ყუ-



... კატა წავიდა განში ... სიმსუქნისაგან ასტმიანივით უმატა ხიხინს.

* * *

უბნის მესასწორე მოხუცი გაკვირვებული იყო: ყოველ დილით მოირბენდა ცქრიალა გოგონა, გულდასმით აიწონიდა, სახე გაუბრწყინდებოდა, ხურდას აღარ უცდიდა და გარბოდა...

ერთხელაც მოირბინა გოგონამ, შეხტა სასწორზე და რას ხედავს: გირი 44-ზეა, არც იქით — არც აქეთ! გოგონას სახე გაებადრა, მაგრამ უცებ ისევ მოელუშა, ერთხანს ეჭვით უყურა



მოხუცს, შემდეგ მოწყდა ადგილს და გაიქცა...

აი, იგი მეორე უბნის სასწორზე დგას — გირი 50-ს აჩვენებს... მერე სხვა სასწორზე ადის — ისევ 50! გოგონა დაღვრემილი ბრუნდება. ამის შემდეგ მოხუც მესასწორეს აღარ გაკარებია...

* * *

გავიდა დრო. ერთხელაც გაიარა ლიამ კინოთეატრის წინ. ერთხელაც დაინახა ვიტრინაში ნაცნობი თვალები. მაგრამ ისინი არ ეკუთვნოდა ოდრის. ამ თვალებით იხედებოდა ლია ბექაური! ხალხი ირეოდა სალაროსთან. ხელს იშვერდნენ მისკენ. და ლიამ უცებ იგრძნო, როგორია დიდება...

— ლია!

ლიას ახლა ამ ხმის გაგონების მეტი არაფერი უნდოდა.

— გრცხვენოდეს, ლია!

— მოლოცვის მაგიერია?!

— მეტი რა მინდა, ვიგინდარა ვიყავი?!

— მეგონა დამიშლიდი!

ლია შორს იყურება, სახეზე გრძნობს კახას თვალების ცეცხლს და სიამოვნებს.

— რას დაემსგავსე, ლია!

— ახ, აღარ მოგწონვარ?!

— რაღაც უცნაური გაქვს აკვიატებული.

— მაინც?!

— გახდომა.

ლია გვერდნაკბენივით შემობრუნდა.

— ვინ გითხრა!

— არ გეტყობა... მთელი დღე სასწორზე ხარ...

— აა, შენ იხუმრე ის, ვაჟბატონო?! ყოჩაღ!

სანამ კახა რამეს ამოღერღავდა, ლია უკვე შორს იყო...

* * *

მოგონებების რძისფერი ნისლი გაიფანტა... ლიამ მოაშორა თვალი ოდრის სურათს და კვერცხი უჯრაში დააბრუნა... წამოდგა...

ერთი კილოგრამი! ერთი კილოგრამი და მერე ლიას მკერდზეც დაითვლიან ძვლებს. ბოლოს და ბოლოს, ექიმსაც მობეზრდება სიარული. ფილტვები როგორც დაიჩრდილა, ისე განათდება. მანამდე კი ახველოს, რა მოხდა. ვასიკომ არ თქვა, მოდაშია ხველებაო!

ტელეფონის ზარმა შეაკრთო. უგუნებოდ აიღო ყურმილი. უცებ სახე გაუნათდა, მაგიდაზე შემოჯდა და ისე განაგრძო მოსმენა. როცა ყურმილი დადო, შენიშნა, რომ სიხარულისაგან ხელი უთრთოდა...

* * *

ლიამ რომ კაბინეტის კარი შეაღო, ბატონი შალვა სახტად დარჩა.

— ლია, ავად იყავი?!

— არა... ისე რა... ცოტა...

ბატონი შალვა ერთხანს გაოცებით შესცქეროდა.

— ჰოო, ეს არ მესიამოვნა! ნამდვილად არ მესიამოვნა! — მან ნერვიულად აატკაცუნა თითები. — საქმე ის არის... მე შენთვის სიურპრიზი მქონდა... იმიტომ დაგირეკე... როლი შეგირჩიე შესანიშნავი... მაგრამ... როგორ გითხრა... ჩემი მომავალი გმირი ხორცსავსეა, ლოყებღაჟღაჟა... აი, ისეთი... შენ რომ იყავი...

ლიას თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ერთხანს გაოგნებული იყო. „ეტყობა რეჟიმში არაა“... — გაახსენდა და მწარედ გაეღიმა. ჰმ, მაინც რა უცნაურადაა ეს ცხოვრება მოწყობილი!

— რამდენი დღეა გადაღებამდე?!

ბატონი შალვა ფიქრიდან გამოერკვა.

— ზუსტად ორი თვე! რაიმე პერსპექტივას ხომ ვერ ხედავ?!

ლიას ისევ მწარედ გაეღიმა.

— ზუსტად ორ თვეში დავკარგე ცხრა კილო, ბატონო შალვა!..

* * *

— ბებია, რა გაქვს საჭმელი?!

ბებიამ გაოცებისაგან პირი დააღო, მაგრამ ისევ მომუწა: ეშინოდა, რაც გაიგონა, არ გადაეთქვათ.

— კატლეტებია, ახლავე გავაცხელებ!

— ცივი მოიტანე!

მოიტანა ბებიამ ცივ-ცივი კატლეტები, ბლომად პური და სალათა მოაყოლა.

ხუთ წუთში აღარ იყო...

— ახლა მგონი არა მიშავს!

ბებია კრინტს ვერ ძრავდა. სდუმდა კატაც, რომელიც აგერ ორი თვეა ასეთი უყურადღებობის მოწმე არ ყოფილა...

* * *

ოთახი სავსეა ნელი ტანგოსა და პარკეტზე მოსრიალე ფეხების ხმებით... ფანჯარასთან მიმდგარ ვაჟებს ყურწამდე დაჭყავთ პაპიროსი. გოგონები კაპრიზულ ვარცხნილობას კისრის გაშეშებით ინარჩუნებენ. ლარსად ჩანან უზარმაზარი პეპლისებრი ბანტები...

მალე ყველანი საგანგებოდ გაწყობილ სუფრას უსხდებიან. ვაჟები რევერანსით თავაზობენ საუზმეულს. ქალებს გადააქვთ საამთიაქო დოზებით. გამონაკლისია ლია.

— კახა, აი ის ხაჭაპური გადმომიღე! ლობიოც. მხალიც!

კახა ყურებს არ უჯერის, როცა გადმოუღებს, მერე თვალებს არ უჯერის...

სიტყვას იღებს ახლად ულვაშაკოკრილი თამადა.

— მეგობრებო, დღეს ჩვენ დავცილდით სკოლის მერხებს და ცხოვრების გზაზე გავედით. მოდით, ამ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს!

ვაჟები სულმოუთქმელად ცლიან. ქალები ოდნავ წრუპავენ, თან იციცქნებიან. ამ ფონზე ყურადღებას იქცევს ლიას მადა.

და იწყება „გატეხილი ტელეფონი“...

იგი აღწევს ვასიკოს ყურამდე. ვასიკო რისი ეშმაკის ფეხია, თუ ამ ფაქტს თავისებური ახსნა არ მისცა...



და „გატეხილი ტელეფონი“ აბრუნებს ცნობას: ლია უკანასკნელ მოდას მისდევს!.. ევროპაში დევიზია: ძირს იტალიური დიეტა! ოდრი ჰეპბერნს თვალები არ უჩანს სიმსუქნისაგან!..

გოგოებს მეტი კი არ შეუძლიათ, იჯერებენ.

— ცირა, ნახე რა შედევრი ლობიოა?!

— ნიუქელი! უჰ, უჰ, მართლა ექსტრა-ვაგანტური ყოფილა!

ცირა გვერდზე დებს ჩანგალს, ჭადის ნატეხს ამოაწებს ლობიოში და... ლამისაა თითებიც ჩაატანოს.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ლია უკეთ გაშლის ფრთებს.



— სხვათაშორის, გოჭსაც არა უშავს, ხომ იცით, თქვენ?!

ეს მისი აღმოჩენაა, გადის ერთხმად.

თამადა იძულებულია შესვას იმ ხელების სადღეგრძელო, რომლებმაც შეამზადეს ასე გემრიელი ლობიო, ხაჭაპური, საცივი...

* * *

უბნის მოხუც მესასწორეს ისევ გაუჩნდა საქმე: მოირბენს ნაცნობი გოგონა, გულდასმით აიწონება, ხურდას აღარ დაელოდება და გარბის. მოხუცს უკვირს: წინათ დაკლება უხაროდა გოგონას, ახლა მომატება, ვა, რა ცხრაჭკუები არიან ახლანდელი გოგოები!

მოხუცმა რა იცის, შვიდი დღე დარჩა გადაღებამდე, ზუსტად შვიდი დღე! არც ის იცის მოხუცმა, გა... ოდრის ადგილი ლიას საწოლთან გათქვირულმა მარიზა მერლინმა რომ დაიკავა.

მაგრამ რა უნდა ქნას ლიამ, როცა ირგვლივ ასი თვალი და ასი — ყურია! „ჩვენ არ დავუშვებთ, ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი კუჭზე გასკდეს!“ — კატეგორიულად აცხადებენ შინაურები და ლიას ცხვირწინ უკეტავენ განჯინისა და მაცივრის კარებს.

და ლია გულზე სკდება. მაგრამ კახა რისი კავალერია...

— ლია, ნაყინი გინდა?

— ნაყინი არა, მაგრამ მწვადს სიამოვნებით გეახლებოდი!

ლია ამას რომ ამბობს, სულაც არ წითლდება. არც კახას უკვირს, ოღონდ ეღიმება და ლია პავილიონისკენ უხვევს...

* * *

და აი, ნანატრი დღეც... ისევ ელავენ უზარმაზარი სინათლეები. ლია ისევ დგას აპარატის წინ გაღიმებული, გალაქლაქებული და ელოდება, როდის გამოფრინდება ჩიტი... აქვეა საღამოს გაზეთის კორესპონდენტიც.

— ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში!

ლია წამით ფიქრს ეძლევა. კორესპონდენტს უკვირს. ისე შეეკითხა, თითქოს ამ კითხვაზე პასუხიცა აქვს: — როდესაც კინოში მოვედი!

— როდესაც მადაზე მოვედი!

ლია იღიმის. კორესპონდენტიც იღიმის და ოდნავ შეურაცხყოფილი შორდება...

ახლა ლია იმ კუთხისკენ გაიხედავს, სადაც ბატონი შალვა და კახა ეგულება. კახა, როგორც იქნა, დათანხმდა. ოღონდ მოაცილებს და გააცილებს. ასე სცნო საჭიროდ... ნეტა რა აქვს ამდენი სალაპარაკო?! დღეს გააცნო კაცი. არაფერი წამორროშოს!

კახას კი აქვს სათქმელი... მართლა დღეს კი არ გაუცვნიათ ერთმანეთი!..

—გმადლობთ, ბატონო შალვა, ძალიან მოხერხებულად კი გამოგივიდათ... თქვენ გადაარჩინეთ ლია... თქვენ მე დამიბრუნეთ იგი.

ბატონმა შალვამ სინანულით გაიქნია თავი.

— სამაგიეროდ მე დავკარგე იგი... ჩემი გმირი უნდა ყოფილიყო სწორედ ისეთი თხელი და ფაქიზი, როგორიც ლია იყო ამ ორი თვის წინათ...



ნოდარ დუმბაძე



# საუბარი ღმერთთან

— საიქიოდან დაბრუნებულს არ ჰგავს ეს უბედური?!

ხალხური

ჯერ საშინელი ჭახანი გავიგონე, მერე მილიციელის სტვენა და ბოლოს ვიღაცის აღტაცებული შეძახილი: — აუჰ, რა ავარიააა!!! მეტი არაფერი. საოპერაციო მაგიდაზე რომ დამდეს, საქმე პირდაპირ ღმერთთან დავიჭირე.

* * *

საიქიო თითქმის არაფრით არ განსხვავდება მიწისაგან. ეს კია, საიქიოში ტრანსპორტი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ ეტლს, რომლითაც დღედაღამე ილია წინასწარმეტყველი დახრიგინობს და კაციშვილს არ სვამს შიგ.

— დაჯექი! — მითხრა ღმერთმა. მე დავჯექი და ამოვიოხრე.

— რა მიიღებს ამის სულს. ნახე, როგორ ყარს „ზუბროვკის“ სუნით, — მიუბრუნდა ღმერთი სანდომიანი სახის, გაურკვეველი ასაკის მქონე ანგელოსს და პირი ამარიდა. მერე ანკეტა აიღო.

— გვარი?

— დუმბავა!

— სახელი?

— ჯვებე!

— სქესი? — მე გამეღიმა.

— გახადე შარვალი! — მიუბრუნდა ანგელოსს.

— კაცი ვარ, ბატონო! — შემეშინდა მე.

— ეშმაკი ვერ გაგარჩევთ, რომელი რომელი ხართ. ერთმა მომატყუილა უკვე. გახადე შარვალი რომ გეუბნები, — გაუჯავრდა იგი იმავე ანგელოსს.

— ღმერთი არ გწამთ? ჩემით გავიხდი! — ვიკივლე მე.

— სქესი: მამაკაცი, — შეავსო ცოტა ხნის შემდეგ ღმერთმა სათანადო გრაფა.

— ეროვნება?

— ქართველი! — ღმერთმა თავი ასწია და დიდხანს მიყურა.

— რომ არ გავხარ?! — მითხრა ბოლოს.

— რა ვქნა, ბატონო! — მოვისაწყლე თავი.

— საზღვარგარეთ თუ ხარ ნამყოფი?

— როგორ არა!

— სად?

— თითქმის ყველგან.

— რომელიმე უცხო ენა იცი?

— არც ერთი, ბატონო!

— ვაი, შენს პატრონს უბედურს... საიდანღაც მეცნობა ეს კაცი, — მიუბრუნდა ღმერთი ვიღაცის პირად საქმეში ჩაფლულ ანგელოსს.

— ეს ის არის, მამაზეციერო, ბრმანაწლავის ოპერაცია რომ გაუკეთეს ამას წინათ და მაკრატელი ჩაუტოვეს მუცელში, — უპასუხა ანგელოსმა ისე, რომ ჩემსკენ არც გამოუხედია.

— შენ ხარ, აბა, ის, ბეწვზე რომ ეკიდე? — მიცნო ღმერთმა და გაიღიმა.

— კი, ბატონო, მე ვარ, — გავუღიმე მეც. ღმერთმა უცებ წარბი შეიკრა:

— ბევრს სვამ და ჩქარა დადიხარ, მოქალაქე!

— ფეხბურთზე მაგვიანდებოდა, პატივცემულო!

— ვერ თქვი დროზე, შე ულმერთო, ამდენი რომ ტყუილ-უბრალოდ მალაპარაკე? — შემოირტყა შუბლზე ხელი ღმერთმა. მერე თვალები გაუბრწყინდა და სკამი ჩემსკენ მოაჩოჩა:

— მოყევი, თუ ძმა ხარ, რას შვრება თქვენი „დინამო“. ამ ბოლო დროს ველარ ვადევნებ თვალყურს. ტელევიზორი გადამიწვა ამ დეგენერატმა, ორას ოცზე ჩართო, — გახედა დარცხვენილ ანგელოსს ღმერთმა.

— ჩვენი „დინამო“, მამაზეციერო...

— მოეშვი, თუ კაცი ხარ, მაგ ოფიციალობას. უბრალოდ გიორგი დამიძახე, გეხვეწები, — ლოყაზე ხელი მომითათუნა ღმერთმა.

— ჩვენი „დინამო“, გიორგი ჩემო, წელს კარგ ფორმაშია. შეიძლება პირველი ადგილიც გავირტყათ.

— ვერ ივარგეთ, თორემ თქვენ შარშანაც კი უნდა აგეღოთ პირველი ადგილი, — ამოიხვნეშა ღმერთმა.

— შე კაი კაცო, შენ არ იყავი, ბოლო წუთებში რომ გვიღალატე?

— იმ თამაშს სულაც არ დავსწრებივარ, — თვალი ამარიდა ღმერთმა.

— არ დასწრებიხარ, ჩემო ძმაო, და კინაღამ დავიღუპეთ. ღმერთიააშენებს კოტრიკაძის ოჯახს, იმან გადაგვარჩინა.

— არ გადამრიო! — შეიცხადა ღმერთმა.

— კი, შენ ნუ მომიკვდები!

— ჩემი ბრალია, არ უნდა გამეჩინა ბურთი მრგვალი, — თავისთვის ჩაილაპარაკა მამაზეციერმა.

— ისე ლაპარაკობ, დალოცვილო, თითქოს მარტო ბურთია შენი გაჩენილი.

ღმერთმა მუდარის თვალით გადმომხედა:—თუ ძმა ხარ, ამ ანგელოსთან ნუ მიჯავრდები და შენობით ნუ მელაპარაკები, თორემ მერე სულ თავზე დამაჯდებათ.

მე ხელად თქვენობით დავუწყე ლაპარაკი.

— ჩემი ღმერთივით ბიჭები რას შობიან? — მკითხა ღმერთმა.

— რომლებს კითხულობთ, ბატონო?

— მესხი, ბარქაია, იამანიძე, ჩოხელი, კოტრიკაძე, კალოევი, რომელი ერთი ჩამოგითვალო, — აღარ ეყო თითები ღმერთს.

— გმადლობთ, კარგად არიან. მოგიკითხათ ყველამ. ძალიან ენატრებით, მაგრამ...

— გადაეცი ჩემგან: ცოტა ღვინის სმას მოუკლონ და საათში ოც კილომეტრზე მეტი სიჩქარით ნუ დადიან. თორემ... კიროვის ბაღის ბიჭების ბლავილი და კისრის ძარღვების ბერვა ველარ უშველით მერე, — წარბი შეიკრა ღმერთმა. — მანქანა რომ კარგი იყოს, მაგენი მომასწრებენ მე მანქანის ყიდვას? ამ ხნის კაცი ფეხით რომ დავეთრევი... არც ღვინო მიყვარს სხვაზე ნაკლებად, მაგრამ ხომ ხედავ? — ღმერთმა ფხვნილის რძე გამოიღო მაცივრიდან და მოსვა:

— ასეა ბაბაია. ახლა, წადი და გადაეცი იმ ბიჭებს, რაც დაგაბარე.

— გადავცემ ბატონო, მაგრამ მაგათ მდგომარეობაშიც უნდა შეხვიდეთ ხანდახან. ახლა რამდენიმე სათხოვარი მაქვს თქვენთან, მალალო ღმერთო, ნუ გამაწბილებთ, — დავეღრიჯე ღმერთს და მუხლებზე დავეცი.

— მთხოვე, შე კაცო, — გამამხნევა ღმერთმა.

— ხომ ხარ, ღმერთო, ღმერთი? — ვკითხე.

— ახლა ვარ ღმერთი, რომ გაგიჭირდა?

— ოღონდ წელს პირველი ადგილი აგვაღებინე, ღმერთო და...

— რა ვქნა, გენაცვალე, — ჩამომართვა სიტყვა ღმერთმა, — იაკუშინი მთხოვეთ? ჩამოგიყვანეთ. მეტრეველს მეხვეწებით? მაგასაც შეგისრულებთ. კარგი ბიჭები გინდოდათ? მოგართვით. ეს სიჭინავები და ხურცილავები, ვისი გაჩენილი გგონიათ თქვენ? ჰოდა, ცოტა თქვენც გაანძრიეთ ფეხი. ისლა მაკლია, ამხნის კაცი გამოვვარდე მინდორში საცვლის ამარა და თქვენს მაგივრად ვითამაშო. — ანერვიულდა ღმერთი.

— მაგას ვინ გკადრებთ, ბატონო ღმერთო. ოღონდ წელს პირველი ადგილი გვაჩუქეთ და ქაშუეთში ჩემს სიგრძე სანთელს დაგინთებთ, — გამოვიგლიჯე ყელი მე.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე. მასე იცით თქვენ. ჯერ მთხოვთ, მერე გამოდიხართ ტრიბუნაზე, გადმოაგდებთ ცხრა მეტრო ენას და დედმამის სულს მიტრიალებთ.

— შეგვიბრალე, ღმერთო. არ გეცოდებით, დასაკლავი ხარებივით რომ ვბღავით სტადიონზე? — მთლად მოვიმკვდარუნე თავი.

— უნდა ითმინოთ. „მოთმინებითა შენითაო“, წერია სახარებაში. სახარებას ხომ კითხულობ? — მკითხა ღმერთმა.

— არა, ბატონო!

— აბა, რას კითხულობ, შე უბედურო? — გაუკვირდა მამაზეციერს.

— მე რა უნდა წავიკითხო, თვითონ ვწერ, — ამაყად გადავხედე ღმერთს.

— აბა წერე და იკითხე! — ცალყბად მომიგდო მან.

— ერთი თხოვნა კიდევ, — შევევედრე უფალს.

— მალე თქვი და მორჩი, მეძინება, — თქვა ღმერთმა და დაამთქნარა.

— თუ შეიძლება, აქედან რომ დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში, მოვყვები, ღმერთს ველაპარაკე-მეთქი.

— სადაც გინდა მოყევი, სულ ერთია არავინ დაგიჯერებს და...

— რას ბრძანებთ, მე ვინ არ დამიჯერებს.

— გეყოფა ახლა ტლიკინი. წადი! — მითხრა ღმერთმა და თვალები დახუჭა.

* * *

თვალი გავახილე. თავზე ცხვირპირაკრული ქირურგი მადგა.

— გამარჯობათ! — ვთქვი მე მიკნავებული ხმით.

— საიქიოდან მობრუნებულს გაუმარჯოს! — ხელი დამიქნია ექიმმა.

— თქვენ ხუმრობთ, ექიმო და, ამ წუთში ღმერთს ველაპარაკებოდი ფეხბურთზე, — დავიწყე მე.

—ყველაფერი გასაგებია. მძიმე კატეგორიის ტვინის შერყევაა,— სინანულით შემხედა ექიმმა და თავის კანტურით გავიდა პალატიდან.



## მიდიან სადღაც მეძახიან...

### ვახტანგ ჯავახაძე

მიდიან სადღაც და მეძახიან
თავისუფალი ზეცის ღრუბლები.
მიდიან სადღაც და მეძახიან
გზები — ღრუბლებზე თავისუფლები.
მიდიან სადღაც, მიიჩქარიან,
და თავის გზებზე მიმაქანებენ
ქარიშხლები და ქარაშოტები,
ნიავები და ნიავ-ქარები.
მიიჩქარიან სადღაც წუთები,
მიიჩქარიან სადღაც დღეები,
წუთები — როგორც ნაკადულები,
დღეები — როგორც მდინარეები.
მიიჩქარიან და მეძახიან
ხომალდები და მატარებლები,
ნავები, მერე თვითმფრინავები,
მგზავრები, მერე თანამგზავრები.
მიდიან სადღაც და მეძახიან
მფრინავები და მეზღვაურები.
მიდიან სადღაც და მეძახიან
მეგზურები და მოგზაურები, —
დაქანცულები, დაგანძულები,
თავს აფარებენ ღამეს ჯანღიანს,
მიდიან სადღაც, მიდიან სადღაც,
მიდიან სადღაც და მეძახიან...

როცა უელსის გუნდს ვხვდებოდით, უკვე მაყურებლების ფავორიტები კი არა, რა-ლაც უფრო მეტი ვჩანდით. უელსელებთან გამარჯვებაში ეჭვიც არ მეპარებოდა.

ისევ „ლევის“ სტადიონი, ისევ თავბრუდამხვევი ოთხმოცდაათი წუთი. უელსელები არც ისეთი საშიში მოწინააღმდეგეები აღმოჩნდნენ. ამ მატჩში თითქოს კარის ძე-ლებიც მათ მხარეზე გადავიდა. პირველი ტაიმი დამთავრდა. ვერ იქნა და ვერ გავხსე-ნით ანგარიში. ყველანი შევფიქრიანდით. ვგრძნობდით, მოგება შეგვეძლო, მაგრამ ვერ გვეპოვა მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევის გასაღები.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე დაიწყო უელსელთა კარის ბომბარდირება. რაც დრო გადიოდა, შეტევა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მე, მაცოლა, დიდი, გარინჩა და ზაგალო ზედიზედ ვურტყამდით კარში. თუმცა ამაოდ. ვერ გამოვიყენეთ კარის აღების რეალური შესაძლებლობები. უეცრად დიდიმ ბურთი შესანიშნავად გამიჭრა. ის-ის იყო კარში დარტყმას ვაპირებდი, რომ ბურთის დასახვედრად მომზადებული ვიღაცის ფეხი დავლანდე. ფეხის წვერით ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა გავაკეთე. ბურთმა მიმართუ-ლება შეიცვალა. მოწინააღმდეგემ ფეხი ჰაერში გაასავსავა. ამ დაყოვნებით მეკარემ ისარგებლა და ფეხებში ჩამივარდა. თვალის დახამხამებაში ბურთი მას თავს ზემოთ გადავუგდე. ბურთი ბადეში თევზივით აფართხალდა. 1:0! აღარ ვიცოდი, რა მექნა. ეს იყო ჩემი პირველი ბურთი მსოფლიო ჩემპიონატში. ამ ბურთმა გადასწყვიტა მატ-ჩის ბედიც.

რაც უფრო ძნელად მოსაპოვებელია გამარჯვება, მით უფრო მეტი სიხარულის მომ-ტანია იგი. თამაში დამთავრდა. სიხარულისაგან კანში ვეღარ ვეტეოდით. ზოგიერთები მაინც ამტკიცებდნენ, თავდასხმამ სუსტად ითამაშაო. ჩვენ, ვინც ოთხმოცდაათწუთიანი მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ, კმაყოფილები ვიყავით. ბოლოს და ბოლოს 1:0-იც ხომ გამარჯვებაა!

გაბრუებულებს ერთხელაც არ გაგვხსენებია დამარცხებული უელსელები. თავჩაქინ-დრულებმა დატოვეს მოედანი. რას იზამ, ფეხბურთი ფეხბურთია!

## გოლების ფეიერვერკი

ჩვენი შემდეგი მოწინააღმდეგის — საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მესვეურები საქვეყნოდ ბაქიაობდნენ, ბრაზილიელთა საწინააღმდეგო რეცეპტი უკვე გამოძებნილი გვაქვსო. აინუნშიაც არ ჩაგვიგდია მათი ბაქიაობა და თავს საკმაოდ დამშვიდებულად ვგრძნობდით. სანამ საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ ვითამაშებდი, ჩემი სახელი ბრაზილი-ელების მეტმა არავინ იცოდა. ისინიც იშვიათად თუ მომაკითხავდნენ ხოლმე. მაგრამ რუსებთან და, განსაკუთრებით, უელსელებთან თამაშის შემ-დეგ გულშემატკივრებისათვის ისეთივე სანატრელი ფავორიტი გავხდი, როგორც დანარჩენი ბრაზილიელი კობრები: დიდი, ჟილმარი, ნილტონ სანტოსი, ბელინი... თოჯინებივით ქერა-ქოჩრიანი შვედი ბავშვები ხშირად მოდიოდნენ სასტუმროში ჩემთან „სალაპარაკოდ“. მე მათ ვეფერებოდი. ზოგი მათგა-ნი, ხელში რომ ავიყვანდი და სახეში ახლოდან ჩავხედავდი, შიშისაგან ატირებულა, უფროსებს ამოფარებია. ალბათ, ეგო-ნათ, მე და სხვა ბრაზილიელი კრეოლები შეღებილები გახლდით.

— ძალიან კი გაითქვი სახელი, ხომ იცი!.. — მეხუმრე-ბოდნენ ამხანაგები.

მიუხედავად ყველაფრისა, მომავალი მოწინააღმდეგეები ერთი წუთითაც არ დაგვვიწყებია. ვლაპარაკობდით ვიღაც ფონტენზე და ვიღაც კოპაზე, რომლებიც შეიძლებოდა ჩვე-ნი დაცვისათვის სახიფათონი გამხდარიყვნენ. ხმები როდი იყო უსაფუძვლო. ფრანგებმა ჩემპიონატის საუკეთესო „ბომბარდირთა“ სახელი მოიხვეჭეს.



კურსი სტოკჰოლმისაკენ ავიღეთ. ფრანგებთან შეხვედრა შვეციის დედაქალაქში, „როსუნდას“ სტადიონზე გველოდა. ვავა გამოჯანმრთელდა და ჩვეულებრივად თავდასხ-მის მეთაურის პოსტი დაიჭირა. ეს მე განსაკუთრებით მაფრთოვანებდა: მასთან უშიშრად და გაცილებით მარჯვედ ვმოქმედებდი, ვიდრე მაცოლასთან. თამაში დაიწყო. ვავამ გარინჩას მიერ ზუსტად ჩაწოდებული ბურთი ფრანგების კარის ბადეში გაახვია. ჩემი ფიქრით ამ გოლს მოწინააღმდეგე წელში უნდა გაეტეხა. მოვტყუვდი. ფრან-გებმა შეტევას შეტევით უპასუხეს. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ბრაზილიის ტრი-უმფალურ გამარჯვებათა ჯაჭვის გასაწყვეტად. რამდენიმე წუთსაც არ გაევლო, რომ ფონტენმა ჩვენს დაცვაში გასაძრომი ხვრელი მონახა. ჟილმარი მისკენ გამოექანა. ფრანგების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ოსტატურად დაარტყა კარის მარცხენა და-ბალ კუთხეში. ფრე! ეს იყო პირველი გოლი, რომელიც ჟილმარმა გაუშვა შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში. ამ გოლმა ყველას გაგვიფუჭა გუნება. თამაში ვეღარ ავაწყ-ვეთ: არაზუსტი გადაცემები, უმისამართო დარტყმები, უაზრო ფინტები... მე ორჯერ გავუშვი ხელიდან გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობა. ასევე დაიბნენ გარინჩა, ვავა და სხვა თავდამსხმელები. ფრანგები კი პირიქით, ისე შეწყობილად თამაშობდ-ნენ, რომ კაცს ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა.

მხოლოდ დიდიმ ჩააქრო ფრანგების ცეცხლი და იხსნა გუნდი ნერვიულობისაგან. იგი ბურთით გაიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნამდე და, როცა ყველა დარწმუნდა ბრაზილიელთა დირიჟორი ჩვეულებისამებრ ბურთს რომელიმე თავდამსხმელს გადას-ცემსო, თვითონვე მოახერხა თავისი ერთ-ერთი დიდებული დარტყმა „ხმელი ფოთოლი“. ფრანგების მეკარეს ისღა დარჩენოდა, თვალით გაეცილებინა ბურთი. ბურთმა ტრიალ-ტრიალით მოხაზა რკალი და კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში გაეხვია. ამ ბურთისაგან კარის ხსნა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. გახარებულები დიდის შემოვეხვიეთ. ფრან-გებმა როდი დააყოვნეს საპასუხო შეტევის წამოწყება. ალბათ, კიდევ ჰქონდათ თამაშის მოგების იმედი.

მატჩის მეორე ნახევარში მეკარის პირისპირ აღმოვჩნდი და, აი, მაინც „მოვახერხე“ ბურთის გაფუჭება. საშველად ვავა წამომეწია. მეკარემ ძლივს მოიგერია ვავას დარ-ტყმული ბურთი. უკან გამოგორებულ ბურთთან გავჩნდი და ანგარიში სამამდე გავზარ-დე. ფრანგებმა ისევ წამოიწყეს შეტევა. ამაოდ... ისინი უკვე მოტყდნენ. ისევ გადავე-დით შეტევაზე, ისევ აენთო ვავა და შემთხვევა განმეორდა: აბესმა ვერ შეძლო ვავას დარტყმული ბურთის დაჭერა და მე ხელმეორე დარტყმით ბურთი ბადეში გავახვიე. ანგარიში გახდა 4:1.

რომელიღაც ფრანგი ფეხბურთელი, რომელიც წაგებაზე უფრო მგონი ბურთების ამ ფეიერვერკმა გააცოფა, ზედ მუხლთან ისე უხეშად დამეჯახა, ტკივილისაგან მიწაზე გავიშხვართე.

თამაში უფრო ფრთხილად განვაგრძეთ. მატჩის ბედი ვიღას დააეჭვებდა. ახლა ჯობდა ტაიმის ბოლომდე თავი დაგვეზოგა და ძალა შემოგვენახა. ბურთს ერთმანეთს ვუგორებდით და ფრანგებს ბავშვებივით ვათამაშებდით. მაყურებლები ტაშით გვაჯილ-დოებდნენ. უცებ მოწინააღმდეგის კარისაკენ მიმავალი გზა სრულიად თავისუფალი მეჩ-ვენა. ბევრი აღარ დავაყოვნე და ფრანგების საჯარიმო მოედანზე შევიჭერი. მოწინააღ-მდეგის იგივე მცველი, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ დამეჯახა და კინაღამ

(გაგრძელება. იხ. № 2)

მოედანზე ამაღრიალა, ჩემსკენ გამოექანა. ამჯერად ვერ მივართვი. ბურთი თავზე გადავავლე. ბურთი მიწას მის ზურგსუკან შეეხო. პირდაპირ დავარტყი კარში. გოლი!

— ახლა ნამდვილად გავიმარჯვეთ! — დაიყვირა ვავამ და გადამეხვია.

პიანტონიმ მაინც შეძლო მეორე ბურთის გატანა.

იმ საღამოს ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყვლა მილოცავდა. ხუთი ბურთიდან სამის ავტორი ხომ მე გახლდით. იმ წუთში ჩემზე ბედნიერი კაცი, ალბათ, მთელ მსოფლიოში არ მოიძებნებოდა. მტკივანმა მუხლმა საშინლად შემაწუხა, მაგრამ ჯოჯოხეთური ტკივილებიც კი გულიდან გადამვარდა.

ვინ არის შემდეგი?... შვედები!

## ბრაზილია — მსოფლიოს ჩემპიონი

საფინალო თამაში შვედების ნაკრებთან „როსუნდას“ სტადიონზე შედგა. ბრაზი-ლიის ნაკრები „ფრანგული“ შემადგენლობით გამოვიდა. მხოლოდ ტრავმირებული დე სორდი შეცვალა სანტოსმა.

შვედებმა თამაში თავიდანვე აქტიურად დაიწყეს. ჩვენი გუნდი ცოტა დუნედ თა-მაშობდა და გადაცემებიც არაზუსტი გამოდიოდა. ჯერ კარგად არც კი გამოვრკვე-ვულიყავით, რომ მოხდა მოულოდნელი რამ: ჩვენმა ერთ-ერთმა მცველმა წაიფორხილა, ბურთი მიუგორდა ლიდჰოლმს და მერე ჩვენს კარში აღმოჩნდა.

1:0 — შვედების სასარგებლოდ! ყველას თავზარი დაგვეცა. მხოლოდ დიდიმ შე-ინარჩუნა სიმშვიდე და მხნეობა: მიირბინა კართან, ბურთი აიღო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიძახა: „დროა დავიწყოთ!“ „დროა, დროა“, დაუდასტურა ვავამ.

ბურთი შევიდა თამაშში. ზაგალომ მარცხენა ფრთაზე შეტევა წამოიწყო, მაგრამ უშედეგოდ. მალე გარინჩა ჩაება ბრძოლაში, ელვისებურად შეიჭრა შვედების საჯარი-მო მოედანზე, ტანის ცრუ მოძრაობით მცველს გვერდი აუარა და ბურთი ცენტრისაკენ ჩაჭრა. ვავა, თითქოს მოწინააღმდეგეებს ვერც ამჩნევსო, პირდაპირ შეფრინდა საჯა-რიმო მოედანზე. შვედების მეკარე სვენსონი სახტად დარჩა. როცა გონს მოეგო, ისღა მოახერხა, საკუთარი კარიდან ბურთი გამოეტანა. ეს იყო ჩვენი პირველი გოლი.

ყველანი ვავას მივცვივდით. მან შორიდანვე დაგვიყვირა: აბა, თამაში, თამაში, ახ-ლა ამის დრო არ არის!

ვავამ თვითონვე მოგვცა მაგალითი და ჩვენც გაგვიყოლია. შეტევა გაშლილი ფრონ-ტით გაჩაღდა. არ დაგვიზოგავს არაფერი, რაც კი შეგვეძლო. მასპინძლები თავგამო-დებით იცავდნენ კარს. გარინჩამ კვლავაც გაიმეორა პირველი გოლით დაგვირგვინე-ბული კომბინაცია: მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთაზე შეიჭრა, მოატყუა ორი შვედი და ბურთი ცენტრში ჩამოაწოდა. ვავა მეორეჯერაც შეფრინდა საჯარიმო მოედანზე და ბურთი შვედების კარის ბადეში გაახვია. ჩვენ დავწინაურდით! ყველანი ვავას ვეხვე-ოდით და ვკოცნიდით. ვავა თან ტიროდა და თან იცინოდა.

ახლა შვედებმა წამოიწყეს საპასუხო შეტევა. მათ არ გამოუვიდათ ჩვენსავით შე-წყობილი თამაში. პირველი ნახევარი 2:1-ით დამთავრდა. შესვენების შემდეგ შვე-დებმა მძაფრი თამაში შემოგვთავაზეს. ბრაზილიელთა დაცვა ყურადღებით თამაშობ-და. თავდამსხმელებს კარგად გვესმოდა, ბიჭებს უნდა მივშველებოდით. ბურთი რო-გორც კი ხელში ჩაგვივარდებოდა, მასპინძელთა კარისკენ მივემართებოდით.

ჩვენი ერთი კომბინაციაც გოლით დაგვირგვინდა. ეს ასე მოხდა: ბურთი ნილტონ სანტოსმა მე მომაწოდა. კარისაკენ ზურგით ვიდექი. რატომღაც ვიგრძენი, ერთ-ერთი მოწინააღმდეგე თავდასხმას აპირებდა. მე ბურთი მკერდით შევაჩერე და ისე შემოვ-ბრუნდი. შემდეგ ბურთი მკერდიდან ფეხზე დავუშვი და მოწინააღმდეგეს თავზე გადა-ვუგდე. ორი ნაბიჯიც წინ და, ბურთს მიწაზე დაშვება არ ვაცალე, ისე გავგზავნე კარში. შვედების მეკარემ ნახტომი გააკეთა. უკვე გვიან იყო. ბურთმა ბადე მძლავრად შეარხია. ტრიბუნებზე მჯდომმა ყველა ბრაზილიელმა ერთად დაიყვირა: გოლია! მეც სიხარულით წამოვიყვირე: გოლია!

უკვე სავსებით შეწყობილად ვთამაშობდით. შვედები დაიბნენ. დაბნევა მშვენივრად გამოიყენა ზაგალომ. იგი ღრმად შეიჭრა მოწინააღმდეგის მოედანზე და მეოთხედ აიძულა შვედების მეკარე ბურთი ბადიდან გამოეტანა.

წუთით შევანელეთ ტემპი, წუთით მოვადუნეთ ყურადღება და მასპინძლებმა მე-ორე გოლი გაიტანეს ჩვენს კარში. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წამი რჩებო-და. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უკვე განაღდებული გვქონდა. სწორედ უკანასკნელ წამს მივიღე მაღალი ბურთი, რომელიც თავური დარტყმით გავგზავნე კარისაკენ. ბურ-თმა მეკარის თავზე რკალი მოხაზა, მოხვდა ძელს და ბადეში გაეხვია. იმავე წუთში გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა.

რაღაც საოცარმა ნეტარებამ შემიპყრო. ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ განმიც-დია. მინდოდა მეყვირა, მაგრამ ხმა ერთიანად წამერთვა. ფეხებმაც მიღალატეს, მუხ-ლები მიკანკალებდა, ნამდვილად ვეცემოდი. გონება დავკარგე. როცა გონს მოვეგე, დავინახე ჩემს ირგვლივ შემოჯარული ამხანაგები. ისინი სიხარულისაგან ტიროდნენ. მეც ავტირდი. ჟილმარი მომეხვია და მითხრა: იტირე, ბიჭუნა, იტირე!...

ყველანი ტიროდნენ: ბელინი, ვავა, ზაგალო, დიდი... და ჩემი კეთილი მარიო ამე-რიკო. მარიო მოულოდნელად სადღაც გაიქცა. დავინახეთ: მარიო მსაჯთან მიიჭრა და ბურთი ხელიდან გამოგლიჯა. მთელი სტადიონი ხარხარებდა. ევროპული ჩვეულების თანახმად, დიდი მნიშვნელობის თამაშის შემდეგ ბურთი მსაჯს რჩება, როგორც სამახ-სოვრო სუვენირი. მსაჯმა არ უღალატა ჩვეულებას და თავისი კუთვნილი ბურთის წა-სართმევად მარიოს გამოენთო. მარიომ გვირაბში შეასწრო და გაუჩინარდა.

(დასასრული იქნება)

თარგმანი დალი კოკაიასი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი

გეოგრაფიულ აზროვნებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველ საქართველოში იყვნენ ე. წ. ადგილისმცოდნეები და ადგილისაღმწერები, რომლებსაც ფართო გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული განათლება ჰქონდათ, მათ გააჩნდათ სპეციალური რუკები, სხვადასხვა რელიეფის სურათები, გეგმები. კოლხებს ჰქონიათ საგანგებო ფიცრები (ცირბები), რომლებზეც მოგზაურობისათვის ნაჩვენები იყო ყველა გზა, წყლისა და ხმელეთის საზღვრები.

ძველი ქართული კირბებისა და სამანძილო რუკების შესახებ ცნობილი გერმანელი მეცნიერი კარლოს რიტერი წერდა: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ-ვაჭართა შორის“.

ქართული კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ვახტანგ VI, რომელიც თვითონ ადგენდა საქართველოსა და სომხეთის რუკებს. მისმა აღმზრდელმა სულხან-საბა ორბელიანმა საქართველოს ხელნაწერი რუკა შეადგინა, რომელიც შემდეგ ფრანგმა მეცნიერმა დელილმა გამოიყენა და 1728 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა კავკასიის რუკა. საყოველთაოდ ცნობილია ვახუშტის შესანიშნავი გეოგრაფიული ატლასები, რომლებმაც აღიარება ჰპოვეს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. ქართული კარტოგრაფიული სკოლის არსებობაზე მიგვითითებს ვახუშტის ცნობა, სადაც საუბარია რაღაც ძველ „შემოკლებულ რუკებზე“.

მოსკოვში მყოფი მეფე არჩილი რუსეთის მთავრობის დავალებით ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს რუკის შედგენაზე. შესანიშნავი რუკა აქვს შედგენილი ტიმოთე გაბაშვილსაც.

ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ საქართველოში იყვნენ არა მარტო პირთგადამღები — მხაზველები, არამედ რუკების შემდგენი კარტოგრაფებიც. დღემდე ცნობილ მხაზველ-კარტოგრაფთა შორის მოხსენიებული არ ყოფილა არც ერთი ქალი, უკანასკნელ წლებში კი დადგენილი იქნა პირველი კარტოგრაფი ქალის მაია ჩიქოვანის კარტოგრაფიული მოღვაწეობის ზოგიერთი ფაქტი.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში (ლენინგრადი) დაცულია ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიული ატლასის 22 რუკის პირი. მე-19 რუკას გადამხაზველის ხელით მიწერილი აქვს: „უმაღლესი ანა დედოფლის ბრძანებით გადავწერე ეს ქარტინები, რომელიც 21 ბოლოს ქარტინაში იხილეთ“, ოცდამეერთე რუკას კი გარკვევით აწერია შემდეგი: „21 ქარტინა ქართლის ცხოვრებისა. დედანისაგან მე-თ-ჩ-ს პეტრეს ასულმან მაიამ გადავწერე, ვითხოვ წყალობასა, თუ ნაკლული ანუ შეცდომაა, ნუ გაუწყევთ“. რას ნიშნავს „მე-თ-ჩ-ს“, ვინ არის ანა დედოფალი?

ანა იყო იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლე (მამუკა ან მათე ორბელიანის ასული). ეს ის დავითია, რომელიც ტახტიდან ჩამოაგდო და განდევნა იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ. დავითის მეუღლე ანა რუსეთის მეფის ნებართვით 1809 წელს პეტერბურგში დასახლდა.

დედოფალი ანა მაღალი კულტურის ქალი ყოფილა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მან ვახუშტისეული ატლასის პირი გადააღებინა.

ისმება კითხვა, ვინ არის ვახუშტის რუკის პირის გადამღები, რომლის მიერ ოსტატურად შესრულებული ნახაზები დიდ გემოვნებასა და კარტოგრაფიული ხელოვნების მაღალ კულტურაზე მიგვითითებს? როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუკაზე წერია მხაზველის გვარი. „მე-თ-ჩ-ს“ კი ნიშნავს: „მე თავად ჩიქოვანის“. მაია ჩიქოვანის გვარი პირველად გაშიფრა დოც. ი. მათურელმა. მისი აზრით, მაია ჩიქოვანის მიერ ვახუშტისეული რუკები გადაღებულია 1828-1836 წლებში.

ცხადია მაია ჩიქოვანი დევნილ ანა დედოფალს გაჰყვა პეტერბურგში. როგორც მისი ნახელავი გვიჩვენებს, მაია საუკეთესო მხაზველ-კარტოგრაფი ყოფილა. მის მიერ გადაღებული რუკის ასლები, კარტოგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისით, არაფრით არ ჩამოუვარდება დედანს.

ჩვენ არ მოგვეპოვება საბუთები იმის შესახებ, თუ ვისთვის და რა მიზნით გადააღებინა ანა დედოფალმა ვახუშტის რუკების ასლი მაიას, მაგრამ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამას გარკვეული მიზანი ექნებოდა. ამაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა მ. ბროსე, რომელმაც მაია ჩიქოვანის მიერ გადაღებული რუკების ასლი ნახა და შემდეგნაირად შეაფასა იგი:

„ეს ის რუკებია, რომელიც ისტორიკოსმა ვახუშტიმ შეადგინა თავისი დიდი გეოგრაფიული და ისტორიული ატლასისათვის და რომლის დედანი მოსკოვში არსებობს. მისი ასლი გადაღებული იქნა იმერთა დედოფალ ანასათვის და ამ ასლის საფუძველზე უნდა შემდგარიყო აკადემიური ასლი. მაგრამ ბედნიერი შემთხვევის გამო ჩვენ შევიძინეთ თვით დედოფალ ანას ცალი, რომელიც დედანს ნაკლებად დაშორებულია, სიზუსტის უფრო დიდ გარანტიას იძლევა“. მაშასადამე, მ. ბროსეს ცნობით, უნდა შედგენილიყო აკადემიური ასლი (თუ ვისთვის, ეს არაა ცნობილი) და ალბათ ამიტომ გადაიღო ასლი მაიამ. ყოველ შეხთვევაში, თუ აკადემიური ასლი არ იქნა გამოყენებული გარკვეული მიზნებისათვის (რის შესახებ ჯერ სათანადო ცნობა არ მოგვეპოვება), სამაგიეროდ ასლის გადაღებით ანამ და მაიამ ხელი შეუწყეს ვახუშტის რუკების გამრავლებასა და მის შემდგომ პოპულარიზაციას.

მაიას მიერ გადაღებულ ასლებზე ლაპარაკობს ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ი. ორბელი. იგი წერს, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონდში დაცულია ქართული 31 რუკა, რომელთაგანაც 7 პირადად ვახუშტის მიერაა დახაზული, დანარჩენები კი გადაღებულია დედნიდან და მეტად მაღალ შეფასებას იმსახურებს.

ამრიგად, ვახუშტისეული რუკები რომ იმერეთის დედოფალმა ანამ გადააღებინა, ეს ნათელი იყო ჯერ კიდევ ბროსეს ცნობით, მაგრამ დადგენილი არ იყო ასლის გადამღების ვინაობა. ქართველმა მეცნიერმა ი. მათურელმა პირველმა დაადგინა, რომ ასლის გადამღებია თავადი პეტრეს ასული მაია ჩიქოვანი. დღემდე არ ვიცით თუ სად მიიღო მაიამ ასეთი ბრწყინვალე კარტოგრაფიული განათლება. მაიას ბიოგრაფიიდან ცნობილია მხოლოდ ერთი ფაქტი: კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში (ტ. მე-2, 1868 წ., გვ. 107) დაცულია სია ამალის წევრებისა, რომლებიც 1804 წელს რუსეთში გაჰყვნენ ერეკლე II მეუღლეს დარია გიორგის ასულს. ამალის წევრთა შორის მოხსენებულია მარია პეტრეს ასული ჩიქოვანიც.

მაია ჩიქოვანის საქმიანობა მარტო ვახუშტის რუკების ასლის გადაღებით როდი შემოიფარგლება. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ხელნაწერი (H—388) „ანსილონი: ესთეტიკებრნი განსჯანი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ესე ესტეტიკებრნი განსჯანი სთარგმნა რუსულით ქართულად საქართველოს მეფის გიორგის XIII პირმშომან ძემან... დავით, ხოლო მე გადავნუსხე თავადის ჩიქოანის პეტრეს ასულმან მაიამ, სანქტ-პეტერბურღს, წელსა 1817-სა, ოგუსტოს 4-სა“.

ეს არის და ეს, რაც დღემდე ცნობილია პირველი კარტოგრაფი ქალის მაია (მარია) პეტრეს ასულ ჩიქოვანზე. შესაძლებელია, ლენინგრადის, მოსკოვის ან ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ფონდებში დაცულია რაიმე მასალა შესანიშნავი ქართველი კარტოგრაფის შესახებ. მართალია, დღემდე არ მოგვეპოვება მაიას პორტრეტი, არ ვიცით მისი ბიოგრაფია, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ შეიძლება რაიმე მასალა მოგვაწოდონ მკითხველებმა.

გრ. ზარდალიშვილი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაფერი დაიწყო თხამ...

ყავა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასმელია მსოფლიოში. ყავის მოყვარულნი ამ მცენარის აღმოჩენას ლეგენდარულ აბისინურ თხას უნდა უმადლოდნენ, რომელმაც, როგორც გადმოგვცემენ, ცოცხალ არსებათა შორის პირველმა გამოსცადა ყავის არაჩვეულებრივი მოქმედება.

რა თქმა უნდა, ამ ოთხფეხმა ყავა ისე კი არ მიიღო, როგორც არომატული სასმელი, არამედ იგი პირდაპირ კორტნიდა ყავის ბუჩქებს. მისმა მხიარულმა კუნტრუშმა ადამიანები მიახვედრა, რომ საქმე მეტად იშვიათი თვისების მქონე მცენარესთან ჰქონდათ. „კახვა" — „აღმგზნებელი", — ასე უწოდეს მათ შავ სურნელოვან ელექსირს, რომელიც ორგანიზმში ზღაპრული ძალით სპობდა დაღლილობასა და ძილმორეულობას.

დიდმა მეცნიერმა ავიცენამ (980 1037 წ.) დეტალურად აღწერა ყავის კეთილისმყოფელი გავლენა ადამიანზე. თანამედროვე სწავლულებმა, რომლებმაც ყავაში კოფეინი და სხვა სასარგებლო ნივთიერებანი აღმოაჩინეს, ერთხელ კიდევ მეცნიერულად დაასაბუთეს დიდი ტაჯიკი განმანათლებლის აზრები.

1554 წელს კონსტანტინოპოლში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ყავახანა. ასი წლის შემდეგ ინგლისელმა საქმოსანმა ედვარდსმა ევროპაში გაიტანა ყავის დიდი მარაგი. ყავასთან ერთად მან წაიყვანა ბერძენი მონა-ქალები, რომელთა გარეშე ევროპელი კულინარები ალბათ ვერ ისწავლიდნენ სურნელოვანი სასმელის შემზადებას.

1652 წელს ერთ-ერთმა ბერძენმა მონამ თავისუფლება მიიღო და ლონდონში ყავის სასმელი დაწესებულება გახსნა. ამის შემდეგ ყავახანებმა სოკოებივით დაიწყო აღმოცენება.

მე-17 საუკუნის დასასრულს ყავამ, რომელიც მეტად ძვირად ფასობდა, საბოლოოდ დაიპყრო ევროპა. მე-18 საუკუნეში ფრიდრიხ I გადაწყვიტა სახელმწიფო მონოპოლია შემოეღო ყავაზე კონტრაბანდისტებთან საბრძოლველად მან „ყავის მსუნავთა" სპეციალური თანამდებობაც კი დააწესა. მოხელეებს ქუჩებში უნდა ევლოთ და ამაღელვებელი სურნელის მიხედვით აღმოეჩინათ არალეგალური ყავახანები

## გნებავთ გასინჯოთ?

რა თქმა უნდა, ყავის დამზადების ყველა ხერხის შესახებ აქ მოთხრობა შეუძლებელია, — ეს საკულინარო წიგნის საქმეა. ჩვენ შეგვიძლია მკითხველს მხოლოდ რამდენიმე გავრცელებული რეცეპტის შესახებ ვესაუბროთ.



ყ ა ვ ა   ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ა დ, ანუ როგორც წინათ ამბობდნენ, ყავა თურქულად, ძალიან მაგარია და, სხვათაშორის, ყველაზე უფრო უწყობს ხელს გულის მუშაობას წვრილად დაღერღილ ნატურალურ ყავას შაქრით და უციკოროდ ხარშავენ სპეციალურ პატარა ყავადანში დუღილამდე მისული ყავა ცეცხლიდან უნდა გადმოიდგას და გაუწურავად ჩამორიგდეს პატარა ჭიქებში. ყოველ 100 გრამიან ჭიქაზე საჭიროა ორი ჩაის კოვზი დაღერღილი ყავა

ყ ა ვ ა   ვ ე ნ უ რ ა დ აგრეთვე ძალიან პოპულარულია. მოხარშეთ ჩვეულებრივი შავი ყავა, გაწურეთ და დაუმატეთ შაქრის საჭირო ოდენობის ორი მესამედი, ერთი მესამედი კი ჩადეთ ათქვეფილ ნაღებში და შეურიეთ ყავას.

ყ ა ვ ა   რ ძ ი თ,  ა ნ უ   ყ ა ვ ა   პ ო ლ ო ნ უ რ ა დ, ალბათ ბევრს არ უგემია. დაღერღილ ყავას (დაახლოებით ორი ჩაის კოვზი ჭიქაზე) დაასხით მდუღარე წყალი (არა უმეტეს ჭიქის ერთი მესამედისა) და დადგით ცეცხლზე. ადუღებამდე ნუ მიიყვანთ. ჭიქის ორი მესამედი რძე გაწურეთ, ათქვიფეთ და დაუმატეთ ყავას.

რა თქმა უნდა, ყავა აღმაგზნებელი სასმელია, მაგრამ ზომიერი ხმარების დროს მისი მოქმედება არ არის მავნე, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ.

ჩვენ ვყიდულობთ ყავას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ინდოეთიდან, ინდონეზიიდან, გვინეიდან, ეთიოპიიდან მოემართებიან საოკეანო გემები, რომლებშიც ყავის ნაზი, ოდნავ დამათრობელი სურნელება დგას. ყავის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ხარისხია „მოკო", რომელსაც ჩვენ იემენში ვყიდულობთ.

## ნარევი

### თხუთმეტი საუკუნით ადრე

— პითაგორეს თეორემა ჩვენი წინაპრებისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ, ე. ი. თხუთმეტი საუკუნით ადრე, ვიდრე პითაგორე დაიბადებოდა, — ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა ერაყის სიძველეთა დეპარტამენტის დირექტორმა.



ბაღდადის სამხრეთით წარმოებული გათხრების დროს ამას წინათ აღმოჩენილი იქნა ფილები, რომლებზეც წარწერები იყო ამოკვეთილი. ამ წარწერებით ნათელი გახდა, რომ ძველი ერაყელი მათემატიკოსებისათვის ცნობილი იყო აღნიშნული თეორემის გადაწყვეტა.

ჯერჯერობით ძნელია იმისი თქმა, თუ ერაყელთა ეს მიღწევა რატომ იყო უცნობი როგორც პითაგორესათვის, ისევე მომდევნო თაობებისათვის.

### პიანინო მეზობლებისათვის

იაპონიაში დაამზადეს საოცარი პიანინო. იგი აღჭურვილია ხმის მშთანთქავი მილებითა და ორიგინალური მიკროფონების სისტემით.



პიანინოს ხმა არ აღწევს მეზობელ ოთახებში, იგი მხოლოდ ინსტრუმენტზე დამკვრელს ესმის.

### ორიგინალური ტელევიზორები



ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ლაბორატორიაში დაამზადეს ახალი ტელევიზორი, რომლის წონა 900 გრამია. სპეციალური თასმის მეოხებით ტელევიზორი მაგრდება... ადამიანის თავზე. ეკრანი მარჯვენა თვალის წინ თავსდება. როგორც ლაბორატორიის სწავლულები აღნიშნავენ, ახალი ტელევიზორი მალე დიდ გამოყენებას მოიპოვებს ავიაციაში, მედიცინაში, მრეწველობაში...

### გიგანტური კუ

კორეის მახლობლად ამას წინათ დაიჭირეს უზარმაზარი კუ. მისი სიგრძე 2 მეტრი და 13 სანტიმეტრია, სიგანე კი 1 მეტრი და 83 სანტიმეტრი.

ეს კუ ყველაზე გიგანტურია ადამიანისათვის დღემდე ცნობილ სახეობათა შორის.



### ელვა მზარეული

იუნიონვილელი (აშშ) დიასახლისი ქალბატონი ედი ხალი გაოცებული დარჩა, როცა ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ მაცივარში სამი შემწვარი ქათამი და მოხარშული კვერცხები დახვდა.



დიასახლისს კარგად ახსოვდა, რომ მაცივარში მოუხარშავი ქათმები და კვერცხები დატოვა.

როგორც შემდეგ გაირკვა, მზარეულის საქმე ელვამ შეასრულა, რომელმაც მაცივარი თვალის დახამხამებაში ელექტროღუმელად გადააქცია.

ყველაზე საოცარი იყო ის, რომ ასეთი ფანტასტიკური თავგადასავლის შემდეგ მაცივარმა კვლავ ნორმალურად განაგრძო მუშაობა.

### ნეტარი თუთიყუში

ინგლისში რამდენიმე სპეციალური გადაცემა მიუძღვნეს „გენიალურ" თუთიყუშს სპარკის, რომელიც ამას წინათ „გარდაიცვალა".



როგორც გაზეთი „იუმანიტე" იუწყება, ამ თუთიყუშმა ზეპირად იცოდა რვა პოემა. მის სახელზე ბანკში ირიცხებოდა ათასობით გირვანქა სტერლინგი. როგორც აღნიშნავენ, ნეტარი სპარკი მთელს მსოფლიოში ერთადერთი ფრინველი იყო, რომელიც საშემოსავლო გადასახადს იხდიდა.



ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შემთხვევით გადაიღო თბილისის ზოოლოგიურ პარკში.

რომელიღაც დამთვალიერებელმა ხელსაყრელი მომენტი შეარჩია და ხელოვნურ ტბაში კაკალი გადააგდო. წყლის ფრინველები ყოველი მხრიდან დაიძრნენ ძვირფასი ნადავლის ხელში ჩასაგდებად.

ერთ-ერთმა პელიკანმა, რომელმაც ყველას გაასწრო, ის-ის იყო წყლიდან ამოიღო კაკალი, რომ მის გვერდით მაშინვე მეორე პელიკანი მოცურდა.

მამალმა ფრინველმა ამაყად მიმოავლო თვალი შორიახლო გარინდებულ გედებს, მერე კი უზარმაზარ ნისკარტში მოქცეული კაკალი თავაზიანად გაუწოდა თავის მომხიბვლელ „დულცინეას“.

ფოტო ი. ტერელაძისა

## ჟურნალ „დროშის“ № 2-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 4. პაქტი; 8. სეზონი, 9. სავანე; 11. კორტი; 13. მოწოდება; 14. ნოვატორი; 15. გენუა; 16. კოლონია; 18. სმენა; 21. სატირა; 23. კოქსი; 25. იტალია; 28. გედი; 29. კაკაო; 30. კალია; 31 ტირე; 33. ამინდი; 36. ილეთი; 37. დარაბა; 40. არშია; 41. კოშევოი; 44. სტილი; 47. გვარჯილა; 49. კურატორი; 50. ცნობა; 51. ანბანი; 52. ნახირი; 53. ალიბი.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. სქური; 2. ბელორუსი; 3. ხოკეი; 4. პიკასო; 5. ისინდი; 6. ხვავი; 7. ანატომია; 10. ნოველა; 12. ბრინჯი; 17. ოლქი; 19. მალარია; 20. სიმინდი; 21. სქემა; 22. ტაიჰი; 23. კლასი; 24. ისარი; 26. ლიტვა; 27. აორტა; 32. ცეცე; 34. მორევი; 35. ნეიტრონი; 38. როტატორი; 39. ბოლერო; 42. ოვაცია; 43. ონკანი; 45. გირაო; 46. კრახი; 48. ნორიო.


გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: ტელევიზიის დიქტორი ლია მიქაძე.
ფოტო თ. ა რ ჩ ვ ა ძ ი ს ა მონტაჟი დ. ნ ო დ ი ა ს ი
გ ა რ ე კ ა ნ ი ს მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე: ქალის საგაზაფხულო პალტოს ახალი ნიმუშები.
ფოტო თ. ა რ ჩ ვ ა ძ ი ს ა


## სხვადასხვა

## უფროსის წყალობა

ის იყო ალანმა ნამწვი საფერფლეზე დადო, სარკესთან მიიდა თავის თავის წესრიგში მოსაყვანად, რომ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— რა უბედურებაა, — გაიფიქრა მან, — ერთ წუთს არ მოგასვენებენ.

გაბრაზებულმა ყურმილი ხელში აიღო. ყურმილში შეფის ჩახლეჩილი ხმა გაისმა:

— მოდით ჩემთან, რაც შეიძლება სწრაფად!

რაღა ახლა მოუნდა დარეკვა! ალანი ამ დროს იმის ფიქრში იყო, თუ სად გაეტარებინა დღევანდელი საღამო — ალისასთან ერთად მეტროპოლიტენკაფეში, თუ კლუბში, თავის მეგობრებთან. მაგრამ რას იზამ, შეფი შეფია, გინდა — არ გინდა, პატივი უნდა სცე.

ალანმა ყელსახვევი გაიკეთა და რამდენიმე წუთში უკვე კარის წინ იდგა, რომელსაც ეწერა „ბრონი“.

— რაც უფრო დიდი თანამდებობა უკავია ადამიანს, მით უფრო მოკლეა მისი სახელი და ტიტული, — გაუელვა ალანს და კარზე დააკაკუნა.

ფართო ტყავის სავარძელში გაჭიმული ბოსი არც წამოწეულა, ისე დაუქნია თავი შემოსულს.

— მე ვიცი, — ნელა დაიწყო ძალაუფლებით მოსილმა ბოსმა, — ამერიკული კომერციის საქმეებში კარგად ერკვევით. მოგეხსენებათ, კაცს სამსახურში არ მივიღებ, თუ მან სამი წელი არ ისწავლა. თქვენთვის კი გამონაკლისი დავუშვი და როგორც გამოსადეგ ადამიანს, რომელსაც კომერციულ საქმეში თანდაყოლილი ინტერესი გააჩნია, სწავლის დამთავრების მოწმობა სამი თვის შემდეგ მოგეცით. ორი თვე თანაშემწედ აგიყვანეთ, ხოლო აგერ უკვე ნახევარი წელია, რაც განყოფილების გამგედ მუშაობთ.

მის სიტყვებს ახალგაზრდა გულგრილად ისმენდა და მიწოდებულ სიგარას ნელ-ნელა უკიდებდა. ბოსმა კი განაგრძო:

— მომავალ თვეს ჩვენს ფირმაში მუშაობის ერთი წლის იუბილეს გადაიხდით. ჩემი თანამშრომლების გულმოდგინე მუშაობას მუდამ ვაფასებ, ამიტომ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან ჩვენი ფირმის რწმუნებულად გნიშნავთ.

ახალგაზრდამ სიგარა გააბოლა, ფეხზე წამოდგა და ოთახიდან გასვლისას სხვათაშორის წარმოთქვა:

— გმადლობთ, მამაჩემო...

გერმანულიდან თარგმნა
დალი ბუჩუკურმა

## სხვადასხვა

## ქიმია და არქეოლოგია

ზოგიერთი ქიმიური ელემენტი კალენდრის მსგავსად აღნიშნავს დროის მსვლელობას.

ნახშირბადის ერთ-ერთ რადიოაქტიურ იზოტოპს მეცნიერები წარმატებით იყენებენ არქეოლოგიური გათხრების დროს ამა თუ იმ ნივთის ხნოვანების დასადგენად.

რადიოაქტიური ნახშირბადით შესაძლებელია დავადგინოთ, თუ როდის დამზადდა ხის ეტლი, ჩუქურთმებით მოკაზმული ხის კარი, რამდენი საუკუნისაა სამარხის უძველესი ძელური...

როგორც ცნობილია, ხე აგროვებს ნახშირბადს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იშლება. ასევე ცნობილია აღნიშნული იზოტოპების დაშლის სიჩქარე და ის, თუ რა რაოდენობით მოიპოვება იგი ხის ორგანიზმში.

რადიოაქტიური ნახშირბადის რაოდენობის დასადგენად მეცნიერები რთული გარდაქმნების საშუალებით გამოყოფენ მას ხის განათხარი ნივთიერებიდან. ჭურჭელში ათავსებენ მერქნისაგან მიღებული რადიოაქტიური ნახშირბადის ხსნარს და სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ზომავენ რადიოაქტიურ გამოსხივებას.

ნახშირბადის დაშლის სისწრაფისა და რაოდენობის მიხედვით ადვილად განისაზღვრება როდის მოიჭრა ხე, რომლისგანაც დამზადდა ესა თუ ის ნივთი.

ორგანული წარმოშობის ყოველგვარ ნივთიერებაში მუდამ არის რადიოაქტიური ნახშირბადი, ეს უხილავი მოწმე საშუალებას აძლევს არქეოლოგებს სააშკარაოზე გამოიტანონ საუკუნეთა საიდუმლოებანი.



ნახატი-ხუმრობა
ა. ე რ ა ძ ი ს ა


რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. ხააკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-63 წ. გამომც. № 15, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000, შეკვ. № 393, უე 06261
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



რ. სტურუა — ჭადრაკის დედოფალი — ნონა გაფრინდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა